# გილოცავთ შობა-ახალ წელიწადს!

www.24saati.ge

**24 საათი**

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 31 დეკემბერი, 2005 წელი. №292 (1152)

ფასი 50 თეთრი

# ალილო

## რეზო გაბრიაძე

### საშობაო მოთხრობა "24 საათის" მკითხველისთვის ©

სექტემბერი მთავრდებოდა.
კლასში ნიტროლაკის სუნი წაიშალა,
შავ დაფაზე უბედურება ეწერა:

U 237

დაცარცულ სათვალეს ზემოდან მასწავლებელი გვიყურებდა.

უცებ კარი ხმაურით გაიღო, კლასში მთლად უბედურება შემოვიდა - მაღალი გამხდარი კაცი! გაჩეხილი წარბით, გაჩეხილი ნიკაპით, რკინის ხელით შავ ხელთათმანში - მე-9 რუსული სკოლის დირექტორი гвардии полковник Петр Петрович Геладзе!

პეტრ პეტროვიჩის გვერდით უხმოდ, თითქოს ჰაერი შედედდაო, წარმოიშვა და სათუთად აეწყო ჩია მოხუცი კაცი. მოხუცს გრძელი შინელი ეცვა, ყელზე ნახმარი ბინტი ჰქონდა სუსტად დახვეული, მოარული ბანტით. გამჭვირვალე წვერ-ულვაშში სათნო ღიმილი უციმციმებდა...

კალოში ორივე ეცვა.

დირექტორი და მოხუცი ერთად ორ ფოტოსგან შეწეპებულებს ჰგავდნენ: სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილზე, სხვადასხვა ამინდში გადაღებულს.

- Товарищи! - დაიწყო დირექტორმა.

არც Паразиты-ს, არც фашисты -ს, არც дармоеды-ს ისე არ გვეშინოდა, როგორც ტოვარიშჩის. საშიში სიტყვა იყო, ისე ტყვილა არ იხმარებოდა დედიშენის საჯდომივით ან გენაცვალესავით.

- Товарищи! - განაგრძო დირექტორმა, - ჩვენ так просто ვერ დავშორდებით! Вылетите с волчьим билетом!..

ომებში და ათას უბედურებაში დირექტორს ქართული დაავიწყდებოდა და რუსულიც ვერ ესწავლა, ჩვენი არ იყოს.

ჩვენი კლასი უმთავრესად რუსებისაგან შესდგებოდა, ევაკუირებულებისაგან, ეხლა რომ ბეჟენცებს ეძახიან. ქართულს ფლობდნენ თავისუფლად. ლექსებს ამბობდნენ სხაპა-სხუპით.

განსაკუთრებით აკაკი წერეთელს:

**ჩემო ციცინათელა,**
**ანათებ ნელა-ნელა,**
**შენმა შორით ნათებამ,**
**დამწვა და დამანელა.**

ამას კითხულობდნენ მთელი ხმით, შემტევად და ჯიბრით.

სხვანაირი ქართულიც იცოდნენ, ჩხუბში და პურის რიგში ნასწავლი, სადაც ერთი-ორი სიტყვა შეთხზეს თავად, რომლებიც შეგვრჩა დღემდე: **დატიშე,** მაგალითად ან **დორე-დორე** ავითესოთ...

მთელი კლასი სტრუნკაზე იდგა. სალაპარაკო სადგურიდან დედის გინება ისმოდა.

დირექტორმა ილაპარაკა მოკლედ, გასაგებად: მან თქვა, რომ მომავალი წლის იანვრის დასაწყისში ჩვენ უნდა მივიღოთ მონაწილეობა საქალაქო ოლიმპიადაში! აუცილებლად უნდა დავიბრუნოთ პირველი ადგილი! და არ გავასხათ ფინალში კვატიასავით ქართულ პირველ სკოლასთან, შარშანდელივით! წელს ამისთვის გორონოდან მოვლინებულია სპეციალისტი! სამხედრო ჰოსპიტლის დაცვის თანამშრომელი - გამოცდილი ლოტბარი, ამხანაგი თეოფილე!

- ახლა ლოტბარი გადაარჩევს ხმებს! - ხელი მაგიდას დაარტყა ისე, რომ ხელის მტევანი დატრიალდა და უკუღმა დადგა.

- Вы у меня запоете ваи ме, ваи ме! Лотбара слушаться!

დირექტორმა ხელი გაისწორა ჭახუნით, თითქოს სიჩქარე გადართოო, წინ მოხუცი დაგვიყენა, ფიზიკის მასწავლებელს თავით აჩვენა, მომყევიო და მკვეთრი ნაბიჯით საკლასო ოთახი დასტოვა.

თეოფილემ დაღეჭილი ყაბალახი მოიხადა და ალბერტ ეინშტეინს დაემსგავსა.

დაიწყო მომღერლების სელექცია. წაუმღერებდა ლოტბარი რამეს, მოკლეს, მოისმენდა, ჩაიწერდა რვეულში გადარჩეულის გვარს და შემდეგთან გადაინაცვლებდა. ორჯერ მარტო ლენსტალ ბუნტურს მოუსმინა, ახლად გადმოყვანილს კენიგსბერგიდან - წრიპა, ყვითელ, ავადმყოფ ბავშვს. წასვლისას, კარებში გასული, ისევ დაუბრუნდა ლენსტალს, პირველი ოქტავის დო აალებინა, და გარეთ გავიდა წარბებ-აწეული.

გამოგვიყვეს სპორტდარბაზი.

დაიწყო ლაღი, შეღავათიანი ცხოვრება.

ცხოვრება ერთ მზიან გაუთავებელ კვირა დღედ გადაიქცა.

ამის აღწერა ძნელია.

გინახავთ ვინმეს კარგად დახატული სამოთხე?

აღმოვჩნდით სამოთხის ერთ პატარა, ლამაზ სკვერში. პავიდლო გვაკლდა მარტო. ამიტომ, ალბათ, კრივოი-როგელმა ანატოლი ხვედოსიუკმა 12 კილოიანი ყუთი პავიდლო მოიპარა საკონსერვო ქარხნიდან, უკოვზოდ. ნეტავ იმ დროს!

ჩვენი ყველას შურდა, მშობლებსაც კი.

რუსებს განსაკუთრებით მოეწონათ სიტყვა ლოტბარი, უყვარდათ მისი ხმარება. ლოტბარსაც პატივს სცემდენ. ბიოგრაფიაც მოუგონეს: თითქოს თეოფილე ყოფილიყო Катюша-ს ნამდვილი ავტორი, მაგრამ ოცდაჩვიდმეტში შესტაკოვიჩის გადარჩენის მიზნით დაეთმო მისთვის ავტორობა.

თაფლში ჩაიძირა ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი.

დადგა დეკემბრის ოდათერთმეტი რიცხვი!

დილიდან თოვდა.

მსოფლიო იყო დაპატიჟებული მოსაწვევით, მაგრამ ადგილობრივების გარდა რკინისგზელების კლუბში ვერ ჩაეტია. თუ ვინმეს რამე ჰქონდა ნაკუწი გადარჩენილი პანბარხატის ან კრეპჟორჟეტის, გულზე და თავზე ჰქონდა დაბნეული, ტკაცუნებდნენ ნიკელის შარიკები, პატარა სარკეები დარბოდნენ ჩანთებში აქეთ-იქით, დათიკო სარჯველაძის პირველი ცოლის პამადას გადასცემდნენ ერთმანეთს ქალები. მოშავო, ჭაღარა ადმინისტრატორი მოღუნული დარბოდა რიგებს შორის.

ჩვენმა დირექტორმაც ჩაიარა წითელ ნოხზე!

თხუთმეტი სამხედრო ორდენი! ამათგან ორი "Слава"! ოცდასამი მედალი! მათ შორის "За оборону Сталинграда"! ერთიც "За взятие Берлина"! და ყველაფერი ეს ბრწყინავდა და პარპალებდა მის გამხმარ, ფართედ გადაშლილ გულ-მკერდზე.

ჩვენ უკვე კულისებში ვიდექით ოტელოს დეკორაციებში. მე ვენეციის ოქროს ლომის ქვეშ ვიჯექი ლენსტალთან ერთად.



ლენსტალს ლურჯი ხავერდის მოკლე შარვალი ეცვა, ბრიტელებით. ასევე ხავერდის ფუშფუშა, მწვანე, ლურჯწერტილებიანი ბანტი ეკიდა ძაფივით ყელზე. იქვე განათებულში თეოფილე იდგა. სიბნელიდან გამოვიდა და მის გვერდით დადგა ჩვენი დირექტორი.

თეოფილეს ატომის ბირთვის გაყოფამდე მზერა ჰქონდა, როგორც იტყოდნენ მაშინ, დირექტორს - ბირთვის გაყოფის შემდეგ.

- რუსული სკოლა მოემზადოს! - ჩაგვიქროლა თმაჭაღარა ადმინისტრატორმა.

სიცივემ დაგვიბერა, მოლურჯო წითელი ფარდა გაიშალა და ჩვენი გუნდი წარსდგა მაყურებლის წინაშე უზარმაზარი ვარსკლავის ფონზე.

თეოფილე უკვე ხელებ-აწეული იდგა.

თეოფილემ ხელები კიდევ უფრო აწია და!..

**ოცდა... ოცდახუთსა დეკემბერსა,**
**ქრისტე იშვა ბეთლემსაო დაა...**

დაწინაურდა სოლისტი ლენსტალი და მარტო ამღერდა:

**ჩვენ მათხოვრები არა ვართ,**
**შობის მახარობლები ვართ, დაა...**

ლენსტალის ტკბილი, უმანკო ხმა დაგვშორდა და წავიდა შორს... შორ... ზევით... გასცდა ჭერს და დადნა ვარსკვლავეთში. ალბათ ასეთი ხმა გალობდა იმ დიდებულ ღამეს, როდესაც ბეთლემში განათდა და ჩვენი მხსნელი დაიბადა.

ყველას ცრემლი ადგა თვალზე.

- პროვოკაცია! -მთავრობის ლოჟიდან უცებ ღრიალი გაისმა. ეს გახლდათ ლენსტალის მამა - კგბ-ს პოლკოვნიკი. მრისხანე და საშინელი დასანახი იყო. კბილები ყველა გარეთ ჰქონდა. მან სკამი მოისროლა და ლოჟიდან გავარდა. პატარა, საცოდავი ლენსტალის დედა უკან გამოეკიდა.

აიშალა დარბაზი. ვინ საით გარბოდა, ვერ გაიგებდი!

- Сволочь! Гад! - ფარდის წინ იდგა პეტრ



პეტროვიჩი და თავზევით თეოფილეს აფრიალებდა ცხვირსახოცივით.

სცენაზე მისი ხელის რკინის მტევანი ეგდო.

თეატრის წინ თეთრად განათებულ ბურთს ენაზებოდნენ თოვლის თეთრი ფანტელები.

საათში და ოცდახუთ წუთში 1949 წელი მთავრდებოდა.



■ ■ ■

მის მერე ბარე ოცდაათმა წელმა განვლო.

მაშინ თბილისში კოლმეურნეობის მოედანზე თოთხმეტი დასალევი ადგილი იყო, სტალინის დროინდელი. თოთხმეტი ხის ბუტკა. აქ იკრიბებოდნენ უგვარო და უპასპორტო ხალხი, მათ შორის ბევრი იყო შესანიშნავი; აქ შეხვდებოდით აკადემიკ კალმაგოროვის საყვარელ მოწაფეს, ყოფილში პროფესორს, მთრთოლარე მხაზავს, უგონო სიმთვრალეშიც რომ იდეალური წრის დახატვა შეეძლო ერთ თხლაშავოისთვის ე. ი. 33 გრამისათვის; მეც დამილევია გამოსაიდუმლოებულ აეროდინამიკოსთან, ყოფილში უმაღლესი საბჭოს დეპუტატთან გამიყვია ლუდი, დამილევია კლავდია სინიცინასთანაც, საეჭვო ოპერეტული წარსულით ქალბატონთან...

იმ იანვრის თოვლიან შაბათ დღეს მოვიდნენ ამწეები და გრუზავიკები.

მოსდებდა ტროსს ბუტკას ამწე, აიტანდა ზევით ტრიალით, რომელსაც ნელი ვალსი მოუხდებოდა.

იმ წამსვე ნაბუტკარ ადგილს ჩემი მეგობრები მისცვივდებოდნენ და ათეულ წლებით იატაკში ჩავარდნილ ხურდა ფულს ეძებდნენ ნაგავში და მტვერში.

მე ბოლო ბუტკასთან რიგში ვიდექი უკანასკნელი ლუდის მოლოდინში, დიდ განცდებში გადავარდნილი - ვემშვიდობებოდი ჩემს ახალგაზრდობას, თამაშა სევდით.

რიგი იყო ჩუმი და ღირსეული.

ამწე კრანი გვიახლოვდებოდა.

ჩვენ მეზობელ ბუტკას ამწემ მოსდო ტროსი და მის ადგილზე დაემხვნენ მუხლზე კლავდია სინიცინა, лёва ნემეთ, და ერთი ვინმე ზურგიდან ვერ ვიცანი. ზრდილობიანად იქცეოდნენ, არ ჯიკაობდნენ, იგინებოდნენ ჩუმად.

ამ დროს ჩემი რიგიც მოვიდა. ვილაცამ დამქაჩა პირობითი ზრდილობიანობით. ზურგით რომ იდგა, ის კაცი იყო, ვიდით ჰგავდა 20 წელს ნაჯდომს, სტატია 58 б (без права переписки). სამ შაურს, ერთ სამ კაპიკიანს და ორ თითო კაპიკიანს მაჩეჩებდა სველებს. უარი ვუთხარი წარბით. არ ავიღე, გაკვირვებულმა საკუთარი პურმარილიანობით (დილით ტექსტი მქონდა გაკეთებული ნავთლუღის სადგურის ფოტოსთვის).

ავიღე ჩემი ლუდი და გვერდზე გავედი.

პირველი ლუდის ბაკალის პირველმა ნახევარმა სიჩუმე იცის თავში. ეს სასიამოვნო მდგომარეობა ჩემში უცებ დაირღვა, ისევ შემეხენ მკლავზე. ჩემს წინ ის იდგა, ლუდით რომ დავპატიჟე. ზედმეტი სითბო ჰქონდა თვალებში. არ მესიამოვნა. მივუჭახუნე ბაკალზე და გვერდულად დავუდექი.

უკვე ჩვენ ბუტკასთან ფუსფუსებდენ ალმასკომლები, ტროსს აბავდნენ, ხმაურობდნენ. ჩემმა მეზობელმა უცებ დასცალა ბაკალი და ბუტკისკენ გაიქცა. ბუტკაში დახლიდარი დერმანტინის ჩანთაში გინებით ხელსაწყოებს ჰყრიდა.

დახლიდარმა უარი უთხრა, მაგრამ მაინც შეუდგა მილს ბაკალი. მილი ხროტინებდა და იფურთხებოდა. მე აღარ დაველოდე, დავდევი ჩემი ბაკალი ასფალტზე და წავედი.

ისევ დამეწია თანამსმელი. ქაფით სავსე ბაკალი შემომთავაზა. უარის თქმა მინდოდა, მაგრამ მის სახეზე მუდარას ვერ გავუძელი. ნახევარი მოვსვი და ბაკალი უკან დავუბრუნე.

- ალილო, - ჩუმად თქვა და სმა დაიწყო, თან ღიმილით მიყურებდა.

- შენ არ გახსოვარ, ნამეტანი პატარა იყავი. მოულოდნელად ჩუმი, საიდუმლოდ, სასწაულად ტკბილი, არაჩვეულებრივად ნაცნობი ხმით დაიწყო სიმღერა:

**ჩვენ მათხოვრები არა ვართ,**
**შობის მახარობლები ვართ დაა...**

მანაც ბაკალი ასფალტზე დადო, გასწორდა და წყნარად მითხრა:

- სწორი ხარ შენ, მე ლენსტალის მამა ვარ.

თავი დახარა და სულ ჩუმად თქვა:

- დიდება იმას, ვინც მაღირსა ამ ქვეყანაზე დამცირება და დაპატარავება.

მოლურჯო შავი მუჭი გაშალა და ორი კაპიკი გამომიწოდა.

მეც ავიღე.

ორივე დაუთქმელად მოვტრიალდით და გავიქეცით ჩვენი გზებით.

ჩვენი მწირე შესაძლებლობებით შობის შესახვედრად.

*2005 წლის 30 დეკემბერი.*

# საქართველო 2005 წელს

## მოვლენები და შეფასებები

გიორგი ასანიშვილი

**12 იანვარი - აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც სერგეი ბაგაფშმა გაიმარჯვა.**

*სერგეი ბაგაფში, აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტი:* "აფხაზეთი შედგა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. საპრეზიდენტო არჩევნებმა დაადასტურა, რომ აფხაზეთი პატივს სცემს დემოკრატიულ ფასეულობებს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა აფხაზეთის დამოუკიდებლობა საერთაშორისო თანამეგობრობამ აღიაროს".

*ლევან ბერძენიშვილი, რესპუბლიკური პარტია, პარლამენტარი:* "ამ არჩევნებს ერთადერთი შედეგი მოჰყვება: გამოიკვეთება აფხაზური მხარე, რომელიც მოლაპარაკებებში მიიღებს მონაწილეობას. ჯერჯერობით სხვა, ჩვენთვის სასიკეთო რაიმე შედეგებზე საუბარი არ შეიძლება".

*დავით უსუფაშვილი, ექსპერტი:* "არჩევნების შედეგები, ყველა შემთხვევაში, დადებით ზემოქმედებას მოახდენს სამშვიდობო მოლაპარაკებებზე. ასევე დადებით ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ აფხაზი მოსახლეობის პოლიტიკურად გააქტიურება.

*გივი თარგამაძე, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე:* "გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება დე-ფაქტო ხელისუფლების სათავეში. მთავარია ჩვენი პოზიცია, ჩვენი მზადყოფნა აფხაზეთის დასაბრუნებლად. საქართველოს ხელისუფლებამ ამ მიმართულებით მთავარი ნაბიჯები უნდა გადადგას".

*გოგი ხუციშვილი, პოლიტოლოგი:* "არჩევნების შედეგები მოლაპარაკებებზე დადებითად იმოქმედებს, ვინაიდან ბაგაფში, როგორც ფიგურა, განსხვავდება როგორც არძინბას, ისე ხაჯიმბასგან. ამიერიდან აფხაზები გადაწყვეტილებებს მიიღებენ არა რუსეთის კარნახით, არამედ უფრო დამოუკიდებლად იაზროვნებენ".

*საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება:* "მიუხედავად ჩვენი წინააღმდეგობისა, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების ჯგუფმა, ვიცე-სპიკერ სერგეი ბაბურინის ხელმძღვანელობით, ქართული ვიზების გარეშე და საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად, უკანონოდ გადაკვეთა სახელმწიფო საზღვარი და ჩავიდა აფხაზეთში (საქართველო). ისინი უხეშად ჩაერივნენ თვითგამოცხადებული აფხაზეთის ე.წ "საპრეზიდენტო არჩევნებში", სეპარატისტული რეჟიმის მხარდასაჭერად გააკეთეს სრულიად ერთმნიშვნელოვანი მოწოდებები აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე".

**25 იანვარი - სტრასბურგში, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იუშჩენკოს პატივსაცემად, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის სახელით, გაიმართა ოფიციალური მიღება. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე გამოსვლისას, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა წარადგინა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო ინიციატივა.**




*მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი:* "საქართველოს ხელისუფლება სამხრეთ ოსეთს სთავაზობს იმაზე გაცილებით ფართო ავტონომიას, ვიდრე ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკას აქვს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში".

*ნინო ბურჯანაძე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე:* "ურთიერთობების დალაგება შესაძლებელია, მაგრამ თუ მეორე მხარეს იგივე სურვილი არ ექნება, სამშვიდობო მოლაპარაკებებზე საუბარი უფრო გართულდება... სეპარატისტთა ლიდერების მოსკოვურ ვოიაჟებს, როგორც წესი, რუსეთის მხრიდან ისეთი რეკომენდაციები მოჰყვება ხოლმე, რომლებიც კონფლიქტების მოგვარების საქმეს სულაც არ უწყობს ხელს".

*ედუარდ კოკოითი, სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის დე-ფაქტო პრეზიდენტი:* "სამხრეთ ოსეთის სტატუსი მოსახლეობამ 1992 წლის რეფერენდუმზე განსაზღვრა, რომელზეც 99,8 პროცენტმა საქართველოსგან დამოუკიდებლობას მისცა ხმა".

**1 თებერვალი - გორში, შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის შენობის წინ ძლიერი აფეთქება მოხდა, რომლის შედეგად დაიღუპა სამი და დაიჭრა 23 ადამიანი. საქართველოს ხელისუფლებამ მომხდარს ტერაქტის კვალიფიკაცია მისცა.**



*ირაკლი ოქრუაშვილი, საქართველოს თავდაცვის მინისტრი:* "საქმე შემთხვევით მოვლენას არ ეხება. იგი სერიოზული ძალების მიერ არის ორგანიზებული. ეს იმ ადამიანების მოწყობილია, ვისაც არ უნდა, რომ საქართველოში სიმშვიდე და წესრიგი იყოს".

*ზურაბ ჟვანია, საქართველოს პრემიერ-მინისტრი:* "ტერაქტის ორგანიზატორების ამოცანა საქართველოში პანიკის დათესვა იყო. მათ შორსმიმავალი გეგმები ამოძრავებდათ და ბუნებრივია, ჩვენი პასუხი უნდა იყოს ორგანიზებული".

*გოგა ხაინდრავა, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხში:* "ტერაქტი გარე ძალების მიერ არის ორგანიზებული, რამაც არა მარტო ქართველები, არამედ ოსებიც აღაშფოთა".

**3 თებერვალი - გარდაიცვალა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია**

*მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი:* "ზურაბ ჟვანიას სიკვდილით დავკარგე ყველაზე ახლო მეგობარი, ყველაზე სანდო მრჩეველი და მოკავშირე... ზურაბ ჟვანიას დაკარგვა დიდი დარტყმაა როგორც ქვეყნისთვის, ისევე პირადად პრეზიდენტისთვის".

*ილია მეორე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი:* "ის იყო ადამიანი, რომელიც გამოირჩეოდა დიდი ინტელექტით, დიდი კულტურითა და დიდი რწმენით. ის იყო მუდამ პირველი - პირველი აზროვნებაში, პირველი სიკეთის კეთებაში და აი, დღესაც, ზურაბ ჟვანია არის პირველი, ის პირველი დაესვენა ამ ახლადაშენებულ წმინდა სამების ტაძარში".

*ჯეიმს ვულფენსონი, მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი:* "იმ რეფორმების განხორციელება და გაღრმავება, რომელსაც ზურაბმა პრემიერ-მინისტრის პოსტზე ერთი წლის განმავლობაში ყოფნის დროს ჩაუყარა საფუძველი, ალბათ, საუკეთესო პატივის მიგება იქნება მისი ხსოვნისთვის".

*ხოსე მანუელ ბაროსო, ევროკომისიის პრეზიდენტი:* "პრემიერ-მინისტრის პოსტზე ყოფნისას, ზურაბ ჟვანიამ უდიდესი წვლილი შეიტანა ქართველი ხალხისთვის უკეთესი ცხოვრების მშენებლობაში".



*კახა ბენდუქიძე, სახელმწიფო მინისტრი:* "პრეზიდენტმა დამავალა, რომ გაგრძელდეს ის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ბატონმა ზურაბმა დაიწყო. გაგრძელდება მუშაობა ყველა საპრივატიზაციო მოლაპარაკებაზე, ყველა ხელშეკრულება იქნება შესრულებული, შესრულდება აქამდე დაგეგმილი ყველა ეკონომიკური პროექტი".

*ირაკლი ბათიაშვილი, მოძრაობა "წინ, საქართველო":* "პრემიერ-მინისტრის გარდაცვალება ქვეყნისთვის ტრაგედიაა, რადგან საქართველომ დიდი პოლიტიკოსი დაკარგა".

*დავით გამყრელიძე, ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" თავმჯდომარე:* "პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია ამჟამინდელ ხელისუფლებაში სტაბილურობის სერიოზული ფაქტორი იყო და მისმა დაღუპვამ, შესაძლოა, სერიოზული დესტაბილიზაცია გამოიწვიოს".

*დავით ბერძენიშვილი, რესპუბლიკური პარტია, პარლამენტარი:* "ცხოვრებიდან წავიდა ჩვენი პოლიტიკური თაობის წამყვანი ფიგურა".

*ლევან ბერძენიშვილი, რესპუბლიკური პარტია, პარლამენტარი:* "იგი წლების განმავლობაში ჩემი ხელმძღვანელი იყო. შემდეგ მე ოპოზიციაში აღმოვჩნდი. ამის მიუხედავად, ჩვენ პიროვნულად შესანიშნავი ურთიერთობები გვქონდა".

*ზვიად ძიძიგური, კონსერვატორული პარტია, პარლამენტარი:* "პრემიერ-მინისტრი შიდა სამთავრობო დაპირისპირების მსხვერპლი არ არის, რადგან ქვეყნის მთავრობა ერთიანი კურსით მოქმედებდა. ხელისუფლება ვალდებულია, ბოლომდე შეისწავლოს ზურაბ ჟვანიას დაღუპვის მიზეზები და გაარკვიოს, ხომ არ ურევია მომხდარში უცხო ქვეყნების სპეც-სამსახურების ხელი. ჩემთვის სავსებით დამაჯერებელია ის ვერსია, რასაც ხელისუფლება ოფიციალურად აცხადებს, თუმცა, ჩვენ, როგორც სახელმწიფო, ვალდებული ვართ, გადავამოწმოთ ყველა შესაძლო ვარიანტი".

*ედურად კოკოითი, სამხრეთ ოსეთის ყოფილი რესპუბლიკის დე-ფაქტო პრეზიდენტი:* "ზურაბ ჟვანია ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების მომხრე იყო და დიდი ძალისხმევა გაიღო 2004 წლის ზაფხულში ქართული აგრესიის შესაჩერებლად".

*გია ნოდია, პოლიტოლოგი:* "ისეთი პოლიტიკური ფიგურის შემცვლელი, როგორიც ზურაბ ჟვანია იყო, რეალურად არ არსებობს".

**15 თებერვალი - პარლამენტმა, 175 ხმით, 24-ის წინააღმდეგ, დაამტკიცა მთავრობის შემადგენლობა პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის ხელმძღვანელობით.**

*ნინო ბურჯანაძე, პარლამენტის თავმჯდომარე:* "ახალმა მინისტრთა კაბინეტმა ძველი კაბინეტის კურსი უნდა გააგრძელოს. საქართველოს პარლამენტი აპირებს, კონსტრუქციულ და ხელშეწყობის რეჟიმში იმუშაოს მინისტრთა კაბინეტთან, თუმცა, თავის მხრივ, მოითხოვს, რომ მინისტრთა კაბინეტს ასეთივე კონსტრუქციული რეჟიმი ჰქონდეს პარლამენტთან თანამშრომლობისას".

**10 მარტი - საქართველოს პარლამენტმა, 158 ხმით, ერთსულოვნად მიიღო დადგენილება "საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზების შესახებ". დადგენილების თანახმად, რუსეთის ხელისუფლებას მოეთხოვა, რომ საქართველოში განთავსებული თავისი ბაზები 2006 წლის 1 იანვრამდე გაიყვანოს. იმ შემთხვევაში, თუ ბაზების გაყვანის კონკრეტულ, ქართული მხარისთვის მისაღებ ვადებზე შეთანხმების მიღწევა 2005 წლის 15 მაისამდე ვერ მოხერხდებოდა, ოფიციალური თბილისი ცალმხრივი ზომების მიღებას აპირებდა.**

*მიხეილ მარგელოვი, რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე:* "თუ საქართველოს რუსული ბაზების დაუყოვნებლივი გაყვანა სურს, ამ შემთხვევაში მოსკოვს არც სურვილი აქვს და ვერც რაიმე აზრს ხედავს იმაში, რომ ამას შეეწინააღმდეგოს. თუმცა, საჭიროა მყარი გარანტიები იმისა, რომ საქართველოში რუსულ ბაზებს მესამე ქვეყნის ჯარები არ ჩაენაცვლებიან".

*ვიაჩესლავ სედოვი, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი:* "საქართველოს პარლამენტის დადგენილება კონტრპროდუქტიულია. პრობლემას ულტიმატუმი ვერ მოაგვარებს. ეს მხოლოდ მოლაპარაკებების მაგიდასთან უნდა გადაწყდეს".

*სალომე ზურაბიშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი:* "რუსეთს ჩვენ ორი თვე მივეცით, რადგან ვფიქრობთ, რომ თუ არსებობს პოლიტიკური ნება იმისა, რომ შეთანხმებამდე მივიდეთ, ეს დრო სავსებით საკამრისია. ეს პერიოდი არის იმ პოლიტიკური ნების გასინჯვის შესაძლებლობა, რომელიც ჩვენი მხრიდან არსებობს, მაგრამ არ ვიცით, არსებობს თუ არა რუსეთის მხრიდან".

*ჰარი რიდი, ამერიკელი სენატორი:* "ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს და მიგვაჩნია, რომ რუსეთმა თავისი ბაზები უნდა გაიყვანოს. დარწმუნებული ვარ, მოსკოვთან მოლაპარაკებები შედეგს გამოიღებს".

**23 აპრილი - კრწანისის სასწავლო ცენტრში გაიმართა "სტაბილურობის შენარჩუნების" ქართულ-ამერიკული სამხედრო პროგრამის პრეზენტაცია, რომელმაც "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა შეცვალა.**



*ლევან ნიკოლეიშვილი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსი:* "პროგრამის მიზანია საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობის შენარჩუნება და განმტკიცება. ის საქართველოს სამხედრო ძალების გაძლიერებას ითვალისწინებს. ამ პროგრამისთვის აშშ 50 მილიონ დოლარს გამოყოფს. ახალი პროგრამის ფარგლებში დაახლოებით 1800 სამხედრო მოსამსახურე გაიწვრთნება".

**24-28 აპრილი - ძლიერი წვიმებით გამოწვეული წყალდიდობების შედეგად, მნიშვნელოვნად დაზარალდა ამბროლაურის, ლენტეხის, ცაგერის, ონის, მესტიის, წყალტუბოს რაიონები, ქალაქი ქუთაისი, აგრეთვე ქვემო და შიდა ქართლის რეგიონების სოფლები. დაინგრა ხიდები, ჩაიხერგა გზები, დაიტბორა საცხოვრებელი სახლები, უსახლკაროდ დარჩა უამრავი ოჯახი, დაიღუპა რამდენიმე ადამიანი, მთელი რიგი სოფლები მოწყდა რაიონულ ცენტრებს.**



**9 მაისი - ტრაგიკულად დაიღუპა საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული გურიის მხარეში ზეგან (ვანი) კალანდაძე.**





**9-10 მაისი - საქართველოს ოფიციალურ ვიზიტად ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, მეუღლესთან ლორა ბუშთან ერთად. საპატიო სტუმართა შორის იყო აგრეთვე აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი. ამერიკის პრეზიდენტისა და მისი მეუღლის პატივსაცემად, აბანოთუბანში გაიმართა საზეიმო კონცერტი.**

*დავით უსუფაშვილი, რესპუბლიკური პარტიის ლიდერი:* "ჯორჯ ბუშის საქართველოში სტუმრობა უმნიშვნელოვანესი მოვლენაა "ვარდების რევოლუციისა" და ბათუმის მოვლენების შემდეგ. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ამაზე მნიშვნელოვანი, პოლიტიკური თვალსაზრისით, ქვეყანაში არაფერი მომხდარა".

*დავით დარჩიაშვილი, ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი:* "მნიშვნელოვანია თავად ვიზიტის ფაქტი. ეს აჩვენებს საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდაჭერას მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოს მხრიდან. პირველ რიგში, ეს ფაქტი რუსეთისთვის არის მიმანიშნებელი".

*კობა დავითაშვილი, კონსერვატორული პარტიის თავმჯდომარე, პარლამენტარი:* "ეს იყო ვიზიტი-ჟესტი, რომლითაც ბუშმა მესიჯი გაუგზავნა რუსეთს, რომ მოსკოვში მისი სტუმრობა არ ნიშნავდა რუსეთისთვის კარტ-ბლანშის მიცემას საქართველოს ან ბალტიისპირეთის წინააღმდეგ მიმართული აგრესიული ზრახვების განსახორციელებლად".

*არჩილ გეგეშიძე, პოლიტოლოგი:* "ბუშის ვიზიტი მიანიშნებს, რომ საქართველოსადმი ამერიკის მხარდაჭერა თანაბრდება ბალტიისპირეთისადმი შეერთებული შტატების მხარდაჭერის დონესთან... საერთოდ, ამერიკა-საქართველოს ურთიერთობა ნათელი მაგალითია თანამედროვე, ცივილიზებულ მსოფლიოში დიდსა და პატარა სახელმწიფოებს შორის პარტნიორული ურთიერთობისა. ამით ამერიკა ემიჯნება ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს, რომელსაც სურს, რომ ყოველთვის მუხლებზე დაჩოქილი გვიხილოს".

*ზურაბ ნოღაიდელი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი:* "ეს ვიზიტი დიდად შეუწყობს ხელს საერთაშორისო არენაზე საქართველოს ავტორიტეტის ამაღლებას".

*ჯორჯ ბუში (გამოსვლა კონგრესში):* "ეს დიდებული ტურნე იყო. ფანტასტიკური შეგრძნებაა, იდგე თავისუფლების მოყვარული 150 ათასი ადამიანის წინაშე".

**30 მაისი - საქართველო და რუსეთი სამხედრო ბაზების თაობაზე შეთანხმდნენ. ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა, სალომე ზურაბიშვილმა და სერგეი ლავროვმა მოსკოვში ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას, რომლის თანახმადაც, რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან 2008 წლის განმავლობაში უნდა დასრულდეს.**

მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი: "ეს არის ისტორიული მოვლენა ჩვენი ქვეყნისთვის. მიმაჩნია, რომ პრეზიდენტმა პუტინმა გამოიჩინა გამბედაობა, აჩვენა მშვენიერი პოლიტიკური ალღო, მოახდინა საღი აზრისა და თამამი პოლიტიკური ნაბიჯის დემონსტრირება. არ შემიძლია, ეს არ დავაფასო".

*ზურაბ ნოღაიდელი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი:* "საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბაზების საკითხი მოლაპარაკებების გზით გადაიჭრა. ჩვენ კმაყოფილები ვართ იმ კონსტრუქციული დამოკიდებულებით, რომელიც რუსეთმა მოლაპარაკებების პროცესში და მათი დასრულებისას გამოიჩინა".



*სალომე ზურაბიშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი:* "რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ახალი ეტაპი იწყება. შეთანხმება, რასაც მივაღწიეთ, ორსაუკუნოვანი ისტორიის დაბოლოებაა. ალბათ, შემდგომში უფრო მივხვდებით, რამდენად მნიშვნელოვანი რამ მოხდა ამ დღეებში".

**3 ივნისი - პარლამენტმა დაამტკიცა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალი შემადგენლობა. ცესკო-ს თავმჯდომარედ აირჩიეს გია ქავთარაძე, რომელსაც 147-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი.**

*კახა კუკავა, "კონსერვატორი" პარლამენტარი:* "ახალი ცესკო "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთ განყოფილებას წარმოადგენს, რომელიც ვაკის, ზუგდიდის და სხვა რაიონების პარტიული აქტივისტებით არის დაკომპლექტებული".

*ზვიად ძიძიგური, "კონსერვატორი" პარლამენტარი:* "ეს ხალხი არჩევნების ობიექტურად ჩასატარებლად კი არ შეირჩა, არამედ იმისთვის, რომ არჩევნების დროს ხელისუფლების მიერ მიწოდებული ციფრები დაადასტუროს. ცესკო-ს ახალი შემადგენლობა ყოველგვარი დამორცხვების გარეშე გააყალბებს არჩევნებს".

*გიგა ბოკერია, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი:* "საარჩევნო ადმინისტრაცია პროფესიული ნიშნით დაკომპლექტდა და ეს იძლევა შანსს, რომ მომავალი არჩევნები პოლიტიკური ვაჭრობის საგანი აღარ იქნება".

გაგრძელება A3 გვერდზე

**დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საყურადღებოდ!**

შპს "საქართველოს რკინიზა"-მ საკუთარ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა საკონკურსო წესით შესასყიდი პროდუქციის ნუსხა. (ტურნიკეტები, სავაგონო საწორი და სხვა) შესყიდვებთან დაკავშირებული ყველა დამატებითი ინფორმაცია გთხოვთ მოიძიოთ http://www.railway.ge (ტენდერები) მისამართზე.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# საქართველო 2005 წელს

## მოვლენები და შეფასებები

A2 გვერდიდან

*რატი სამყურაშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი:* "ეს მოდელი პასუხისმგებლობას მთლიანად ჩვენ, ხელისუფლებას გვაკისრებს და პირობას ვდებთ, რომ არჩევნების საერთაშორისო სტანდარტებს დავამკვიდრებთ".

**1 ივლისი - საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა დეპუტატ გიგა ბოკერიას საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც თბილისის მერის არაპირდაპირი გზით (საკრებულოს შემადგენლობიდან) არჩევას ითვალისწინებს.**

*ედვარდ სურმანიძე, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე:* "საკრებულოს შემადგენლობიდან მერის არჩევის მოდელი, მინიმუმ, ორი-სამი საარჩევნო ციკლის განმავლობაში წარმატებით იმუშავებს".

*ალექსანდრე შალამბერიძე, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე:* "თბილისის მერის პირდაპირი არჩევა ისეთივე საფრთხეს შეიცავს, როგორსაც, მაგალითად, თავის დროზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის პოსტის შემოღება".

*გიგა ბოკერია, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი:* "თბილისის მერის არაპირდაპირი გზით არჩევა დემოკრატიული მოდელია. მერის პირდაპირი არჩევნები ინსტიტუციონალურ კონფლიქტს გამოიწვევს და ქვეყანას დიდი საშიშროების წინაშე დააყენებს".

*ივლიანე ხაინდრავა, რესპუბლიკური პარტია, პარლამენტარი:* "ხდება დემოკრატიის ფალსიფიცირება. სახელისუფლებო გუნდი, დემოკრატიის ნაცვლად, მის სუროგატს გვთავაზობს. თბილისის მერის არაპირდაპირი არჩევით სერიოზული ბზარი გაჩნდება ხელისუფლებასა და ოპოზიციას, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის".



**12 ივლისი - პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით, თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი თანამდებობიდან გათავისუფლდა. ეს პოსტი პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიგი უგულავამ დაიკავა.**

*მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი:* "იმედია, გიგი უგულავას ხელში უფრო სწრაფად წავა ყველაფერი. მომავალში ველით სამშენებლო ბუმს, 200-300 მილიონი ლარი მოხმარდება გზების რეაბილიტაციას. თბილისის მერად ის დიდი ხნით მოდის".

**21 ივლისი - სამართალდამცავებმა დააკავეს ვლადიმერ არუთინიანი, რომელმაც 10 მაისს, თბილისში, თავისუფლების მოედანზე ჯორჯ ბუშის სიტყვით გამოსვლის დროს, ხელყუმბარა ისროლა.**



**4 აგვისტო - თბილისს ეწვია აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა, რომელმაც კონფლიქტების დარეგულირების საკითხში საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან გოგა ხაინდრავასთან მოლაპარაკებები გამართა.**

*სერგეი შამბა, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი:* "ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის მმართველობის პირობებში უფრო მეტად არის შესაძლებელი ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების წარმოება და გადაწყვეტილებების მიღებაში წინსვლა".

*გოგა ხაინდრავა, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხში:* "ნდობის აღდგენის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი საკითხის, - აფხაზეთში უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების, ურთიერთგაგებისა და ნდობის აღდგენის, - განხილვისას, სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა. ბევრ საკითხში მხარეები ახლოს არიან ურთიერთმისაღები კომპრომისების მიღწევასთან".

**5 აგვისტო - ოპოზიციურმა პარტიებმა გააფორმეს შეთანხმება, რომ "მემარჯვენეები", "ლეიბორისტები", "კონსერვატორები" და "თავისუფლება" 1 ოქტომბრის შუალედურ არჩევნებზე საერთო კანდიდატებს წარადგენდნენ.**

*კობა დავითაშვილი, კონსერვატორული პარტიის თავმჯდომარე, პარლამენტარი:* "ხელისუფლება, სამწუხაროდ, ძალადობის გზას დაადგა და მხოლოდ ერთიანობის დემონსტრირებით შეგვიძლია სახელისუფლებო ანტიდემოკრატიასთან ბრძოლა".

*დავით გამყრელიძე, ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" თავმჯდომარე:* "მიუხედავად თანამშრომლობისა, ჩვენ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები გვექნება და განსხვავებულ მოსაზრებებს გამოვხატავთ".

*შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე:* "ოპოზიციურმა ძალებმა, როგორც იქნა, თანამშრომლობის წერტილი მონახეს".

**27 აგვისტო - პარლამენტარ კობა ბექაურისთვის ფულის გამოძალვის ბრალდებით, სამართალდამცავებმა დააკავეს ტელეკომპანია "202"-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი და წამყვანი შალვა რამიშვილი.**



*კობა ბექაური:* "ალტერნატივის წინაშე მაყენებდნენ, მეუბნებოდნენ, რომ "ინვალიდთა ლიგის" ვალის, ყალბ აქტივებად აღიარებული 680 ათასი ლარის გადახდა უზრუნველმეყო ან ხელზე გადამეხადა 100 ათასი დოლარი".

*შალვა რამიშვილი:* "კობა ბექაური არასდროს დამიშანტაჟებია. პირიქით, სამი თვის განმავლობაში ბექაური მირეკავდა და მთხოვდა, ფილმი არ გამეშვა. ამის უამრავი მოწმე არსებობს...მე ცუდი შერლოკ ჰოლმსი გამოვდექი, ბექაურმა ჭკუით მაჯობა".

**15 სექტემბერი - გაერო-ს გენერალური ასამბლეის მე-60 საიუბილეო სესიაზე გამოსვლისას, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აფხაზეთის "ამორალურ აგრესიაზე" ისაუბრა. სააკაშვილმა გაერო-ს კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოწესრიგების სამშვიდობო გეგმა წარუდგინა.**

*მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი:* "აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ეთნიკური წმენდა განხორციელდა. ასობით ათასი დევნილი სახლებიდან გამოყარეს. ამ სახლებს კი მეზობელი ქვეყნის ჩინოვნიკები უკანონოდ ეპატრონებიან და ეს მთელი მსოფლიოს, გაერო-სა და საერთაშორისო ორგანიზაციების თვალწინ ხდება. საერთაშორისო საზოგადოება ამას არ უნდა შეეგუოს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ კი აფხაზეთის ბინძური ანექსია აღიაროს".

**20 სექტემბერი - სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, "დამოუკიდებლობის დღის" აღსანიშნავად, ცხინვალში სამხედრო აღლუმი გამართა, რომელსაც რუსეთის ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლებიც დაესწრნენ. საღამოს 7 საათისთვის დაუდგენელმა პირებმა ცხინვალის მიმართულებით გახსნეს ცეცხლი. საქართველოს ხელისუფლებამ მომხდართან რაიმე კავშირი კატეგორიულად უარყო.**

*მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი:* "იქ (ცხინვალის რეგიონში) რომ პროვოკაციები ხდება, ეს იმ ადამიანების სინდისზეა, ვინც ჩვენს მეზობლად და ადგილზე მართავენ სიტუაციას. იმ ხალხის სინდისზეა, რომლებიც უკვე მრავალი თვეა, ჩვენი სამშვიდობო ინიციატივების საპასუხოდ, უარს ამბობენ შეხვედრაზეც კი, მოლაპარაკებებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ის, რაც რეგიონში ხდება, უხეში გამოწვევაა ყველა შეთანხმებისა და ქართული სახელმწიფოს მიმართ".

*მიხეილ კამინინი, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი:* "ყურადღებას იქცევს ფაქტი, რომ დაბომბვის დღეს სამხრეთ ოსეთში ნაციონალურ დღესასწაულთან დაკავშირებული ღონისძიებები ტარდებოდა. გასაგებია, რომ ამან გარკვეული ძალები გააღიზიანა".

*დიმიტრი რუპელი, ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე, სლოვენიის საგარეო საქმეთა მინისტრი:* "ცხინვალის მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვილკალიბრიანი იარაღით დაბომბვა არის არა მარტო ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების სერიოზული დარღვევა, არამედ ცივილიზებული მოქმედებების ყველა ნორმას ეწინააღმდეგება".

*გოგა ხაინდრავა, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხში:* "ვინც ცხინვალის რეგიონში სროლა ატეხა, საქართველოს დაუძინებელი მტერი და დეგენერატია. იმედი მაქვს, საერთაშორისო ჩარევის შედეგად გაირკვევა, თუ ვინ და რატომ ჩაიდინა ეს პროვოკაცია".

*ედუარდ კოკოითი, სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი:* "სანამ ოფიციალური თბილისი ბოდიშს არ მოიხდის, შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში მუშაობას შევწყვეტთ. ამ სიტუაციაში საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ზურაბ ნოღაიდელთან შეხვედრაზე საუბარიც კი რთულია".

**1 ოქტომბერი - ბათუმის, ქობულეთის, შუახევის, ტყიბულის და თბილისის ისნის საარჩევნო ოლქებში ჩატარდა პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატების შუალედური არჩევნები. ხუთივე საარჩევნო ოლქში სახელისუფლებო გუნდის კანდიდატებმა გაიმარჯვეს.**



*დავით ბერძენიშვილი, რესპუბლიკური პარტია, პარლამენტის წევრი:* "ამ არჩევნებში ოპოზიცია წამყვანი შემადგენლობით არ გამოსულა. მის ძირითად კანდიდატებს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ. მიუხედავად ამისა, 1 ოქტომბერს დადასტურდა, რომ ხელისუფლებას დაბალი რეიტინგი აქვს. მისი მაჩვენებელი 25 პროცენტს არ აღემატება, მაშინ როდესაც ოთხი წამყვანი ოპოზიციური პარტიის რეიტინგთა ჯამი ამ მაჩვენებელზე მეტია".

*ფიქრია ჩიხრაძე, ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" წევრი:* "პროსახელისუფლებო კანდიდატების სასარგებლოდ ძალიან დიდი საბიუჯეტო სახსრები დაიხარჯა. ამასთან, გამოყენებული იქნა გამგებლებისა და პოლიციის ადმინისტრაციული რესურსი".

*მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი:* "ამ არჩევნებში ოპოზიციას კატასტროფული მაჩვენებელი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ შუალედური არჩევნები ოპოზიციის არჩევნებად ითვლება და ამ დროს საპროტესტო ელექტორატი მძლავრობს, 1 ოქტომბერს ასეთი რამ ნამდვილად არ მომხდარა და ოპოზიცია ყველა ოლქში პირწმინდად დამარცხდა".

**11 ოქტომბერი - საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, კონფლიქტის ზონებში განთავსებული რუსული სამშვიდობო ძალების საქმიანობა "მკვეთრად უარყოფითად" არის შეფასებული. მომდევნო ოთხი თვის განმავლობაში პროგრესის არარსებობის შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლება 2006 წლის 15 თებერვლიდან ცხინვალის რეგიონში, 1 ივლისიდან კი, - აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციის შეწყვეტას მოითხოვს.**

*კოტე გაბაშვილი, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე:* "გაყინული კონფლიქტები ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიის ანექსიაში გადაიზარდა. რუსები არანაირ ფუნქციას არ ასრულებენ, ისინი მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის ანექსიას ახორციელებენ. ამ დადგენილებას აუცილებლად ექნება საერთაშორისო მხარდაჭერა და ეს მისი წარმატებით შესრულების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა".

*დავით ბაქრაძე, ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე:* "ამ ვადას, რუს სამშვიდობოებთან ერთად, საკუთარ თავსაც ვუწესებთ, რათა კონფლიქტის ზონებში მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოება უზრუნველვყოთ".

*კობა დავითაშვილი, კონსერვატორული პარტიის თავმჯდომარე, პარლამენტის წევრი:* "ეს არ არის გადაწყვეტილება რუსი სამშვიდობოების გაყვანის შესახებ, ამ დადგენილებით პარლამენტი თავის თავს ავალდებულებს, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მომავალი წლის თებერვალში მიიღოს".

*ფიქრია ჩიხრაძე, ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" წევრი:* "გაუგებარია, რატომ უნდა ველოდოთ მომავალი წლის თებერვალსა და ივლისს. ნუთუ, მხოლოდ იმიტომ, რომ რუსებზე კიდევ ერთხელ გავბრაზდეთ?".

**19 ოქტომბერი - პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შეთანხმებით, პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა თანამდებობიდან გადააყენა საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი.**



*მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი:* "იმ ქაოსსა და დეზორგანიზაციას, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროშია, დაუყოვნებლივ უნდა დავუსვათ წერტილი. საჭიროა, სამინისტრო მოვიდეს წესრიგში, როგორც შეესაბამება საქართველოს. იმ პირობებში, როდესაც ყველა სხვა სამინისტრომ, ასე თუ ისე, ისწავლა მუშაობა, ეს სამინისტროც ბოლომდე უნდა ამოიქაჩოს. მე საკმარისად ვითმინე".

*ზურაბ ნოღაიდელი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი:* "პარლამენტის თავმჯდომარე და დეპუტატები ძალიან რადიკალურად არიან განწყობილნი და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან სალომე ზურაბიშვილის გადაყენებას კატეგორიულად ითხოვენ".

*სალომე ზურაბიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი:* "ეს გეგმაზომიერი ბუნტი პირადად ჩემს წინააღმდეგ კი არა, არამედ პრეზიდენტის წინააღმდეგ არის მიმართული...პარლამენტი ამზადებდა ისეთ სიტუაციას, რომელშიც უცხო სხეულად ვგრძნობ თავს".

*ლევან რამიშვილი, არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელი:* "როგორც დიპლომატი, სალომე ზურაბიშვილი საკმაოდ ძლიერი პროფესიონალი და, ამავე დროს, წარმატებული მინისტრი იყო. თუმცა, რასაკვირველია, უშეცდომო არავინაა".

*სერგეი მარკედონოვი, რუსი ექსპერტი:* "სალომე ზურაბიშვილის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი ბევრად არ შეიცვლება".

**19 ნოემბერი - ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ვიზიტად მყოფი გაერო-ს გენერალური მდივანი კოფი ანანი თბილისში შეჩერდა და საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს შეხვდა.**

*მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი:* "უკიდურესად იმედგაცრუებული ვართ აფხაზეთში შექმნილი ვითარების გამო... მთელი მსოფლიოს დასანახად ხდება დანაშაული კაცობრიობის წინაშე, აფხაზეთში სულ უფრო მეტი იარაღი შედის და ხდება ამ რეგიონის სრული მილიტარიზაცია. იმედი მაქვს, ამ მიმართულებით გაერო გააქტიურდება".



*კოფი ანანი, გაერო-ს გენერალური მდივანი:* "ჩვენ არც შემდგომში დავიშურებთ ძალისხმევას და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან ერთად შევეცდებით, ამ პრობლემების გადაჭრის გზები მოვძებნოთ".

**5 დეკემბერი - სლოვენიის ქალაქ ლუბლიანაში გამართულ ეუთო-ს მინისტერიალზე მიღებული იქნა განცხადება საქართველოს შესახებ, რომელშიც განხილულია რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის, ასევე აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების საკითხები. ეუთო-ს ქვეყნებმა, მათ შორის, რუსეთმა მხარი დაუჭირა საქართველოს მიერ წარდგენილ გეგმას ყოფილი სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების შესახებ.**



*ზურაბ ნოღაიდელი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი:* "სამი წლის განმავლობაში ვერ ხერხდებოდა კონსენსუსის მიღწევა. გუშინ კი საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი იქნა მიღებული".

*სერგეი ლავროვი, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი:* "ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მოლაპარაკებები უშუალოდ რუსეთსა და საქართველოს შორის, შუამავლების გარეშე წარიმართა. დოკუმენტის მიღება მოლაპარაკების მონაწილეთა რეალისტურმა პოზიციამ განაპირობა".

**13 დეკემბერი - სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებს, აგრეთვე ეუთო-ს მოქმედ თავმჯდომარეს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც იგი ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების სამეტაპიან გეგმაზე საუბრობს.**

*ზურაბ ნოღაიდელი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი:* "კოკოითის გეგმა ემთხვევა საქართველოს პრეზიდენტის სამშვიდობო ინიციატივას, რომელიც მან, არცთუ შორეულ წარსულში, საერთაშორისო თანამეგობრობას შესთავაზა".

*გოგა ხაინდრავა, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხში:* "ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების გეგმა, რომელიც ოსურმა მხარემ წარმოადგინა, ძალზე რეალისტურია და ფაქტობრივად, იმეორებს იმ მოსაზრებებს, რომელიც კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით ქართულ მხარეს გააჩნია. როგორც ჩანს, საღმა აზრმა გაიმარჯვა და ოსური მხარე მიხვდა, რომ ქართულ მხარესთან დიალოგს ალტერნატივა არა აქვს".

*ვალერი კენიაკინი, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი:* "კოკოითის პროგრამას სამხრეთ ოსეთში მიესალმებიან და ის მხოლოდ სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობის კი არა, არამედ რესპუბლიკის პოლიტიკური ისტებლიშმენტის ინიციატივას წარმოადგენს".

**21 დეკემბერი - ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის მოწესრიგების საქართველოს გეგმის მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღო. დოკუმენტში გამოთქმულია მხარდაჭერა საქართველოს სამშვიდობო გეგმისადმი და "საქართველოს შემადგენლობაში ამ რეგიონის წარმატებული და მშვიდობიანი რეინტეგრაციის" მიმართ.**



# 2005 წლის პრივატიზაციის ქრონიკები

## ექსპერტები განვლილ საპრივატიზაციო წელს "სამიანზე" აფასებენ

დიანა ჩაჩუა

*2005 წლის საპრივატიზაციო მარათონი დასრულდა. წელს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საშემოსავლო გეგმა 386 მილიონი ლარი იყო. სამინისტროს მესვეურების განცხადებით, გეგმა შესრულებულია. როგორ აფასებენ ექსპერტები განვლილ საპრივატიზაციო წელს და როგორ მიმდინარეობდა საპრივატიზაციო დოლი 2005 წელს? - ამის გარკვევას "24 საათი" ცდილობდა.*

საქართველოში გამოცხადებულ დიდ პრივატიზაციას მიმდინარე წელს სკანდალები არ აკლდა. 2005 წლის საპრივატიზაციო მარათონის ისტორია ასე იწყებოდა:

### "გაქცეული ინვესტორი" - დუბლი პირველი

2004 წლის 8 დეკემბერს საქართველოს ხელისუფლება გაზეთ "ფაინენშენლ ტაიმსში" აქვეყნებს განცხადებას "საოკეანო სანაოსნო კომპანიის" გაყიდვის განზრახვის შესახებ. ათ დღეში კი აფორმებს მემორანდუმს "გრინოკ გრუპთან", რომლის თანახმადაც, დანიური წარმოშობის იან ბონდე ნილსენის ბრიტანულ კომპანიათა ჯგუფმა, 107 მილიონ დოლარად, საქართველოს "საოკეანო სანაოსნოს" 100 პროცენტი დაისაკუთრა და ბათუმის პორტის სამი ნავმისადგომის მართვის უფლება მოიპოვა. ამ თემაზე ატეხილი სკანდალის შემდეგ მთავრობა აცხადებს, რომ მემორანდუმი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს და სანაოსნოზე გამოცხადებული ტენდერის ვადა 10 იანვრამდე გადადო. 10 იანვარს სატენდერო პაკეტები გაიხსნა: დანიური "Greenoak Group", იტალიური "აკვამარინი", თურქული "Koryat", რუსული "Проминвестор" და იტალიური "Co-Arma", გერმანული "შოლერი" და ავსტრალიური "არმსტრონგ ჰოლდინგი". ასეთი გახლდათ იმ კომპანიათა ნუსხა, რომელთა სახელებიც შოუდ ქცეულ ამ "პაკეტების გახსნის ცერემონიაზე" გაჟღერდა. მოგვიანებით, როცა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გამარჯვებული კომპანიის ვინაობა გამოაცხადა და "24 საათი" მისი ვინაობის გარკვევას შეეცადა, სახელმწიფო კანცელარიაშიც და ეკონომიკის სამინისტროშიც განუცხადეს, რომ სანაოსნოს პრივატიზაციაში გამარჯვებული ავსტრალიურ-ბრიტანული Armstrong Holdings Corporation(AHC)-ია, ASP Ship Management-თან ერთად, რომელიც მის მენეჯმენტს განახორციელებს.

"24 საათი" თავის დროზე ხაზგასმით წერდა, რომ Armstrong Holdings Corporation (AHC)-ის შესახებ ღია ინფორმაციის მოპოვება ძალიან გაძნელებული, თითქმის შეუძლებელი იყო. უშედეგოდ დასრულდა გაზეთის მიერ აღნიშნულ კომპანიაზე ინფორმაციის მიღების მცდელობა არა მხოლოდ მთავრობისაგან, არამედ ინტერნეტიდან და თავად საკრედიტო ბანკისგანაც. ერთადერთი ხელმისაწვდომი საინფორმაციო წყარო თავად ამ კომპანიის საიტი აღმოჩნდა, სადაც ფინანსური ინფორმაცია მთლიანად დახურული იყო. ამასთან, გაურკვეველია, რა ნიშნის მიხედვით მოიხსენიებოდა აღნიშნული კომპანია ბრიტანულად მაშინ, როცა AHC, თავად საკუთარი საიტის ინფორმაციის თანახმად, ოფშორულ ზონაში, დასავლეთ ინდოეთში ორი წლის წინ რეგისტრირებული კერძო კომპანიაა.

ოდნავ მოგვიანებით, Armstrong Holding Corp.-ის მიერ ქართულ აქტივებზე უარის თქმამ ბევრი კითხვა დაბადა. საოკეანო სანაოსნოს ისტორია ბრიტანულ-ამერიკული კომპანიიის შვილობილი კომპანიისთვის Georgian Tankers Ltd.-თვის 93 მილიონ დოლარად მიყიდვით დასრულდა.

### "გაქცეული ინვესტორი" - დუბლი მეორე

"საქართველოს საოკეანო სანაოსნოს" მფლობელად გამოცხადებული "არმსტრონგ ჰოლდინგ კორპორეიშენის" უეცარი "აორთქლების" შემდეგ "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" კასკადის მყიდველის მიერ ქართულ აქტივებზე უარის თქმა ქართულ საპრივატიზაციო სივრცეში ნალმის აფეთქების ტოლფასი გახლდათ. მით უმეტეს, რომ გამარჯვებული "ევრაზჰოლდინგი", იგივე "არმსტრონგ ჰოლდინგ კორპორეიშენისგან" განსხვავებით, საკმაოდ ცნობილი კომპანია გახლავთ და მან საქართველოში სერიოზული შერკინება გადაიტანა. ამ შერკინებაში გამარჯვების შემდეგ კომპანია "ნებით" ტოვებს საქართველოს, უარს ამბობს უკვე გადახდილ 20 მილიონზე და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, საქართველოს ხელისუფლებისადმი კომპლიმენტებს მაინც არ იშურებს.

"ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" პრივატიზების სურვილი თავიდან, ოფიციალურად ხუთმა კომპანიამ - უკრაინის ექსპრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას სიძის, პინჩუკის კუთვნილმა უკრაინულმა "ინტერპაიპმა", ჩეხურმა "მორავია-ჯორჯიამ", ყაზახურმა "კაზ-ხრომმა", რუსულმა "ევრაზჰოლდინგმა" და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მეპატრონე ავსტრიულმა "დეკომეტ-ალ-ფერომ" გამოთქვეს. თუმცა, საპრივატიზებო დოლს ჩეხური და ყაზახური კომპანიები თავიდანვე გამოეთიშნენ და ფინიშამდე მხოლოდ სამმა კონკურენტმა მიაღწია. ამის შემდეგ, რამდენიმე დღეში ახალი გარიგების შესახებ ხდება ცნობილი. კერძოდ, "ინტერპაიპს" "ბლოკი შეუკრეს" - ქართული აქტივები რუსულმა "ევრაზია ჰოლდინგმა" და ს/ს "ფეროს" ქართველმა აქციონერებმა ერთად, 132 მილიონ დოლარად შეისყიდეს. მალევე "ევრაზჰოლდინგთან" მემორანდუმიც გაფორმდა, სადაც ჩაიწერა, რომ "ევრაზჰოლდინგი" და ზესტაფონის "ფეროს" აქციონერები ერთობლივ კომპანია "ნიუ კო"-ს დააფუძნებდნენ, სადაც ფეროშენადნობთა ქარხნის აქციების 70,8 პროცენტი და "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" აქტივები უნდა ჩადებულიყო. თუმცა, მალევე "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" კასკადის პრივატიზების ისტორია საოკეანო სანაოსნოს გაყიდვის თავდაპირველ სცენარს დაემსგავსა, ანუ "ევრაზჰოლდინგმა" ქართულ აქტივებზე უარი თქვა.

ამ ფაქტის შემდეგ აქტიურად ვრცელდებოდა გარიგების ჩაშლის სხვადასხვა ვერსიები. მათ შორის: ოფიციალური ვერსიით, საქართველოს მთავრობასთან საპრივატიზებო შეთანხმების ოფიციალურად გაფორმების შემდეგ, კომპანიის ექსპერტებმა "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" ეკონომიკურ მიმზიდველობას რამდენიმეთვიანი ექსპერტიზა ჩაუტარეს და დაასკვნეს, რომ ეს საწარმოები არარენტაბელური და წამგებიანია, ამიტომ ამ აქტივებში კომპანიის კაპიტალის ინვესტირება არ ღირდა. პრემიერი ნოღაიდელი ირწმუნებოდა, რომ ბიუჯეტის "კაპიტალური შემოსავლების" გრაფა, "ჭიათურმანგანუმზე" ჩაშლილი საპრივატიზაციო პროცესის მიუხედავად, არ გაირღვეოდა. არაოფიციალური ვერსიით, "ევრაზჰოლდინგს" პრემიერ ჟვანიას მთავრობისგან განსაკუთრებული გარანტიები ჰქონდა მიღებული, რომლის უზრუნველყოფაც პრემიერ ნოღაიდელის მთავრობამ ვერ შეძლო. ოპოზიციის ვერსიით, "ევრაზჰოლდინგის" უარის შემდეგ, ფეროს აქციონერები, რომელთა უკან რომან აბრამოვიჩი დგას, ძალზე ადვილად ჩაიგდებენ "ჭიათურმანგანუმსა" და "ვარციხეჰესს" ხელში. მათ უკვე მოახერხეს "დაკარგულ" 20 მილიონად ფეროს აქციათა საკონტროლო პაკეტის "პირობითი საკუთრებიდან" "უპირობოში" გადატანა. დაბოლოს, ექსპერტების ვერსიით, "ევრაზჰოლდინგმა" მთავარი კონკურენტის - "ინტერპაიპის" გზიდან ჩამოშორება მოახერხა, რომელიც იმ ეტაპზე, ქართული აქტივების ყიდვით, ბაზარზე მონოპოლისტი ხდებოდა.

"ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" კასკადი კი კვლავ მყიდველის მოლოდინშია. იქამდე, "ჭიათურმანგანუმს" გაკოტრების მმართველი მართავს. თუმცა გადაიხდის კი "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" კასკადის ყიდვის მსურველი ინვესტორი ობიექტში 132 მილიონ დოლარს? ექსპერტებს ამაში ეჭვი ეპარებათ. **"საწარმოს ფასი დაიწევს, რადგან იმ ფასად მას აღარავინ იყიდის. "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" კასკადის შემთხვევაში, მინიმუმ, 50 მილიონ დოლარს წავაგებთ,"** - ასეთ პროგნოზს დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილი აკეთებს.

**"ერთი შეხედვით, გასაკვირია, რაში ჩადო 20 მილიონი დოლარი "ევრაზჰოლდინგმა". მაგრამ თუ კარგად დაუკვირდებით, 2006 წლის დასაწყისში დაგეგმილ ტენდერში იგივე რუსულმა კომპანიამ შეიძლება საწარმო საკმაოდ იაფად შეიძინოს,"** - ეჭვობს ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის ექსპერტი ზურაბ გარაყანიძე.



მადნეული.

### "აერომშენებელთა შეჯიბრი"

კითხვა - ვინ ააშენებს თბილისის აეროპორტს - თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში პასუხგაუცემელი იყო. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობაზე ტენდერი 2005 წლის დასაწყისში გამოცხადდა, სადაც თურქული "ჩელების", ლუქსემბურგული "ჯი-თი-ეს"-ის და ამერიკული "ეი-ენდ-ჯეი"-ის კონსორციუმმა გაიმარჯვა. თუმცა, მალევე, ამ კომპანიებს შორის წარმოქმნილი უთანხმოების გამო, კონსორციუმს ლუქსემბურგული კომპანია გამოეყო, რის შემდეგაც გამარჯვებულ კონსორციუმს ფინანსური პრობლემები შეექმნა და დადგენილ ვადებში საკუთარი გამარჯვება ფინანსური გარანტიით ვერ გაამყარა. შედეგად, აეროპორტის მშენებლობა მთავრობამ ტენდერში მონაწილე სხვა კომპანიას, "ტავისა" და "ურბანის" კონსორციუმს მიანდო.

თუმცა, ტენდერის გამო ატეხილი დიდი მითქმა-მოთქმა და ექსპერტთა უკმაყოფილება დღემდე არ განელებულა. ვრცელდებოდა გარიგების ჩაშლის შესახებ ინფორმაციები. ადგილი ჰქონდა "ჩელების" საჩივარსაც. საბოლოოდ, "აერომშენებელთა შეჯიბრი" მთავრობის გამარჯვებით დასრულდა. აეროპორტის მშენებლობა ოქტომბრის ბოლოს დაიწყო და მომავალი წლის შემოდგომისთვის უნდა დასრულდეს. მშენებლობის ვადები - ექსპერტების ეჭვის კიდევ ერთი საბაბია. საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ისაკაძე აეროპორტის მშენებლობისათვის გამოცხადებულ ტენდერს მძიმე შემთხვევას უწოდებს. ექსპერტს ვადების მართებულობაში ეჭვი ეპარება. **"საუბარი იყო თბილისის საერთაშორისო აეროპორტის სწრაფად აშენებაზე. ვისურვებდი, რომ ევროპული სტანდარტების აეროპორტის ასაშენებლად პრიორიტეტი სიდინჯეს და ხარისხს, და არა სწრაფად აშენებას მიენიჭოს,"** - აცხადებს ექსპერტი.

**"თავიდანვე ვაცხადებიდით, რომ აეროპორტის ტენდერი არასწორად ტარდებოდა. ტენდერს იმდენი ხარვეზი ჰქონდა, რომ მეტი არ შეიძლება. თუმცა, საბოლოოდ იმან გაიმარჯვა, ვისაც ამის ღირსად ვთვლიდით,"** - მიიჩნევს კიდევ ერთი ექსპერტი, პარლამენტის დარგობრივი და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილი.

### მადნეული "Проминвестор"-ის ხელშია

ზემოთ აღნიშნულ ობიექტებთან შედარებით, მადნეულის პრივატიზაციის პროცესმა "გაქცეული ინვესტორების" გარეშე ჩაიარა. "მადნეული" 8-ობიექტიან "თაიგულში" იყიდებოდა. სს "მადნეულით" დაინტერესებულთა რაოდენობა და მსურველთა გეოგრაფიული არეალი შთამბეჭდავი იყო - ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი, კანადა, შვეიცარია, ვირჯინიის კუნძულები, ავსტრია, რუსეთი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები. ერთკვირიანი "საპრივატიზაციო მარათონის" შემდეგ, ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ სს "მადნეულის" ახალ მფლობელად Stanton Equities Corporation-ი აღიარა, რომელმაც საწარმოში 35 მილიონ 100 ათასი დოლარი გადაიხადა.



რუსთავის მეტალურგიული კომბინატი.

საინტერესო დეტალი: "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ინფორმაციით, Stanton Equities Corporation-ი რუსული ბიზნეს-ჯგუფის Промышленные инвесторы-ს შვილობილი კომპანიაა. ის იმ ჯგუფის წევრი კომპანიაც არის, რომელიც ვირჯინიის კუნძულებზეა რეგისტრირებული. ექსპერტებს შორის თავიდანვე გაჩნდა ეჭვი, ხომ არ იყო Stanton Equities Corporation-ი სპეციალურად "მადნეულის" საყიდლად შექმნილი კომპანია? როგორც "24 საათს" Промышленные инвесторы-ის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მოსკოვში, ოლეგ რუმიანცევმა განუცხადა, Stanton Equities Corporation-ი "მადნეულის" აქციების ნომინალურ მფლობელს წარმოადგენს. რეალურად, კი, "მადნეულის" მმართველი კომპანია ბიზნეს-ჯგუფი Проминвестор-ია.

Stanton Equities Corporation-მა შპს "კვარციტის" 100 პროცენტიც შეისყიდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კომპანიას მომავალში "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" კასკადების საპრივატიზაციო პროცესებში მონაწილეობის მიღება აქვს დაგეგმილი.

### "უხმაურო" პრივატიზაცია

მიმდინარე წლის თებერვალში, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, პირდაპირი მიყიდვის წესით, "საქართველოს ტელეკომის" საკონტროლო პაკეტი ამერიკულ კომპანია "მეტრომედიას" (დამფუძნებელი -"ინტერნეიშენელ ტელსელი") მიყიდა, რომელიც იმ დროისთვის "საქართველოს ტელეკომის" 30-პროცენტიანი წილის მფლობელი იყო. "მეტრომედიას" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 51-პროცენტიანი წილი 5 მილიონ დოლარად გადაეცა.

"ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა" მისმა ერთ-ერთმა დებიტორმა შპს "თი-ჯი-თრეიდმა" პირდაპირი მიყიდვის წესით 6 მილიონ აშშ დოლარად იყიდა. დანარჩენი წილი კი საწარმოს დირექტორის ბადრი წილოსანის მფლობელობაში რჩება. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად საწარმო კონკურსის წესით უნდა გაყიდულიყო, რისთვისაც მარტის ბოლოს საწარმოზე კონკურსი გამოცხადდა. "ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნით", "თი-ჯი-თრეიდის" გარდა, ქართული შპს "ტრანსლოგისტიკი", ავსტრალიური შპს "ევრაზია ტრანსექსპედიშენი" და რუსული სამხრეთის სამრეწველო საინვესტიციო ჯგუფი "ბოიკო" იყვნენ დაინტერესებულები. ექსპერტებისთვის გაუგებარია, რა კრიტერიუმებით მიანიჭა ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ "თი-ჯი-თრეიდს" უპირატესობა და რატომ ჩაშალა საწარმოზე გამოცხადებული კონკურსი, მით უმეტეს, რომ ავსტრალიური კომპანია მზად იყო, "ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში" 8 მილიონ 500 ათასი აშშ დოლარი გადაეხადა.

### გაკოტრებული "აზოტი" 20 მილიონ დოლარად გაიყიდა

სექტემბრის დასაწყისში, ხუთთვიანი ლოდინის შემდეგ, სს "აზოტის" მფლობელი გამოვლინდა - ქართული კომპანია "ენერჯ ინვესტი", რომელიც ცნობილი რუსული ბანკის "ვნეშტორგბანკის" მხარდაჭერით მოქმედებდა. "ენერჯ ინვესტმა" "აზოტში" 20 მილიონი აშშ დოლარი გადაიხადა და მომდევნო ორი წლის განამავლობაში საწარმოში 18 მილიონი დოლარის ინვესტიციის განხორციელების ვალდებულებასაც იღებს საკუთარ თავზე. თუმცა, ის ფაქტი, რომ 20 მილიონი დოლარი "აზოტის" კრედიტორთა გრძელ ნუსხას სრულად ვერ დააკმაყოფილებს, ამას სამინისტროშიც აღიარებენ. არადა, კრედიტორები (მათ შორის, ყველაზე მსხვილი - "იტერა") ვალიდან არც ერთი თეთრის ჩამოწერას არ აპირებენ.

### ერთი ინვესტორის აუქციონი

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვის კონკურსზე "რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" ქონების ყიდვის სურვილი ხუთმა კომპანიამ დააფიქსირა. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღების ბოლო ვადამდე სამი დღით ადრე, გაკოტრების მმართველი მალხაზ ალბორიშვილი ყველაზე რეალურ მყიდველად "დონბასის ინდუსტრიულ კავშირს" ასახელებდა. თუმცა, მალევე ეს უკანასკნელი აუქციონს ეთიშება და ამის მიზეზად უკრაინელები ქარხნის გაკოტრების მმართველის მხრიდან ხელისშეშლას ასახელებდნენ. აუქციონზე საწარმოს ყიდვის ერთადერთი პრეტენდენტი "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი" იყო. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ქართული კომპანია აუქციონამდე რამდენიმე დღით ადრე გამოჩნდა. საბოლოოდ, "რუსთავის მეტალურგიული კომბინატი" "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსმა" საწყის ფასად - 22 მილიონ დოლარად იყიდა.

"ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი" ბრიტანეთის ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ კომპანიას ეკუთვნის. კიდევ უფრო საინტერესო ფაქტი: დღემდე უცნობია იმ ხელშეკრულების დეტალები, რომელიც "რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" გაკოტრების მმართველსა და ინვესტორს შორის დაიდო. თავის დროზე, "24 საათი" გაკოტრების მმართველისგან და ინვესტორისგან ხელშეკრულების ასლის მიღებას უშედეგოდ ცდილობდა. შესაბამისად, უცნობია საწარმოს ახალი მეპატრონეების ვალდებულებები და მიზნები.

### შეფასებები და რჩევები ხელისუფლებას

მსხვილი საპრივატიზაციო პროექტების პარალელურად შედარებით უხმაუროდ მიმდინარეობდა მცირე ობიექტების პრივატიზაცია. თუმცა ექსპერტების შეფასებით, აქაც დაფიქსირდა საინტერესო შემთხვევები.

**"ერთ-ორ ტენდერზე საინტერესო ფაქტები დავაფიქსირეთ, რომელთაც მე აუცილებლად გავაჟღერებ. მაგალითად, ერთ-ერთ ტენდერში გაიმარჯვა კომპანიამ, რომელსაც არაფერი გააჩნია. შემდეგ მოხდა მისი სხვა კომპანიასთან შეერთება. ახლა კი დარბიან და ობიექტს ყიდიან. გამოდის, რომ ობიექტი გადამყიდველს მივყიდეთ. სხვათა შორის, ეს სერიოზული ობიექტია,"** - აცხადებს ნიკო ლეკიშვილი, რომელსაც გარკვეული კითხვები და ეჭვები ბათუმის ნავთთობბაზის და ნარკოლოგიურის პრივატიზაციასთან დაკავშირებითაც აქვს. პრობლემა კვლავაც ინვესტორი და მისი ფინანსური ვალდებულებებია.

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური განვითარების კომიტეტის თავმჯდომარეს სერიოზული პრეტენზიები გააჩნია იმასთან დაკავშირებით, რომ არ ხდება ინვესტორების შესწავლა. **"ინვესტორის მიერ დასახელებული თანხა არ ნიშნავს, რომ მას ფული აქვს. ინვესტორების შესწავლა ან სპეციალურად არ ხდება, ან ძალიან დაბალ პროფესიონალიზმთან გვაქვს საქმე,** - აღნიშნავს ექსპერტი, - **ეჭვი მაქვს ერთ კომპანიაზე, რომელიც, ჩემი აზრით, პრივატიზაციისთვის სახელდახელოდ შეკოწიწებული და მოგონილია. ასეთი ინვესტორებისთვის ობიექტების მიცემა ძალიან არასერიოზული ნაბიჯია."** ნიკო ლეკიშვილი მიიჩნევს, რომ ქართულ კომპანიებს პრივატიზაციის პროცესში განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდება. **"დავანებოთ თავი ოფშორულ კომპანიებს. ძალიან ბევრმა ქვეყანამ თქვა უარი ოფშორული კომპანიების ქვეყანაში შემოშვებაზე,"** - მიიჩნევს ლეკიშვილი.

საინტერესო არგუმენტები მოაქვს ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის ექსპერტს ზურაბ გარაყანიძეს. **"სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანის ხელშეწყობა სამინისტროს კონტროლირებად "საწარმოთა მართვის სააგენტოს" დაევალა, რომლის თანამშრომელთა უმრავლესობა სახელმწიფო საწარმოთა სამეთვალყურეო საბჭოებში არიან გაერთიანებულნი. ამდენად, ისინი სამინისტროს საპრივატიზებო გეგმებს მაინცდამაინც დიდი ინტერესით არ უნდა ხვდებოდნენ, ელემენტარულად იმის გამო, რომ ამ საწარმოებიდან ხელფასს იღებენ, ხოლო პრივატიზების შემდეგ ახალი პარტნიორი საწარმოში მათ ან დატოვებს, ან არა. ამ ფონზე, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ძირითადი ფუნქცია - ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა მეორე პლანზე გადავიდა. სამინისტრომ უფრო ფისკალური დატვირთვა შეიძინა, რამაც არასაგადასახადო და პრივატიზებიდან მისაღები შემოსავლების მაქსიმიზაციისაკენ მისწრაფების ფონზე პრივატიზების გზით შემოსული ფულის წარმოშობის წყაროს პრობლემა დაჩრდილა,"** - აცხადებს ზურაბ გარაყანიძე.

შესაბამისად, ზურაბ გარაყანიძის აზრით, დღეს, პრივატიზებისას "შავი ფულის" გათეთრების პრობლემებზე არავინ მუშაობს. **"საჭიროა, რომ ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატმა, ეკონომიკური და სპეცსამსახურების ინფორმაციების შეჯერებით, ინვესტიციის წარმომავლობა დაადგინოს,"** - განმარტავს ექსპერტი. გარაყანიძე 2002 წლის მოვლენებს იხსენებს, როცა ასეთ დასკვნებს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ითხოვდა. **"ამის შედეგად, შესაძლებელი გახდა ისეთი "ცრუმაგიერი" ფირმების გამოვლენა, როგორებიცაა: "Arctic Timber (UK) Ltd", "Shimerlight Inc", რომელიც ვაზიანში მდებარე 9 ათასტონიანი თხევადი გაზის სტრატეგიული საცავების შესყიდვას ითხოვდა და "Esi Engineering and Construction"-ი, რომელიც ტვიში-ჰესის აშენებას ითხოვდა,"** - იხსენებს გარაყანიძე.

ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის ექსპერტი საკონკურსო პირობების მონიტორინგის აუცილებლობას უსვამს ხაზს. **"ეს შეიძლება წარმატებით განხორციელდეს "Visual Fox Pro."-ში შექმნილი "საინვესტიციო უსაფრთხოების" კომპიუტერული პროგრამით. კერძოდ, სამინისტრო პროგრამაში წინასწარ კოდირებულად შეიყვანს საკონკურსო პირობებს და ყოველკვარტალურად ინვესტორისგან წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ავსებს მას. პროგრამას შეუძლია, რომელიმე საკონკურსო პირობის შეუსრულებლობაზე სამინისტროს ხელმძღვანელობას წინასწარ მისცეს ხმოვანი გაფრთხილება, რათა პრევენციისათვის მოწვეულ იქნას ინვესტორი. ეს აუცილებელია ქვეყნის საინვესტიციო იმიჯის შესანარჩუნებლად,"** - განაცხადა ზურაბ გარაყანიძემ "24 საათთან" საუბარში.

საპრივატიზაციო ობიექტის "სისუფთავეზე" და პირობების გამჭვირვალობაზე კიდევ ერთი ექსპერტი გიორგი ისაკაძე საუბრობს. **"არის შემთხვევები, როცა ინვესტორი დამატებითი პირობების გამო პირდაღებული აღმოჩნდება ხოლმე. აქტივი მაქსიმალურად გასუფთავებული უნდა იყოს, რათა ინვესტორმა იცოდეს, რას ყიდულობს. ხშირად, ასეთ პირობებში ინვესტორს აქტივების თავიდან მოცილების სურვილი უჩნდება,"** - აცხადებს ბიზნესმენთა ფედერაციის პრეზიდენტი.

დაბოლოს, ექსპერტული რჩევები მომავალი წლისთვის: ვალდებულებითი და საკონტრაქტო დისციპლინის დახვეწა, გამჭვირვალობის ამაღლება და გასაყიდი ობიექტების ფრომოუშენი - ასეთია გიორგი ისაკაძისეული რეცეპტი 2006 წლის პრივატიზაციის პროცესისთვის. ნიკო ლეკიშვილი კი ხელისუფლებას ქართველი ინვესტორების ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებას ურჩევს.

მომავალ წელს საქართველოში არანაკლებ მნიშვნელოვანი საპრივატიზაციო დოლი იგეგმება - ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ენერგოობიექტების პრივატიზაციას გეგმავს. განსაზღვრულია ის ობიექტებიც, რომელსაც სახელმწიფო მომავალ ერთ წელიწადში უნდა შეელიოს: ხუთი ჰესი და სახელმწიფოს ხელში დარჩენილი ორივე სადისტრიბუციო ენერგოგიგანტი - "აჭარის ენერგოკომპანია" და "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია".

მანამდე კი, ბიზნესმენთა ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი ისაკაძე და პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წლევანდელი პრივატიზაციის პროცესის ჩატარებაში "სამიანს" უწერენ.

# საახალწლო ანაბარი

წლიური

**11,75%**

დოლარი / ევრო




+ საჩუქრად




- საპროცენტო სარგებლის წინასწარი, ყოველთვიური ან ვადის ბოლოს გატანის შესაძლებლობა;
- საპროცენტო სარგებლის მიღება მიმდინარე ანგარიშიდან ან პლასტიკური ბარათის მეშვეობით;
- მოთხოვნისთანავე შესაძლებელია სესხის აღება ანაბარზე დასარიცხ პროცენტს + 4% წლიური განაკვეთით;
- მოთხოვნისთანავე შესაძლებელია ოვერდრაფტის დაშვება კლიენტის მიმდინარე ან საბარათო ანგარიშზე.

**BR ბანკი რესპუბლიკა** 29 45 99

ცენტრალური ფილიალი
თბილისი, გრ.აბაშიძის ქ. 2
ტელ: (995 32) 294598, 294599; ფაქსი: (995 32) 227566

სადგურის ფილიალი
თბილისი, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია
ტელ: (995 32) 911117, 911118, 237043; ფაქსი: (995 32) 911117, 911118

დელისის ფილიალი
თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი 47ა
ტელ: (995 32) 312161, 312181; ფაქსი: (995 32) 312161

გლდანის ფილიალი
თბილისი, ხიზანიშვილის ქ.20
ტელ: (995 32) 590770, 590880; ფაქსი:(995 32) 590660

სამტრედიის ფილიალი
სამტრედია, რაზმაძის ქ. 2
ტელ: (8 211) 21353, 21157, 21938, 569855, 560740
ფაქსი: (8 211) 560740

ზუგდიდის ფილიალი
ზუგდიდი, ზვ.გამსახურდიას გამზ. 34
ტელ: (8 215) 5 00 08, 5 08 08

ბათუმის ფილიალი
ბათუმი, ქუთაისის ქ. 6
ტელ: (8 222) 32810, 32811; ფაქსი: (8 222) 32812

# ორი წელიწადი - დაპირებებიდან რეალობამდე

*2005 წელი - ვარდების რევოლუციის ორი წლისთავი. ამ ორი წლის მანძილზე საქართველოს სამართლებრივ სივრცეში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ცვლილებები ყოველთვის როდი იყო იმ მიმართულებით, როგორც ამას რევოლუციის გზით ქვეყნის სათავეში მოსული ხელისუფლებისგან ელოდნენ.*

ინგა ალავიძე
სოფიკო ჩხაიძე

ქართველ სამართალდამცველებს, კერძოდ, მათ ერთ-ერთ ხელმძღვანელს - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილს 2005 წელი ერთგვარად ისტორიულ წლად მიაჩნია, რადგან სწორედ ამ წელს გახდა შესაძლებელი ისეთი დანაშაულების გახსნა, როგორებიცაა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის თავისუფლების მოედანზე გამოსვლისას დაგდებული ყუმბარის საქმე და გორში მომხდარი ტერაქტი. ეს ის შემთხვევა გახლავთ, როცა შინაგან საქმეთა მინისტრს ძნელია შეეწინააღმდეგო - ტერორიზმთან და საერთაშორისო მნიშვნელობის დანაშაულთან ბრძოლაში წარმატებები ის აქტივებია, რომლებითაც წელს ქართველ სამართალდამცველებს ნამდვილად შეუძლიათ იამაყონ.

ამ წარმატებების საპირისპიროდ, ქართველ სამართალდმაცველებს გართულებულ კრიმინალურ ფონს და სრული გაუმჭვირვალობის პირობებში წარმოებულ დაპატიმრებებს უყენებენ. ეს უკანასკნელი პრეტენზია უფრო ფინანსურ პოლიციას ეხება, რომელიც, გავრცელებული ხმების თანახმად, 2005 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის შემვსებ მთავარ ინსტიტუტად იქცა. ყოფილ თუ ახლანდელ ჩინოსანთა დროებით გისოსებში მოქცევა, რაც საპროცესო შეთანხმებით და, შესაბამისად, გარკვეული თანხის გადახდით სრულდება, და იგივე პროცედურა, ოღონდ გაცილებით დიდი ოდენობის ფულის გადახდით, სხვადასხვა საზკვებისა და სავაჭრო ობიექტების დალუქვის შემდეგ, ფინანსური პოლიციის უკვე ტრადიციული და ხელისუფლებისგან მოწონებული სტილი გახლავთ. მაგრამ ფაქტია, რომ წელს, 2004 წლისგან განსხვავებით, კონკრეტული თანხების ოდენობის შესახებ არავინ არაფერს გვამცნობდა. პროცესების გაუმჭვირვალობა - ეს სწორედ ის პრობლემაა, რომელიც 2005 წლის მანძილზე საქართველოში ნამდვილად იგრძნობოდა.

სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ყველაზე უფრო "დახურულად" გამოიყურება გენერალური პროკურატურა - უწყება, რომელმაც ბოლო ორი წლის მანძილზე იმდენად მოიკრიბა ძალა, რომ სასამართლო სისტემის ფუნქციებიც კი მიითვისა და საქართველოს მართლმსაჯულება, რომელიც, პრინციპში არასდროს ყოფილა სამართლიანობისა და კანონიერების განუხრელად გამტარებელი, ამჯერად, მთლიანად დაიპყრო. არადა, სასამართლო სისტემა ის ფუძეა, რომელსაც დემოკრატიული სახელმწიფოებრიობისა და სამოქალაქო საზოგადოების გარდა, ბიზნესის განვითარებაც ემყარება. სწორედ ამ სისტემის მნიშვნელოვან რყევას ჰქონდა ადგილი 2005 წლის დასასრულს, როდესაც "არაპროგნოზირებადი", უფრო კანონს, ვიდრე პროკურატურას მორჩილი, მაგრამ პროფესიონალი მოსამართლეები სამოსამართლო საქმიანობას ჩამოაშორეს.

რაც შეეხება პენიტენციურ სისტემას, იქ "ვარდების რევოლუციამ" სწორედ ორი წლის თავზე შეაღწია. ხელისუფლების მიერ "შავი სამყაროს" ავტორიტეტებისთვის გამოცხადებული ბრძოლა საკანონმდებლო ნოვაციით - "ორგანიზებულ დანაშაულთან და რეკეტთან ბრძოლის შესახებ" კანონის მიღებით დაიწყო, რამაც პრაქტიკული გაგრძელება საპატიმროებში ჰპოვა. საპატიმრო დაწესებულებებში კანონის დასამყარებლად და "ქურდული მმართველობის" დასანგრევად ხელისუფლების მიერ დაწყებული სარეფორმო ნაბიჯი კი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შოთა კოპაძის თანამდებობიდან გათავისუფლება გახლდათ. მაგრამ 2005 წლის მიწურულს დაწყებული პენიტენციური სისტემის "დალაგება" ციხის ბუნტს მაინც ვერ ასცდა და ახალ, 2006 წელს ციხეები აბუნტებული შეხვდნენ.

ცხადია, რამდენიმე "კანონიერი ქურდის" იზოლირება პენიტენციური სისტემის რეფორმირებას არ ნიშნავს. ცხადია ისიც, რომ სისტემური ცვლილებებისა და ფინანსების გარეშე, მხოლოდ კადრების ჩანაცვლებით, საქმე არ კეთდება. მით უმეტეს, ისეთი დანგრეული სისტემა, როგორიც ქართული პენიტენციური სისტემაა, ფეხზე ადვილად ვერ დადგება. თუმცა, როგორც ხელისუფლება ირწმუნება, მათ პენიტენციური სისტემის ძველი, საბჭოური არტახებისგან გათავისუფლება დაიწყეს და, თუ ეს რეალურად ასეა, ნამდვილად კარგია.

სწორედ საბჭოური არტახებისგან გათავისუფლებაზე საუბრობდნენ შვიდი წლის წინაც, როდესაც საქართველოს პარლამენტი ახალ სისხლის სამარლის საპროცესო კოდექსს ამტკიცებდა. მაშინ ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ ქართულ სამართალწარმოებაში, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, რევოლუციური ხანა დაიწყო. თუმცა, მალევე აღმოჩნდა, რომ ახალი კოდექსი ვერც ევროსაბჭოს პირობებს აკმაყოფილებდა და, შესაბამისად, ვერც საქართველოში გახდა ადამიანების უფლებების დაცვის გარანტი.

ევროსაბჭოს დაჟინებული მოთხოვნით მიღებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ათასობით ცვლილება შევიდა, იმდენი ცვლილება, რომ სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებზე ორი ახალი წიგნი დაიწერებოდა. ამიტომაც, სამიოდ წლის წინ დღის წესრიგში დადგა სრულიად ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შემუშავება. თუმცა, "ვარდების რევოლუციამდე" შექმნილი კოდექსის პროექტიც ისტორიას ჩაბარდა. რევოლუციის შემდეგ, პრეზიდენტ სააკაშვილის ბრძანებით, სისხლის სამართლის რეფორმის ჩასატარებლად სპეციალურად შექმნილმა ჯგუფმა საპროცესო კოდექსის ახალ ვერსიაზე მუშაობა დაიწყო და სამასამდე ისეთი ცვლილება შეიმუშავა, რომ მას არასამთავრობო ორგანიზაციებმაც კი რევოლუციური უწოდეს.

თუმცა, ცოტა ხნის წინათ, საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებები, რომელიც პარლამენტის იურიდიული კომიტეტის რამდენიმე წევრის ინიციატივა გახლდათ, სერიოზული კრიტიკის ობიქეტი გახდა. თუ მანამდე, კრიტიკულად განწყობილმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა იუსტიციის სამინისტროში პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილ კანონპროექტს რევოლუციური უწოდეს, ახალი საპროცესო ცვლილებები საბჭოურ კანონმდებლობად შეფასდა.

დაპირებისამებრ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საბოლოო ვარიანტი 2005 წლის ბოლოს მზად უნდა ყოფილიყო. ახალი კანონპროექტის შექმნაზე იუსტიციის სამინისტროში შექმნილ სარეფორმო ჯგუფში, ქართველ იურისტებთან ერთად, ევროსაბჭოს, გერმანიის და აშშ-ს იუსტიციის საბჭოს წამყვანი ექსპერტებიც მუშაობდნენ. გარკვეულ სახეცვლილებას ეს დოკუმენტი ისევ განიცდის და როდის ჩამოყალიბდება სრული სახით, როდის წარედგინება იგი პარლამენტს, ამის შესახებ უკვე პროგნოზსაც აღარავინ აკეთებს.

დაბოლოს, 2005 წლის 3 თებერვალს თბილისის ცენტრში, ერთ-ერთ ბინაში, გარდაცვლილი იპოვეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია. იმავე დილას ზურაბ ჟვანია უბედური შემთხვევის მსხვერპლად გამოცხადდა. ქართველი სამართალდამცველები დღემდე ირწმუნებიან, რომ პრემიერ-მინისტრი უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა. მიუხედავად ამისა, მისი გარდაცვალების მიზეზები დღემდე სხვადასხვა ეჭვსა და კითხვას ბადებს. ამ ეჭვების გაქარწყლება და ყველა წარმოქმნილ კითხვაზე ობიექტური, დამაჯერებელი პასუხის გაცემა ქართველ სამართლადამცველთათვის, წესით, ღირსების საკითხი უნდა იყოს.

## მარტოხელა ტერორისტი

2005 წლის 10 მაისს, თავისუფლების მოედანზე, საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტების სიტყვით გამოსვლისას, დაუდგენელმა პირმა ხელყუმბარა ისროლა. ნასროლი "რგდ-5"-ის ტიპის ხელყუმბარა საბრძოლო მდგომარეობაში იყო და მოქმედებაში მხოლოდ იმის გამო არ მოვიდა, რომ დაცემის შედეგად კაფსულ-დეტონატორი დაუზიანდა.




2005 წლის 20 ივლისს, ღამის ათ საათზე, თბილისში, ვაშლიჯვარის №11 კორპუსში ჩატარებული სპეცოპერაცია მსოფლიოს წამყვანი ტელეკომპანიების ყურადღების ცენტრში მოხვდა. ხელყუმბარის სროლაში ეჭვმიტანილი 27 წლის ვლადიმერ არუთინიანის დაკავების ოპერაცია შსს-ს სპეცდანიშნულების რაზმმა ერთ საათში დაასრულა. ვოვა არუთინიანმა მასთან სახლში მისულ სამართალდამცველებს ცეცხლი გაუხსნა, რის შედეგადაც გარდაიცვალა შსს-ს კონტრდაზვერვის სამსახურის თანამშრომელი ზურაბ ქვლივიძე. მძიმედ დაიჭრა თავად არუთინიანიც.



დაჭრილი ვლადიმერ არუთინიანი თავდაპირველად რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოათავსეს, მოგვიანებით კი ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს იზოლირებულ პალატაში გადაიყვანეს. ტერორიზმში, განზრახ მკვლელობასა და იარაღისა და ფეთქებადი ნივთიერებისა და ასაფეთქებელი მოწყობილობების უკანონო შენახვაში ბრალდებულმა ვლადიმერ არუთინიანმა რესპუბლიკური საავადმყოფოს პალატაშივე, შსს-ს პრესსამსახურს აღიარებითი ინტერვიუ მისცა და განაცხადა: "მე ვესროლე ყუმბარა ბუშს".

არუთინიანი მარტოხელა ტერორისტი გამოდგა. ყოველ შემთხვევაში, გამოძიებამ ფანატიკური იდეით შეპყრობილი, ეულად მომუშავე ტერორისტის უკან "პოლიტიკურ კუდს" ვერ მიაგნო. ვლადიმერ არუთინიანიც ირწმუნება, რომ იგი აშშ-ს პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს ფანატიკურად ვერ იტანს.

არუთინიანის დაკავების შემდეგ, აშშ-ს ფედერალური საგამოძიებო ბიუროსა და აშშ-ს პრეზიდენტის სპეციალური დაცვის სამსახურის წარმომადგენლებმა საქართველოს შს მინისტრს დაურეკეს და პირადად მიულოცეს ასეთი რეზონანსული საქმის გახსნა.



## შეტევა "ავტორიტეტებზე"

2005 წლის 30 დეკემბერს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ახალმა ხელმძღვანელობამ ავტორიტეტულ კრიმინალთა დიდი ნაწილს იზოლირება გაუკეთა, ისინი ე.წ. დახურული რეჟიმის №7 საპყრობილეში გადაიყვანა. ამ ნაბიჯს წინ უძღოდა ქუთაისის ახალი, ევროსტანდარტების დონის ციხის გახსნა. ახალ საპყრობილეში გადაყვანილი პატიმრები "კანონიერი ქურდის", ე.წ. მაყურებლის გარეშე აღმოჩნდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ საპყრობილეში ხელისუფლების კანონიერი რეჟიმი დამყარდა, ანუ, ციხის სლენგით თუ ვიტყვით, საპატიმრო "გააწითლეს". ამ ფაქტს "კანონიერი ქურდების" პროტესტი მოჰყვა, რაც საპყრობილეში გამოცხადებულ საყოველთაო შიმშილობაში და პატიმართა ახლობლების საპროტესტო აქციებში გადაიზარდა. მასობრივი არეულობის თავიდან ასაცილებლად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ "კანონიერი ქურდების" იზოლირება გადაწყვიტა. თუმცა, თუ თავდაპირველად პატიმართა შიმშილობა კრიმინალური ავტორიტეტების დაგეგმილი იყო და პატიმრებიც მათ მმართველობას მოითხოვდნენ, მოგვიანებით, სიტუაცია შეიცვალა და პატიმართა პროტესტის მიზეზი მათი სოციალურ პირობების გაუმჯობესება გახდა. არადა, საპატიმრო დაწესებულებები ყველა ქვეყანაში სტრატეგიულ ობიექტად ითვლება და ციხის ბუნტი ქვეყანში ბუნტის ტოლფასია. საქართველოში მყოფი 9 ათასი პატიმრის უკან მათი ოჯახის წევრები, ახლობლები და ის სოციალური ინტერესები დგას, რომელიც საბოლოოდ ისევ ქვეყანაზე აისახება.

ხელისუფლება პირობას დებს, რომ უახლოეს მომავალში პატიმართა სოციალური მდგომარეობა გაუმჯობესდება. დაგეგმილია კიდევ ერთი ახალი, ევროსტანდარტების დონის რუსთავის საპყრობილის გახსნა.



## ზურაბ ჟვანიას ტრაგიკული გარდაცვალება





2005 წლის 3 თებერვალს, დილის 8 საათზე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა და გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა საზოგადოებას ამცნეს, რომ უბედური შემთხვევის, კერძოდ, გაზით მოწამვლის შედეგად, ნაქირავებ ბინაში, მეგობართან ერთად, გარდაიცვალა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია.

გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში ექსპერტიზამ დაადასტურა პრემიერ-მინისტრის დაღუპვის ვერსია.

ზურაბ ჟვანიას დაღუპვიდან ორი თვის შემდეგ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, საქართველოში FBI-ის ბიუროს წარმომადგენლებთან ერთად, გამოაქვეყნა FBI-ის ექსპერტების მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა. პრესკონფერენციაზე, რომელზეც ეს დასკვნა გამოქვეყნდა, ითქვა, რომ ამერიკის საგამოძიებო ბიუროს ზურაბ ჟვანიას სიკვდილის მიზეზების კვლევისას არ აღმოუჩენია არაფერი ისეთი, რაც წინააღმდეგობაში მოვიდოდა ქართველი ექსპერტების დასკვნასთან, ანუ ამერიკელები დაეთანხმნენ ზურაბ ჟვანიას უბედური შემთხვევის შედეგად დაღუპვის ვერსიას.

დასკვნის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ზურაბ ჟვანიას ოჯახის წევრებმა გააკეთეს განცხადება იმის თაობაზე, რომ FBI-ის ექსპერტების დასკვნა წინააღმდეგობაში მოდის იმ განცხადებებთან, რომლებიც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა და FBI-ის წარმომადგენლებმა გააკეთეს. კერძოდ, მათი თქმით, FBI-ის დასკვნა ცალსახად ამბობს, რომ ჟვანიას სიკვდილის მიზეზი ვერ გახდებოდა გაზით მოწამვლა.

ამ განცხადების გაკეთებას პრემიერ-მინისტრის ოჯახის წევრების პრეზიდენტთან შეხვედრა მოჰყვა. მათ შორის დადებული შეთანხმება - ზურაბ ჟვანიას საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების მიზეზების გამოძიებაში უცხოელ ექსპერტთაგან შემდგარი ჯგუფის ჩართვის შესახებ, შეთანხმებადვე დარჩა და მისი განხორციელების შესახებ აღარაფერია ცნობილი.

## გორის ტერაქტი

1 თებერვალს, დილით მძლავრი აფეთქება მოხდა გორში, სამხარეო პოლიციის შენობასთან. ასაფეთქებელი მოწყობილობა შენობის წინ მდგარ ავტომანქანაში იყო დამონტაჟებული. აფეთქების შედეგად დაიღუპა ორი პოლიციელი, რამდენიმე მოქალაქე დაიჭრა.

სისხლის სამართლის საქმე ტერაქტის მუხლით აღიძრა. დაკითხული მოწმეების ჩვენებების მიხედვით, გაირკვა, რომ ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთული "ვაზ 2101"-ის მარკის მანქანა, შემთხვევის ადგილზე რამდენიმე პიროვნებამ მიიყვანა, რომლებიც სხვა ავტომობილში გადავიდნენ და გაემგზავრნენ. თვითმხილველთა აღწერით, შეიქმნა რამდენიმე ფოტორობოტი.

მომხდარიდან ექვსი თვის შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გორის ტერაქტი გახსნილად გამოაცხადა. აღნიშნული დანაშაულის გახსნა საქართველოს კრიმინალისტიკის ისტორიაში მართლაც უპრეცედენტო ფაქტია. ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ქართველმა სამართალდამცველებმა ქართულ-ოსურ კონფლიქტში "მესამე ძალის" მონაწილეობის შესახებ კონკრეტული მასალები გამოაქვეყნეს - პრაქტიკულად მოახერხეს იმ "რუსული კვალის" გამოვლენა, რომელმაც საქართველოში სხვა ტერაქტებიც განახორციელა.

17 ივლისს ცხინვალის რეგიონში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს 1 თებერვლის ტერაქტის უშუალო შემსრულებლები - გია ვალიევი და გია ზასიევი. გარდა ამისა, დაკავებულია აფეთქებული ავტომობილის შემძენი იოსებ კოჩიევიც. სწორედ გია ვალიევის აღიარებითი ჩვენების შემდეგ აეხადა ფარდა გორის ტერაქტს. საბოლოოდ კი დანაშაულებრივი ჯგუფის ყველა წევრი გამოვლინდა და მათზე გამოცხადდა ძებნა. ესენი არიან: ანდრეი ზასიევი, ვალერი კოზაევი, არტურ კოზაევი, ალექსანდრე ცხოვრებოვი, ალექსანდრე ბეჟანოვი, ვლადიერ ფუხაევი. ძებნა გამოცხადებულია დანაშაულში ეჭვმიტანილ სხვა პირებზეც, მათ შორის ტერაქტის ორგანიზატორზე, რუსეთის თავდაცვის სამინიტროს გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს კადრის მაღალჩინოსანზე, დპს-ს პოლკოვნიკზე ანატოლი ივანეს ძე სისოევზე.

დადგინდა, რომ 2004 წლის ივნისში რუსეთიდან ცხინვალში დე-ფაქტო პრეზიდენტის, ედუარდ კოკოითის მრჩევლად მიავლინეს რუსეთის თავდაცვის სამინიტროს გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს მაღალჩინოსანი ოფიცერი ანატოლი ივანეს ძე სისოევი, რომელსაც დაევალა სამხრეთ ოსეთში სადაზვერვო-დივერსიული დანაყოფის ჩამოყალიბება. ანატოლი სისოევის დავალებით, 2004 წლის ოქტომბერში, ე.წ. "სორ"-ის, თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველოს ერთ-ერთი ქვედანაყოფის, ხელმძღვანელმა ანდრეი ზასიევმა, გორში ტერორისტული აქტის განხორციელების მიზნით, შეკრიბა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ამავე სამმართველოს თანამშრომლები: გიგო ვალიშვილი (ვალიევი), არტურ კოზაევი, ვალერი კოზაევი, გიორგი ზასიევი, ალექსანდრე ბეჟანოვი, ალექსანდრე ცხოვრებოვი. ტერორისტული აქტის ჩატარება შეთანხმებული იყო რუსეთიდან მოვლინებულ ინსტრუქტორ, ვინმე "იგორთან", რომელიც წვრთნიდა სპეციალურად შექმნილ ტერორისტულ დანაყოფს. შსს-ს ინფორმაციით, ოპერაციის ცენტრთან შეთანხმების მიზნით, "იგორი" 2004 წლის 10 ნოემბრიდან 24 ნოემბრამდე იმყოფებოდა მოსკოვში, საიდანაც ცხინვალში დადებითი პასუხით და ოპერაციის ჩასატარებლად საჭირო ფულით დაბრუნდა.

ანატოლი სისოევის გადმოცემის მოთხოვნით, საქართველოს შსს-მ რუს კოლეგებს 18 წერილი გაუგზავნა, თუმცა, უშედეგოდ.











# 2005 წლის მთავარი მოვლენები

## იანვარი






10.01 - მაჰმუდ აბასის არჩევა

20.01 - ბუშის ხელმეორედ ინაუგურაცია: ახალი დოქტრინა - "ყველა ქვეყანაში დემოკრატიული მოძრაობისა და ინსტიტუტების ხელშეწყობა აშშ-ს პოლიტიკა იქნება, - განაცხადა ბუშმა, - ხოლო მისი საბოლოო მიზანი - მსოფლიოში ტირანიის დამარცხებაა."

23.01 - ნარინჯისფერი რევოლუციის გამარჯვება უკრაინაში - ვიქტორ იუშჩენკოს ინაუგურაცია.

30.01 - ერაყის პირველი დემოკრატიული არჩევნები.

## თებერვალი






14.02 - ლიბანის ყოფილი პრემიერ-მინისტრის რაფიკ ჰარირის მკვლელობა - დაიწყო ანტისირიული "კედრების რევოლუცია".

16.02 - ძალაში შევიდა კიოტოს ოქმი, რომელიც ხელმომწერი ქვეყნებისგან სათბური აირის გამონაბოლქვის ეტაპობრივ შემცირებას გულისხმობს.

22.02 -მიწისძვრა ირანში.

24.02 - აშშ - რუსეთის სამიტი ბრატისლავაში.

## მარტი





06.03 - მოლდოვის არჩევანი პროდასავლურ კომუნისტებსა და პრორუსულ "დემოკრატებს" შორის.

08.03 - ორდღიანი სპეცოპერაციის შედეგად ტოლსტოი-იურტის დასახლებულ პუნქტში ჩეჩნეთის ბოევიკთა ლიდერი ასლან მასხადოვი მოკლეს.

24.03 - ყირგიზეთის "არახავერდოვანი" რევოლუცია.

## აპრილი





02.04 - რომის პაპის სიკვდილი.

08.04 - ანტიაპონური გამოსვლები ჩინეთში.

19.04 - ბენედიქტე XVI - ახალი პაპი გერმანელი კარდინალი იოზეფ რაცინგერი გახდა.

20.04 - სამთავრობო კრიზისი იტალიაში - სილვიო ბერლუსკონი გადადგა.

25.04 - სირიის ჯარებმა ლიბანი დატოვეს.

25.04 - ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე ხელი მოაწერეს შეთანხმებას ევროკავშირთან, რომელიც 2007 წლის 1 იანვარს რუმინეთისა და ბულგარეთის გაერთიანებაში გაწევრიანებას ითვალისწინებს.

## მაისი






05.05 - დიდ ბრიტანეთის საპარლამენტო არჩევნებში კვლავ ლეიბორისტებმა გაიმარჯვეს.

09.05 - მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების 60 წლისთავი. მოსკოვში მსოფლიოს თითქმის ყველა ლიდერი შეიკრიბა.

13.05 - ანდიჟანის ამბოხი.

29.05 - საფრანგეთის რეფერენდუმი. ფრანგების "არა"-მ ეჭვქვეშ დააყენა ევროინტეგრაციის იდეა. რამდენიმე დღეში მსგავსი უარყოფითი პასუხი დაფიქსირდა ჰოლანდიის რეფერენდუმში.

## წლის პოლიტიკური და ბუნებრივი კატაკლიზმები

*ერთიანი ევროპული სივრცის ახალი კონსტიტუციის ჩავარდნა; ტერაქტები ლონდონში; ებრაელი მენაშენეებისა და ისრაელის არმიის გამოყვანა ღაზას სექტორიდან; ქარიშხალი "კატრინა" აშშ-ში; ერაყის ყოფილი პრეზიდენტის, სადამ ჰუსეინის სასამართლო პროცესი და ირანის ახლადარჩეული პრეზიდენტის, მაჰმუდ აჰმადინეჯადის ანტისემიტური გამოსვლები - ეს 2005 წლის ის ხმაურიანი მოვლენებია, რომლებიც გავლენას მომავალი წლის პოლიტიკურ ცხოვრებაზე აუცილებლად იქონიებს.*

დავიწყოთ თავიდან. ევროპის ახალი კონსტიტუცია, რომელზეც მუშაობა უკვე კარგა ხანია, რაც დაწყებულია და ზოგადად მიიჩნეოდა კიდეც, რომ უფრო გააერთიანებდა ევროპულ სივრცეს, რიგ სახელმწიფოებში - საფრანგეთსა და ნიდერლანდებში - ჩავარდა. საუბრები ამ დოკუმენტზე, მართალია, ჯერ ძალიან არ შენელებულა, მაგრამ სკეპტიკურად განწყობილი ექსპერტები მის რეალურად განხორციელებას მომავალში უკვე ეჭვის თვალით უყურებენ. მიზეზები კი კონსტიტუციის პროექტის რეფერენდუმებზე ჩავარდნისა მრავალფეროვანია. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის, რომ ევროპელთა დიდი ნაწილი, როგორც ჩანს, ევროკავშირის ათი წევრით გაფართოებამ (2004 წლის 1 მაისი) დააფრთხო, არანაკლებ მნიშვნელოვან არგუმენტებად კი ეკონომიკური განვითარების დონის შენელების საფრთხე და უკონტროლო მიგრაციის ზრდა სახელდება.

ზემოაღნიშნულ საკითხზე არანაკლებ მნიშვნელოვანი 2005 წელს, 7 ივლისს ლონდონის მეტროს სადგურებში განხორციელებული ტერაქტების სერია იყო, რასაც 56 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო დაშავებულთა რიცხვმა შვიდასს გადააჭარბა. ორი კვირის შემდეგ კი ტერაქტები უკვე ავტობუსის გაჩერებაზე განმეორდა. რაც შეეხება ლონდონის ტერაქტებში ეჭვმიტანილი პირების შესახებ არსებულ სტატისტიკას, მოკლულია ერთი ახალგაზრდა და დაკავებულია 14.

მსოფლიოში კიდევ ერთი რეზონანსული მოვლენა კი პალესტინა-ისრაელის ისტორიული დაპირისპირების კერიდან - ღაზას სექტორიდან ებრაელი მენაშენეებისა და ისრაელის არმიის გამოყვანა იყო. თუმცა, ღაზას სექტორიდან ებრაელი მენაშენეებისა და ჯარისკაცების გაყვანით პრობლემა არ მოგვარებულა. პროცესის სრულად დასრულების შემდეგაც, ღაზას სექტორში კვლავ არეულობაა. შეიარაღებული დაპირისპირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად ოფიციალური თელ-ავივი ღაზას სექტორში იარაღის დიდი რაოდენობით დაგროვებას ასახელებს და მას უშუალოდ პალესტინელთა პრობლემად განიხილავს. საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევას კი - ხელი შეუწყოს პრობლემის მოგვარებას - შედეგი ჯერჯერობით არ მოაქვს.

რაც შეეხება არაპოლიტიკურ კრიზისს, რომელმაც არანაკლებ უარყოფითი გავლენა იქონია მოსახლეობის განწყობასა და ეკონომიკაზე, აშშ-ში ქარიშხალ "კატრინას" შეტევა იყო, რომლის კატეგორია საფირ-სიმპსონის სკალით 5-ით განისაზღვრა. "კატრინას" ვიზიტი ფლორიდის შტატს დაახლოებით 2 მილიარდი დოლარი დაუჯდა. დაიღუპა ასობით ადამიანი, ელექტროენერგიის გარეშე დარჩა 850 ათასი ოჯახი და დაიტბორა უამრავი საცხოვრებელი სახლი. უზარმაზარი ადამიანური მსხვერპლი და მატერიალური ზარალი ნიუ ორლეანის მოსახლეობამაც განიცადა.

კიდევ ერთი ხმაურიანი მოვლენა, რომელიც ჯერ დამთავრებულიც არ არის, ერაყის ყოფილი პრეზიდენტის სადამ ჰუსეინის სასამართლო პროცესია. ექსპერტთა ნაწილი შიშობს კიდეც, რომ ამ პროცესის დასრულებას ქვეყანაში, სტაბილიზაციის ნაცვლად, ძალმომრეობის ახალი ტალღის აგორება მოჰყვება.

დაბოლოს, წლის ყველაზე ბოლო და, ფაქტობრივად, მთელი მსოფლიოსთვის შემაშფოთებელი ფაქტები - ირანის პრეზიდენტის მაჰმუდ აჰმადინეჯადის მწვავე ანტისემიტური გამოსვლები. გარდა იმისა, რომ ირანის პრეზიდენტის ხისტმა განცხადებებმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ოფიციალური თეირანის დამოკიდებულებას ისრაელის მიმართ, მნიშვნელოვნად შეაფერხა არაერთხელ რუდუნებით განახლებული მოლაპარაკებები ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით. "ევროპა თუ თავის დანაშაულს ასე მწვავედ განიცდის, გადაიტანეთ ისრაელი ევროპის ტერიტორიაზე," - დაახლოებით ამ შინაარსის განცხადებამ ურანის გამდიდრების პროგრამა, რომლის შენიღბვასაც ირანი სამშვიდობო მიზნებით ცდილობს, ბირთვული მოლაპარაკებები სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა.

## ივნისი





01.06 - ჰოლანდიის რეფერენდუმი.

16-17 - ევროკავშირის სამიტი: პირველი უთანხმოებები 25 წევრი-სახელმწიფოს ლიდერებს შორის.

24.06 - დაიწყო სადამ ჰუსეინის სასამართლო პოროცესი.

24.06 - ირანის სათავეში რადიკალი პოლიტიკოსი მაჰმუდ აჰმადინეჯადი მოდის.

## ივლისი




06-08 - გლენიგლის "დიდი რვიანის" სამიტი. მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკოსები გლობალური დათბობისგან პლანეტის გადარჩენის მიზნით შეიკრიბნენ. თუმცა საბოლოოდ დაასკვნეს, რომ ყველაზე დიდი საფრთხე ტერორიზმი ყოფილა.

07.07 - ლონდონის ტერაქტები. მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი სატრანსპორტო კვანძი კამიკაძე ტერორისტითა სამიზნე გახდა.

## აგვისტო




01.08 - არაბულ სამყაროში აშშ-ს მოკავშირედ ცნობილი მეფე ფაჰდის გარდაცვალება.

03-20.08 - აფეთქებები თურქეთის ტურისტულ ცენტრებში.

ბატისკაფი "პრიზი".

პოლონეთი - რუსეთის დაპირისპირება.

ქათმის გრიპის ვირუსის პანდემიის საფრთხე - გავრცელება რუსეთში.

## სექტემბერი






02.09 - "კატრინა" ნიუ-ორლეანი.

06.09 - ჩრდილოეთ-ევროპის გაზსადენის მშენებლობაზე შეთანხმება.

08.09 - განხეთქილება "ნარინჯისფერებში".

10.09 - კოიძუმის მეორე შანსი.

12.09 - ღაზას სექტორს უკანასკნელი ისრაელელი ტოვებს.



14.09 - გაეროს უდიდესი სამიტი.

16.09 - გერმანიის არჩევანი: ანგელა მერკელი - პირველი ქალი-კანცლერი.



## ოქტომბერი




04.10 - გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დასაწყისი თურქეთთან.

09.10 - პოლონეთის საპრეზიდენტო არჩევნები.

08.10 - მიწისძვრა პაკისტანში.

13.10 - თავდასხმა ნალჩიკზე.




18.10 - შრიოდერის მმართველობის დასასრული.

24.10 - ტყუპების მმართველობა პოლონეთში.

15.10 - ერაყის საკონსტიტუციო რეფერენდუმი.

28.10 - არეულობები საფრანგეთში.

## ნოემბერი




06.11 - არჩევნები აზერბაიჯანში "რევოლუციის" გარეშე ჩატარდა.

16.11 - ცრუ-ს ციხეები ევროპაში.

## დეკემბერი




09.12 - "გაზის კონფლიქტი" რუსეთსა და უკრაინას შორის.

15.12 - არჩევნები ერაყში.

17.12 - შეთანხმება ევროკავშირის "ფინანსურ პერსპექტივებზე".

# 2005 წელი - სტიქიურ უბედურებათა ხანა

### გადავარჩინოთ ჩვენი პლანეტა - გამოფხიზლების დროა!

*სამწუხაროა, რომ 2005 წლის ბოლო დღეს, მაშინ, როდესაც თითოეული ჩვენგანი დღესასწაულისა და რაღაც კარგის მოლოდინშია, ცუდი ამბების გახსენება გვიწევს. მაგრამ ერთმანეთის თანადგომისა და ჭირ-ვარამის გაზიარებისთვის კალენდარში წითლად აღნიშნული დღეები არ გვაქვს. წელს მსოფლიოს მრავალი სტიქიური უბედურება დაატყდა თავს, დაიღუპა ასი ათასობით ადამიანი. ადამიანის გაუფრთხილებლობითა და მისი უშუალო მონაწილეობით დედამიწაზე მიმდინარე პროცესებმა, კლიმატურ პირობებზე დიდი გავლენა იქონია. მეცნიერთა მტკიცებით, გლობალური დათბობის პროცესი უკვე დაწყებულია და ამაში ეჭვი აღარავის ეპარება, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ თითოეული სახელმწიფო სასწრაფო ზომებს არ მიიღებს, დედამიწა და მთლიანობაში კაცობრიობა განადგურების პირას აღმოჩნდება. იმედია, მომავალ წელს სხვადასხვა დიდი სახელმწიფოები გარკვეულ ეკონომიკურ თუ ტექნოლოგიურ წინსვლას კაცობრიობის გადარჩენას ამჯობინებენ.*

ნანა ნასყიდაშვილი

2005 წელს დედამიწაზე მომხდარი ცუნამის, წყალდიდობების და მიწისძვრების რეკორდული რაოდენობის გამო, შესაძლოა სტიქიურ უბედურებათა წლის სტატუსი მივანიჭოთ. მთელი წლის განმავლობაში მეცნიერთა სერიოზულ თავისტკივილს, სხვადასხვა ქვეყნების მიერ გარემოს მავნე აირებით დაბინძურების პარალელურად, ჩვენს პლანეტაზე კლიმატისა და ატლანტიკის ოკეანის დინებათა მიმართულების შესაძლო შეცვლა წარმოადგენდა.

დედამიწაზე ადამიანის სიცოცხლისთვის საშიშ ბუნებრივ ცვლილებათა მიმდინარეობაზე ზეგავლენის მოხდენისა და გარემოს მავნე აირებით დაბინძურების აღსაკვეთად შექმნილი კიოტოს პროტოკოლის პირობათა მაქსიმალური შესრულების მიზნით, წელსაც ბევრი ღონისძიება ჩატარდა. თუმცა, სახელმწიფო პოლიტიკის შემსწავლელი ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემთა თანახმად, კიოტოს ხელმომწერ ევროპის 15 ქვეყნიდან, პროტოკოლით გათვალისწინებულ პირობათა შესრულებას 10 ქვეყანა ვერ ახერხებს. მავნე აირთა ბუნებაში გავრცელების აღკვეთაში ყველაზე კარგი მაჩვენებელი დიდ ბრიტანეთსა და შვედეთს აქვს. "შავ სიაში" ირლანდია, იტალია და ესპანეთი მოხვდნენ, ხოლო საფრანგეთმა, საბერძნეთმა და გერმანიამ, იმის გამო, რომ მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს თავს ვერ ართმევენ, სერიოზული გაფრთხილება მიიღეს.

აშშ-მ სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკოსთა და გარემოსდამცველთა დაჟინებული თხოვნის მიუხედავად კიოტოს პროტოკოლს ხელი წელსაც არ მოაწერა. თუმცა, დეკემბრის დასაწყისში მონრეალში გაერო-ს ეგიდით კლიმატის საკითხებზე გამართულ კონფერენციაზე ოფიციალური ვაშინგტონი იძულებული გახდა, გარკვეულ დათმობებზე წასულიყო.

აშშ-ს ბუნებამაც მკაცრი გამოცდა მოუწყო. წელს მოკლე პერიოდის ინტერვალით, რამდენიმე ქარიშხალი დაატყდა თავს. აშშ-ს ტერიტორიაზე სტიქიურ უბედურებათა ტალღა აგვისტოში აგორდა. ქარიშხალ "კატრინა"-ს დამანგრეველმა ძალამ სინოპტიკოსთა და ექსპერტთა ყოველგვარ მოლოდინს გაადაჭარბა. სტიქიის შედეგად, წინათ ტურისტთა საყვარელი ადგილი, ქალაქი ნიუ-ორლეანი მთლიანად დაიტბორა და ახლადმოპოვებული იერის გამო მოჩვენებათა ქალაქის სახელიც დაიმკვიდრა. ნიუ-ორლეანის ქუჩებიდან წყლის ამოქაჩვის პროცესი, სულ მცირე, ექვს თვეს მაინც გასტანს, კიდევ სამი თვე კი წყლით დაფარული ტერიტორიების გაშრობას დასჭირდება. ნიუ-ორლეანში აღდგენითი სამუშაოების დაწყება 2006 წლის ზაფხულამდე არ დაიწყება. აშშ-ს საგანგებო სიტუაციათა ფედერალური სააგენტოს თანამშრომლის დენ კრეიგის თქმით, ამის შემდეგაც კი ნაგვის მოგროვებისა და მშენებლობის მოსამზადებლად დამატებითი დრო იქნება საჭირო. დღეისთვის ქალაქიდან ათი ათასობით ადამიანია ევაკუირებული ტეხასის, ტენესისა და სხვა შტატებში (მხოლოდ ტეხასში 220 000 იძულებით გადაადგილებული პირია ევაკუირებული). ქალაქი სულ ცოტა, 9 თვის განმავლობაში საცხოვრებლად უვარგისი იქნება, ხოლო გაზეთ "ინდიპენდენთ"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნიუ-ორლეანის მოსახლეობის უმრავლესობა ორი წლით უსახლკაროდ დარჩება. სტიქიამ დამანგრეველი გავლენა ქალაქის პარალელურად ადამიანთა ფსიქოლოგიაზეც იქონია. ახლობლებისა და საცხოვრებელი სახლების დაკარგვას ბევრმა ადამიანმა ვერ გაუძლო და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ამერიკას ბუნებამ ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა და ქარიშხალ "კატრინა"-ს შემდეგ აშშ-ს ახალი ქარიშხალი "რიტა" დაატყდა თავს. ამ სტიქიურმა უბედურებამაც დიდი ზიანი მიაყენა სახელმწიფოს. ვითარებას ისიც ამძიმებდა, რომ სტიქიის შეტევას რამდენიმე დღეში დანაშაულებრივი მაჩვენებლის ზრდაც მოჰყვა. ქალაქში მარადიორობის შემთხვევები გახშირდა.

ამერიკის კონტინენტზე თავდატეხილი ქარიშხლების პარალელურად 2005 წლის ერთ-ერთ სისხლიან სტიქიურ უბედურებად პაკისტანში მომხდარი მიწისძვრაც ითვლება. რიხტერის შკალით 7,6 ბალიანმა მიწისძვრამ 40 ათასამდე ადამიანის, მათ შორის 17 ათასი ბავშვის სიცოცხლე იმსხვერპლა.

სახელმწიფო პოლიტიკის შემსწავლელი ინსტიტუტის წარმომადგენელთა თქმით, შექმნილ ვითარებაში ევროპამ აქტიურ ქმედებებს უნდა მიმართოს. საჭიროა ელექტროენერგიის წარმოების ალტერნატიულ საშუალებათა ძიება. **"მოკლე ხანში, შესაძლოა, მიმდინარე კლიმატური ცვლილებები შეუქცევად პროცესად იქცეს. ჩვენ ცოტა დრო დაგვრჩა იმისთვის, რომ ბუნებაში მავნე აირთა რაოდენობრივი შემცირება მოვახდინოთ,"** - აღნიშნა სახელმწიფო პოლიტიკის შემსწავლელი ინსტიტუტის დირექტორმა ტონი გრეილინგმა.

სპეციალისტთა აზრით, მომავალი წლიდან კიოტოს პროტოკოლით გათვალისწინებულ პირობებზე საუბარი უკვე ჩინეთთან და ინდოეთთან იქნება შესაძლებელი.

შეგახსენებთ, რომ ქვეყნები, რომლებსაც კიოტოს პროტოკოლზე აქვთ ხელი მოწერილი, ვალდებულნი არიან ატმოსფეროში სათბური გაზების გავრცელება 2008-2012 წლებისთვის 1990 წელთან შედარებით 5 პროცენტით შეამცირონ.

# 2005 წელი - ქართული არმიის "სიმწიფის ატესტატი"

კობა ლიკლიკაძე
სპეციალურად "24 საათისათვის"

*განვლილი 2005 წელი, საქართველოს სამხედრო სისტემაში მიმდინარე მტკივნეული პროცესების გათვალისწინებით, შეუძლებელია ერთმნიშვნელოვნად შეფასდეს წარმატებულად, მაგრამ თუ საშუალო არითმეტიკულს გამოვიყვანთ, მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ მაჩანჩალა სამოსნის მდგომარეობიდან ქართული სამხედრო ძალა ნელ-ნელა ინაცვლებს ოთხოსნების რიგში.*



## სტრატეგიული ხედვა

საქართველოში დღემდე არ არსებობს არმიის განვითარების სტრატეგიული გეგმა, პროგრამული ბიუჯეტი და გაწერილი ვადები, თუ რომელ წელს რა მიმართულება ან ჯარის სახეობა უნდა იყოს პრიორიტეტული. შესაბამისად, არავინ იცის, მაგალითად, რატომ მიენიჭა განვლილ წელს უპირატესობა ტანკების, საბრძოლო მანქანების და საარტილერიო საშუალებების შესყიდვა-შემოტანას უკრაინიდან და ჩეხეთიდან; ან რატომ არ მოხმარდა ეს უზარმაზარი თანხა, დაახლოებით 20 მილიონი დოლარი, ერთადერთი ეროვნული სამხედრო უმაღლესი სასწავლებლის - თავდაცვის აკადემიის სრულყოფას. თანაც, საბრძოლო ტექნიკა, როგორც გაირკვა, სულაც არ იყო ახალი და უნაკლო. სამხედრო აკადემიაში კი შეწყდა მსმენელთა 4-წლიანი პროგრამა და მის ნაცვლად შემოიღეს ერთწლიანი საოფიცრო კურსები, რომელიც ერთ-ერთია და არა ერთადერთი დასავლეთის უამრავ ქვეყანაში მოქმედ მრავალსაფეხურიან სამხედრო სისტემაში. თუმცა, რაკი თავდაცვის სამინისტროს შენობა და გენერალური შტაბი აკადემიასთან ახლოს, უშიშროების ყოფილ შენობაში გადავიდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ სამხედრო ხელმძღვანელობა სამხედრო სასწავლებელზე ზრუნვას გააძლიერებს.

ასევე ცოტა სარისკო გადაწყვეტილება იყო ერაყში მყოფი ქართველი მშვიდობისდამცველების რაოდენობის გაზრდა 350 კაციდან 850-მდე. ამ ნაბიჯის შესაძლო ახსნაა ის, რომ სწორედ ამ "ჟესტის" გამო მიიღო საქართველომ ვაშინგტონისაგან ახალი, 55-მილიონიანი ქართულ-ამერიკული სამხედრო პროგრამა, სახელწოდებით "სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაცია"; მაგრამ, მეორე მხრივ, საქართველოს საზღვრებს გარეთ იმყოფება ლამის ყოვლი მესამე ბრძოლისუნარიანი ჯარისკაცი, რაც დიდი ფუფუნებაა ნებისმიერი ქვეყნისათვის, თუნდაც სულ რომ არ ჰქონდეს კონფლიქტი არც შიგნით და არც გარეთ.

წლის ბოლოს სამხედრო უწყებამ "სტრატეგიულ ხედვაში" ცოტა გამოასწორა მდგომარეობა. პირველი სასიკეთო ნიშანი გახლდათ სენაკში ახალი, მართლაც ყოველმხრივ გამართული ყაზარმის აშენება და გადაწყვეტილება, რომ იქ განთავსდეს სამხედრო ბრიგადა ქუთაისიდან. კარგი ჩანაფიქრია სამხედრო ნაწილებისგან, მაგალითად საარტილერიო ბრიგადისგან, დედაქალაქის განტვირთვა და მათი გადატანა რეგიონებში. ძირითადად ლაპარაკია გორზე. სავარაუდოდ, ალბათ გორში დაიდებს ბინას ცენტრალური სამხედრო ჰოსპიტალი, რაც სტრატეგიულად შესაძლოა სწორი არ იყოს, რადგან ახლა ყველაზე მილიტარიზებული ქალაქი იქნება გორი, რაც, თავდაცვის მინისტრის წარმომავლობის გათვალისწინებით, დამატებით ეჭვებს წარმოშობს. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ სამხედრო ხელმძღვანელობა სტრატეგიულ ხედვას აუმჯობესებს, და თუ დასცალდა, 2006-ში იქნებ ვეღირსოთ თავდაცვის სტრატეგიულ მიმოხილვას (SDR), რასაც ნატო-შიც მოუთმენლად ელოდებიან.

## საკადრო პოლიტიკა

2005 წლის შედეგებით, ერთ-ერთ ყველაზე დაბალ ნიშანს სამხედრო უწყების საკადრო პოლიტიკა იმსახურებს. მიუხედავად პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დანაპირებისა, რომ ოქრუაშვილის მინისტრობას არ მოჰყვებოდა მკვეთრი საკადრო ცვლილებები, სამხრეებიანი ადამიანებისათვის განვლილი წელი ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა. გამოიცვალა ყველა სახეობის სარდალი, თითქმის ყველა დეპარტამენტის თავმჯდომარე, ბრიგადისა და ბატალიონების მეთაურები, გენერალური შტაბის უფროსი და მისი ყველა მოადგილე. თანაც, ბევრ შემთხვევაში, ხდებოდა კვალიფიციური ოფიცრების არა ჰორიზონტალური გადაადგილება, არამედ მათ, უბრალოდ, იცილებდა სამხედრო უწყება. გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტრომ დასაქმებაზე უარი უთხრა იმ ოფიცრების უდიდეს უმრავლესობას, რომლებმაც 2005 წელს დაამთავრეს სასწავლო კურსები აშშ-ში, გერმანიასა და თურქეთში. ამ უცნაური გადაწყვეტილების მიზეზად კი საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, პარლამენტის წინაშე გაკეთებულ ანგარიშში, შემდეგი გარემოება დაასახელა: "ოფიცრების მიმართ გარკვეული შეკითხვები აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სამხედრო კონტრდაზვერვას."

წინა წლებში მრავლად იყო შემთხვევა, როდესაც სასწავლო მივლინებით უცხოეთში დაუმსახურებლად იგზავნებოდნენ ადამიანები. საკადრო შერჩევა რომ ახლაც არ არის უნაკლო, ამას ორი მაგალითი ცხადყოფს: 2005 წელს ამერიკის თავდაცვის ენობრივი ინსტიტუტი დატოვა კაპიტანმა ია კაპანაძემ, რომელიც პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გმირად შერაცხა და საკანონმდებლო ორგანოს წინაშე გაკეთებულ ყოველწლიურ ანგარიშზე პარლამენტშიც დაპატიჟა. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ იგივე ენობრივი სასწავლებელი დატოვა საქართველოს კიდევ ერთმა წარგზავნილმა, ლეიტენანტმა მზია მიქიანმა და უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა. შესაძლოა ეს იყოს ცხადი სიმპტომი ზემოხსენებული არასტაბილური საკადრო პოლიტიკისა (სამხედროებისათვის მნიშვნელოვანია "სამუშაო ადგილის უსაფრთხოება"- "Job Security"), რის გამოც სამხედრო უწყება "სიმწიფის ატესტატში" სამიანსაც ძლივს იმსახურებს.

## დისციპლინა და სამხედრო გაწვევა

ცხადია, არ ვაპირებთ ყველა "საგანში" შევაფასოთ სამხედრო უწყების საქმიანობა, მაგრამ ეს ორი განსაკუთრებით საინტერესოა. 2005-ში თითქმის მინიმუმამდე შემცირდა სამხედრო ნაწილებიდან "დეზერტირობის" შემთხვევები, რაც არა მარტო საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებით აიხსნება, არამედ - იმითაც, რომ არმიაში სულ უფრო მეტი ადამიანი მიდის შეგნებულად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. საგაზაფხულო გაწვევის დროს იყო შემთხვევა, როდესაც გამწვევ კომისიებში იმაზე ბევრად უფრო მეტი წვევამდელი გამოცხადდა, ვიდრე რეალურად არსებობდა მოთხოვნა სამხედრო ნაწილებიდან. ამის გამო კომისიები იძულებულნი გახდნენ, სახლში უარით გაესტუმრებინათ 400 წვევამდელი.

ახალგაზრდების მოტივაცია რამდენიმე გარემოებამ განსაზღვრა: სახელმწიფო დიდ თანხებს ხარჯავს არა მხოლოდ არმიის პროპაგანდაზე, ლამაზ აღლუმებსა და სამხედრო სწავლებებზე, არამედ საგრძნობლად გაუმჯობესდა საყოფაცხოვრებო პირობები სამხედრო ნაწილებში. თუმცა, 2005 წელს ახსოვს სახალხო დამცველთან დახმარების თხოვნით მისული გაყინული და მშიერი ჯარისკაცები, მასობრივი ცემა-ტყეპა გორის სასწავლო ცენტრში და ბოლოს თბილისში, ელიტურ მე-4 ბრიგადაში. და რაც ყველაზე სამწუხაროა, განვლილ წელს დაფიქსირდა სამხედრო მოსამსახურის თვითმკვლელობისა და სიკვდილის 3 შემთხვევა. წლის ბოლოს კი ადგილი ჰქონდა თანხის გამოძალვის მცდელობას ერაყში მიმავალი ჯარისკაცებისაგან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ "ქურდული ტრადიციები" სამხედრო ნაწილებშიც არის შერჩენილი. შესაბამისად, 2006-ში ახლადშექმნილ სამხედრო პოლიციას ბევრი მუშაობა დასჭირდება, რათა ერთხელ და სამუდამოდ გათავისუფლდნენ სამხედრო ნაწილები ამ სახიფათო მემკვიდრეობისგან.

## სამხედროები და მედია

ეს არის ერთადერთი საგანი, რაშიც სამხედრო უწყებას სამიანიც კი არ ეკუთვნის. 2005-ში თავდაცვის სამინისტრომ მოახერხა, გადაეკიდებინა და მოეძულებინა ყველა ის ჟურნალისტი, რომელიც სამხედრო თემაზე წერს. საბოლოოდ მივიღეთ კარჩაკეტილი სამხედრო უწყება და შეურაცხყოფილი და ღირსებაშებღალული ჟურნალისტთა კორპუსი. და თუკი ახალ წელს რაიმეს ჩავუთქვამ, ეს ამ "ცივი ომის" დასრულებაა, რაც არც ერთ მხარეს და, პირველ ყოვლისა, სახელმწიფოს არ აძლევს ხელს.

# როგორ აფასებენ 2005 წელს ქართველი პოლიტიკოსები:



**ლევან ბერძენიშვილი:** ყველა წელი მეტ-ნაკლებად ნაყოფიერია, რადგან ის ბარიერები, რომლებიც საქართველოს ჰქონდა, აღარ არის. წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, ეს ხელისუფლება წარმატებული იყო. მას სერიოზული წარმატებები ჰქონდა საგარეო საქმეებში. რაც შეეხება წლის მნიშვნელოვან მოვლენას, მე ასეთ მოვლენად ჯორჯ ბუშის ვიზიტს და რუსეთის ბაზების გაყვანის საკითხს მივიჩნევ. ამ საკითხს რეალურად ფრთები წელს შეესხა. ეს ის მოვლენა იყო, რომელიც ქვეყანას სამომავლოდ გამოადგება.

ყველაზე ცუდი, რაც წელს ხდებოდა, კონსტიტუციური გაუარესება იყო. ეს ხელისუფლება ცდილობს, რომ კონსტიტუცია მოირგოს. წელს უმრავლესობისთვის დამახასიათებელი იყო საკანონმდებლო თავხედობა. ამას სჩადიოდნენ იმიტომ, რომ ის უმრავლესობა იყო, და არა იმიტომ, რომ სწორად მიაჩნდათ. მიმდინარეობს უმრავლესობის გარანტირებული დაშლა. გარწმუნებთ, რომ 2006 წელს ოპოზიცია გაცილებით ძლიერი იქნება.

2005 წელს ოპოზიციამ რაც გააკეთა, ის იყო, რომ ოპოზიციის რიგები გაზარდა. შეიძლება ვინმემ თქვას, მერე, ქვეყანას რაო, მაგრამ ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ძლიერი ოპოზიციაა. ასევე, 2005 წელს ოპოზიციამ შეძლო, რამდენიმე კანონში გარკვეული კორექტივები შეეტანა.

**მაია ნადირაძე:** რამდენიმე მოვლენას ეპოქალური მნიშვნელობის გადაწყვეტილებად მივიჩნევ. თანმიმდევრობით მივყვეთ:

პირველ რიგში, განათლების შესახებ კანონს ალვნიშნავ, რომელიც ეროვნული გამოცდების საფუძველი გახლდათ. ამ უკანასკნელმა კი ჩვენი ქვეყნის შემდგომ განვითარებას ფუნდამენტი ჩაუყარა. მართალია, იდეალურად მოწყობილი არც განათლების სისტემაა, ხშირად მესმის უკმაყოფილება უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის პროცესთან დაკავშირებით, თუმცა ამის მოგვარებასაც დრო სჭირდება.

მეორე - მნიშვნელოვანი იყო დადგენილება რუსეთის ბაზების შესახებ.

მესამე მნიშვნელოვანი აქტი სამშვიდობო ძალებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება გახლდათ. მართალია, ამ ყველაფერმა რუსეთის მხრიდან გაზის გაძვირება, საბოტაჟის მოწყობა და ა.შ გამოიწვია, მაგრამ ჩვენი მხარე იმდენად თანამიმდევრული და დიპლომატიურია, რომ რუსეთი ბევრს ვერაფერს ახერხებს.



ასევე, პარლამენტმა მიიღო რამდენიმე სერიოზული კანონი სასამართლო რეფორმის შესახებ. მათი ერთობლიობა კი სასამართლოს მუშაობის წესრიგსაც ცვლის და შედეგსაც.

არ არსებობს ქვეყანა, რომელმაც ორ-სამ წელიწადში, ერთდროულად, სახელმწიფოებრივი ატრიბუტიკის გაძლიერება და სოციალურად დაუცველი ფენების მდგომარეობის გაუმჯობესება მოახერხა. ასევე აღსანიშნავია, რომ დღეს ყველაზე აქტუალური საკითხი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა.

ნეგატიურს ვუწოდებ იმ უარყოფით ადამიანურ დამოკიდებულებას, რომელიც სახლის ფერისა თუ ძეგლის გადატანის შემდეგ გამოითქვა. ალბათ, ამ უკმაყოფილების თავიდან აცილებაც შეიძლებოდა, მაგრამ ქვეყანას, სადაც 15 წლის განმავლობაში არაფერი გაკეთებულა, ბევრი ფიქრის დრო არ აქვს. ძალიან მოკლე დროში ბევრი საქმის კეთება გარკვეულ შეცდომებსაც გულისხმობს. შეცდომებისგან დაზღვეული კი არავინაა.



**ზვიად ძიძიგური:** მიმდინარე წლის პოზიტიურ მოვლენად რუსეთის ბაზებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება მიმაჩნია. ძნელია, ამ საქმეში ხელისუფლებას მხარდაჭერა არ გამოვუცხადოთ.

ყველაზე წარუმატებელი იყო ხელისუფლების გადაწყვეტილება, როდესაც 800 ათასი პენსიონერი მოატყუეს და არ მისცეს პენსია სტაჟისა და დამსახურების მიხედვით. არადა, სწორედ ეს გახლდათ "ნაციონალების" წინასაარჩევნო დაპირება.

ასევე წარუმატებელია სასამართლო რეფორმაც. მართალია, ამბობენ, რომ რეფორმა კვლავ გრძელდება, თუმცა ფაქტია, რომ სასამართლოს დაყოფა, დაკომპლექტება უკვე მოხდა. მოსამართლეები დაკისრებულ მოვალეობას თავს ვერ აბამენ და სასჯელაღსრულებით სისტემაში პატიმრების 80 პროცენტი განაჩენს ელოდება.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლება უფრო და უფრო შორდება საზოგადოებას და ძირითად აქცენტებს პიარ-აქციებსა და შოუებზე აკეთებს. ყველაზე დიდი უბედურება კი ისაა, რომ, აქედან გამომდინარე, თავადაც იჯერებენ, თითქოს ქვეყანაში ყველაფერი კარგადაა.



**ელენე თევდორაძე**: დღეს სიღნაღიდან ჩამოვიდა პიროვნება, რომელმაც მითხრა: მართალია, ხალხს უჭირს, მაგრამ ვხედავთ, რომ ქვეყანაში ბევრი სასიკეთო რამ კეთდება, ეს კი უკეთესი მომავლის იმედს გვაძლევსო. როდესაც ადამიანი ხედავს, რომ საქმე კეთდება, სოციალურ სიდუხჭირეს უფრო ადვილად იტანს.

რაც შეეხება ადამიანის უფლებების დარღვევას, პირველ რიგში, აღსანიშნავია საზოგადოებისა და პოლიციის დადებითი დამოკიდებულება. წლის განმავლობაში ათასშვიდასამდე შემოსული განცხადებიდან პოლიციელების მიმართ საყვედური ხუთმა-ექვსმა მოქალაქემ გამოთქვა. გასულ წლებში მხოლოდ პოლიციელებს საყვედურობდნენ.

**კოკა გუნცაძე:** საკანონმდებლო პროცესში იყო რამდენიმე დადებითი მოვლენა, როდესაც პარლამენტმა მიიღო კანონი მიწის პრივატიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის, ასევე დერეგულაციის შესახებ. თუმცა, დემოკრატიის გარეშე, თავისუფალი ბაზარი და მეწარმე ქვეყანაში ვერ იარსებებს. ამ მიმართულებით კი უკან გადადგმული ნაბიჯები გვაქვს, არა მარტო კანონმდებლობის თვალსაზრისით, არამედ პოლიტიკურ პრაქტიკაშიც. უკან გადადგმული ნაბიჯია კანონი თვითმმართველობის შესახებ, რომელიც ქვეყანაში ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებაზე, პრაქტიკულად, უარს ამბობს. ასევე, სამწუხარო პროცესები მიმდინარეობს სასამართლო ხელისუფლებაშიც. ფინანსური პოლიცია ქართული ბიზნესისთვის სერიოზულ პრობლემად იქცა. ქვეყანაში ტოტალურად ირღვევა კერძო საკუთრების უფლება.



ბიუჯეტი რომ იზრდება, კარგია, თუმცა იზრდება დაშინების ხარჯზე.

ქვეყნის მთავარი პრობლემა ხელისუფლების მოწყობის პრობლემაა. არ შეიძლება, რომ უზარმაზარი ძალაუფლება მხოლოდ ერთი პიროვნების ხელში იყოს, აუცილებელია ამ ძალაუფლების გადანაწილება. დღეს პარლამენტი უკიდურესად სუსტია. სუსტი პარლამენტი ისედაც ძალაუფლებისკენ მიდრეკილ პრეზიდენტს ვერ აბალანსებს. ეს სასამართლო ხელისუფლებას კიდევ უფრო ასუსტებს და მძიმე მდგომარეობაში აყენებს.

**აკაკი ასათიანი:** 2005 წელს ხელისუფლებას, ხუთქულიანი სისტემით, ორიანს პლუსით დავუწერდი. პლუსს იმიტომ, რომ ცოტა წავახალისოთ. სიმართლე რომ გითხრათ, მნიშვნელოვანი დადებითი მოვლენა არ მახსენდება, არა იმიტომ, რომ არ მინდა გავიხსენო, არამედ ვერ ვიხსენებ.



**თინა ხიდაშელი:** ეს წელი, პირადად ჩემთვის, საკმაოდ რთული იყო. ქვეყანამ დემოკრატიის კუთხით სერიოზულად დაიხია უკან. ქვეყანაში გაჩნდა ისეთი პრობლემები, რომელზეც ორი წლის წინ,



რევოლუციის დღეებში ვერც კი ვიფიქრებდით, უბრალოდ, ფანტაზია ვერ გაგვწვდებოდა, რომ დემოკრატიის ხარისხი ასე გაუარესდებოდა. ეს განსაკუთრებით ეხება პოლიციის განყოფილებას, მასმედიის მდგომარეობას, პენიტენციურ სისტემას. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ 2006 წელს ყველაფერი თავიდან დასაწყებია. ჩვენ დავკარგეთ დიდი წილი იმ თავისუფლებისა, რაც ბრძოლის შედეგად წავართვით შევარდნაძეს.

მნიშვნელოვანი მძიმე მოვლენა, რომელიც ამ წელს დამამახსოვრდა, შალვა რამიშვილის დაპატიმრება იყო. ეს არის ადამიანი, რომელიც წმინდა პოლიტიკური ანგარიშსწორების მსხვერპლია. რაც შეეხება დადებით მოვლენას, მიუხედავად დიდი კრიტიკისა, დადებითად ვაფასებ თოვლის ბაბუის ჩამოყვანას. ვულოცავ ხელისუფლებას, ნამდვილად ორიგინალური იდეა იყო.

# მომავალ ორშაბათამდე!



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ნოდარ ლადარია

ახალი წელი მოახლოვდა, მე კი ახალსაც ვერაფერს გეტყვით და, რაც მთავარია, ვერაფრით გაგახარებთ. თუმცა ერთი რამ მაინც არის გასახარი: არსებობს იმედი, რომ ბოლოს და ბოლოს სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდებით. აი, რა საუბარი მოვისმინე გუშინ დილით "მარშრუტკაში" (ზოგ ღვთისა და **გიგი უგულავასაგან** მივიწყებულ მხარეში ჯერ კიდევ გვხვდება ეს დევნილი სატრანსპორტო საშუალება):

— ნეტა იმ კაცს **თოვლისი** ვინ დაარქვა სახელად?

— შე კაცო, მეგრელები სულ ასეთ უცნაურ სახელებს არ არქმევენ შვილებს...

ასეა, ბატონებო, იმდენად დიდია ჩვენში ოფიციალური საბუთებისა და სამთავრობო თანამდებობებით აღჭურვილი ადამიანებისადმი ნდობა, რომ ორი სიტყვა — **თოვლის ბაბუა** — ზოგმა ჩვენგანმა რეალური კაცის სახელად და გვარად აღიქვა (ბოლოს და ბოლოს, ხომ არსებობს გვარი **ბებია**!). არ ელოდა ქართველი ხალხი პირადობის მოწმობასთან ასეთ თავისუფალ მოპყრობას — ესე იგი, ცივილიზაცია გაიმარჯვებს! ესაა მხოლოდ, რომ მისი გამარჯვების სხვა უფრო საგრძნობ ნიშანს ვერ შემოგთავაზებთ — ნამდვილად არ მეგულება.

ერთი პირობა, ის გამიხარდა, რომ პარლამენტში ზარმაცი დეპუტატები დააჯარიმეს და ამგვარად 9000 ლარი შეგროვდა. მაგრამ მერე გავიგე, რომ ეს თანხა უბისის ფრესკების რესტავრაციისთვის გადაიდო. ნუთუ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა შემდეგშიც უქნარა დეპუტატების იმედზე უნდა იყოს? აი, პარლამენტის საინფორმაციო დეპარტამენტთან რომ ბიბლიოთეკაა, იმას წლების განმავლობაში 200 ლარი ვერ მიუღია ახალი წიგნების შესაძენად. თუ ჩვენს პარლამენტარებს ჰგონიათ, რომ ბიბლიოთეკა შეიძლება არსებობდეს განუწყვეტელი განახლებების გარეშე, იქნებ აჯობებს, არასდროს მოვიდნენ სამსახურში და ამისთვის ხელფასიც გადავუხადოთ? — მერწმუნეთ, ნაკლებს ვიზარალებთ ჩვენც და ისინიც. ყოველ შემთხვევაში, დღეში ოთხმოცჯერ აღარ მოუწევთ ღილაკზე თითის დაჭერა. არა, წიგნის კითხვაზე არაფერს ვამბობ — ეს შანსი ჩვენი დეპუტატების უმრავლესობისთვის უკვე სამუდამოდაა დაკარგული — მაგრამ ვუსურვებ, რომ მომავალ წელს მაინც ისეთი შუალედი იყოს კანონების მიღებას შორის, რომ ნორმალურმა ადამიანმა მისაღები ტექსტის წაკითხვა შეძლოს.

ალმასრულებელმა ხელისუფლებამ კი მართლაც თვალუწვდენელ მწვერვალებს მიაღწია: **კახა ბენდუქიძემ** თვით ამერიკასაც მიუთითა, სანამ მე მასწავლიდე, რა ვუყო ჩემს გაზსადენს, ჯერ ევროპას მიხედეო. ჟურნალისტები მოიხიბლნენ, აქაოდა, როგორ ქუხს ჩვენი ქართველი მინისტრიო. მე კი გეტყვით: ქუხილი რა ბედენაა! — მთავარია წვიმდეს, წვიმდეს და ჩვენი ყანებიც მოირწყას. ამაში კი სულაც არ მეხმარება მინისტრის არგუმენტი, უფრო მეტიც, ეს არცაა არგუმენტი — მე მხოლოდ იმას ვგრძნობ, რომ არ მენდობიან და ამ უნდობლობის გამო არ მიხსნიან, რატომ შეიძლება გადაწყდეს გაზსადენის საკითხი ასე და არა სხვანაირად. ეს დებილებზე გათვლილ ერთ სარეკლამო ბილბორდს მაგონებს, რომლებითაც "ბრიტიშ პეტროლეუმმა" აავსო თბილისი: "კითხვა: რა მოაქვს ნავთობსადენს ნავთობის გარდა? პასუხი: გაცილებით მეტი". მეტი რა? - თავის ტკივილი? ჯანდაბა და დოზანა? სიკვდილი და არგადარჩენა? გასაგებია, რომ გაცილებით მეტი მოაქვს, ამიტომაც ვბრაზდებით. საქართველო არაა იდიოტებით დასახლებული ტერიტორია, ამიტომ იქნებ მომავალ წელს მაინც დაგველაპარაკონ ადამიანურად და გვითხრან: ხალხნო, გაგვიგეთ, ამოგვიდექით მხარში...

სხვას რას უნდა ველოდოთ მომავალ წელს?

**ზურაბ ჟვანიას** ყოფილი გუნდის ნარჩენები ბოლოს და ბოლოს დაიკმაყოფილებენ სულიერ მისწრაფებებს, ფუნდამენტალისტურ სექტად გაფორმდებიან და სხვა რელიგიურ უმცირესობებთან ერთად ისინიც ჩაებმებიან საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მოსაპოვებელ ბრძოლაში.

**შალვა ნათელაშვილს** ახალი საზრუნავი გაუჩნდება: **კობა დავითაშვილი** ელექტორატის საკმაო ნაწილს ჩამოაკბეჩს და "ლეიბორისტების" მარადიული მარცხი კიდევ უფრო გაღრმავდება.

**ნიკოლეიშვილმა** და **სარიშვილმა** პოლიტიკური სტრიპტიზი დაასრულეს და ბოლოს და ბოლოს საკუთარი თვალით დავინახავთ, საიდან ამოიღებენ ფულს.

თბილისის მერია საქართველოს საპატრიარქოს ეკონომიკური განყოფილების ფაუნდრაიზინგის ჯგუფად გადაკეთდება.

იუსტიციის სამინისტროსთან შეიქმნება განსაკუთრებული სტრუქტურა: ქურდოთერაპიის დეპარტამენტი. აქ "ჩმორობას", "შნირობასა" თუ "ფარჩაკობას" დანატრებულ პატიმრებს ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის მიზნით მოუწყობენ ძველი დროის გარჩევების სიმულაციას. ამ დეპარტამენტის ხელმძღვანელად ჯეობარელ დიჯეის, **ჟორჟიკას** დანიშნავენ.

მიკვირს, რომ დამთხვევების მოყვარულმა **მიხეილ სააკაშვილმა** არ შენიშნა კიდევ ერთი ნიშანდობლივი დეტალი: ქურდებს საქართველოში სწორედ ძაღლის წელს ერხევიათ. აქ კი ხუმრობა იქით იყოს: სერიოზული განსჯის დრო მოვიდა.

ბევრს, ძალიან ბევრს ლაპარაკობენ "ქურდულ მენტალობაზე". სინამდვილეში საქართველოს მთავრობის განზრახვა გაცილებით უფრო კონკრეტულია: უნდა დასრულდეს დესტრუქციული ჯგუფის გავლენა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. ეს მართლაც გრძელი და სერიოზული საუბარია, გპირდებით, რომ 2006 წელს ჩემს პირველსავე სტატიას ამ საკითხს მივუძღვნი.

**გია ნოდიამ** ქურდების წინაალმდეგ გალაშქრებას ჩვენს სულებში მიმდინარე სამოქალაქო ომი უწოდა. მშვენიერი ნათქვამია. ჯერ-ჯერობით ერთი რამაა აშკარა და უეჭველი: ვერც ერთი ხელისუფლება ვერ მიაღწევს ამ ომში გამარჯვებას, თუ საზოგადოებას არ ამოიყენებს გვერდში; ვერც ერთი საზოგადოება ვერ იქნება ამ გამარჯვების ღირსი, თუ პასუხისმგებლობის აღებისა შეეშინდება. საქართველოს ხელისუფლებამ ცხენი შეკაზმა: თუ ჩვენი შვილების მომავალი გვინდა, ჩვენ უნდა მოვახტეთ ამ ცხენს და გვახსოვდეს სახარებაში ნათქვამი: ვინც ხელი დაადო გუთანს, უკან არ უნდა მოიხედოს.

ძალიან ადვილია ცხოვრება დაამსგავსო **ნიკა მემანიშვილის** მიერ ფონოგრამაზე დაქნეულ ბეთჰოვენს, მაგრამ მე ერთისა მჯერა - ჩვენ მეტს ვიმსახურებთ!



ბიძინა მაყაშვილის სვეტი

# საახალწლო ანბანი



**ახალ** წელს ვულოცავ "24 საათის" ყველა მკითხველს და მოკლედ შევახსენებ იმ მოვლენების შესახებ, რომლებმაც გასულ წელს მეტ-ნაკლებად დამამახსოვრა თავი.

**ბორჯომის** ყოველწლიური ფესტივალი, ქართული აბსურდის საუკეთესო ტრადიციებისამებრ, წელს ბათუმში ჩატარდა.

**გერმანულ** ლუდთან სამდღიანმა ურთიერთობამ ბავარიაში ვიზიტისას, დიდი ხნით დამიკარგა ქართული ლუდის გასინჯვის სურვილი.

**დინამოს** საფეხბურთო კლუბმა საერთაშორისო ასპარეზზე წელსაც ისევე "გამოიჩინა" თავი, როგორც უკანასკნელ წლებში.

**ელტონ** ჯონის სოციალური სტატუსის შეცვლამ ქართული მედიის ისეთი არაჯანსაღი ინტერესი გამოიწვია, თითქოს ჩვენი გეები ბრიტანელ მუსიკოსზე უფრო ნიჭიერები იყვნენ.

**ვალუტასთან** მიმართებაში ლარის კურსი წელს შედარებით სტაბილური იყო.

**ზამთრის** ოლიმპიური თამაშების ბაკურიანში გამართვის პერსპექტივას 2014 წელს საქართველო ძალიან ოპტიმისტურად უყურებს.

**თი ბი სი** ბანკის სათავო ოფისი ელეგანტურ შენობაში გადავიდა.

**ისთერნ პრომოუშენმა** კიდევ ერთხელ ჩაატარა საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალი.

**კვირაობით** თბილისში რუსთაველის პროსპექტის გადაკეტვა-არგადაკეტვის სიგიჟე.

**ლივერპულმა,** რომელსაც 26 წლის წინ მსოფლიოში უძლიერესი გუნდის სტატუსი ჰქონდა, "მოახერხა" თბილისის "დინამოსთან" დამარცხება. წელს "ლივერპულმა" აღიდგინა ძველი დიდება, "დინამო" კი იმ პერიოდის შემდეგ დაღმასვლას აგრძელებს.

**მე** წელს ძალიან დიდი სისულელე არ ჩამიდენია. ძირითადად ალბათ იმიტომ, რომ არც საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარებულა და არც საპარლამენტო.

**ნიუ ორლეანის** წალეკვა ზოგმა სტიქიურ უბედურებად შეაფასა, ზოგმა კი - ერაყში ამერიკის სამხედრო აქტიურობის საფასურად.

**ოპერა** თბილისში ძველ სახელს და ფუნქციას იბრუნებს.

**პირველი** არხის ახალი ხელმძღვანელობის არჩევასთან დაკავშირებული პერიპეტიები ბევრად უფრო საინტერესო აღმოჩნდა, ვიდრე ამ არხის ნებისმიერი პროდუქცია.

**ჟურნალების** ბუმს საქართველოში "ცხელი შოკოლადის" და "ანაბეჭდის" გაჩენა მოჰყვა, რამაც, სხვა თუ არაფერი, საჭორაო მაინც გაუჩინა საზოგადოებას.

**რადიო** "უცნობმა" ძალიან სწრაფად დაიკავა წამყვანი პოზიციები თბილისურ FM დიაპაზონზე.

**საქართველოში** იბადებოდნენ და მერე მუდამ წუხდნენ ამაზე.

**ტოპმიოლერის** დონის მწვრთნელი საქართველოს ეროვნულ ნაკრებს არასდროს ჰყოლია.

**უშბამ** წელს ძალიან გვატკინა გული.

**ფერადი** შენობების მომრავლებამ, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ქალაქი კი არ გაალამაზა, არამედ უგემოვნებო გახადა.

**ქათმის** გრიპთან დაკავშირებით საქართველოში უფრო მეტი ილაპარაკეს, ვიდრე საქმე გააკეთეს; თუნდაც, როგორც ეს ცივილურ ქვეყნებში მოხდა, სადაც თავიანთ ქათმებს საკარანტინო პირობები შეუქმნეს.

**ღამ-ღამობით** თბილისი წელს ბევრად უკეთ არის განათებული, ვიდრე წინა წლებში, ამიტომ ახლა ღამითაც შეგვიძლია ყველა იმ სიმახინჯის დანახვა, რომელიც ადრე მხოლოდ დღისით ჩანდა.

**ყველაზე** დიდი უბედურება წელსაც ის არის, რომ ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთს ქვეყნის საკეთილდღეოდ კი არ უპირისპირდება, არამედ პირადი ინტერესების გამო.

**შიდსის** მიკროაფეთქება ქუთაისში.

**ჩხუბი** და ბილწსიტყვობა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში საკუთარი არგუმენტების დამტკიცების საუკეთესო საშუალებად ითვლება.

**ცათამბჯენის** პროექტი სასტუმრო "აჭარას" საფუძველზე.

**ძლიერი** სტიქიური უბედურებების სიმრავლე მთელ მსოფლიოში.

**წერეთლის** მონუმენტთან და საერთოდ, სკულპტურის მცნებასთან დაკავშირებული ქართული საზოგადოების სრული მარაზმი.

**ჭრელ** აბანოსთან უმცროსი ჯორჯ ბუშის "ცეკვა".

**ხელოვნების** მუზეუმს დაუბრუნდა მოპარულ-რესტავრირებული კრანახი.

**ჯეობარმა** მგონი წარმატებით შეცვალა ლათინური სერიალები.

**ჰappy** New Year!!!


გილოცავთ ახალ წელს!
Happy New Year!
გაერთიანებული ქართული ბანკი
UNITED GEORGIAN BANK



ქეთევან იგნა... ...მოგიძღვე...



# "კეთილმა სძლია ბოროტსა"...

ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო უზარმაზარი დათოვლილი მთებითა და დიდი ქვეყნებით გარშემორტყმული მწვანე მდელოებიანი, ლურჯ ზღვიანი, კამკამა მდინარეებიანი, ულრუბლო ციანი ერთი პატარა, ძალიან ლამაზი ქვეყანა. ამ ქვეყანაში უსაზღვროდ კეთილი, ნიჭიერი, შრომისმოყვარე, მომღერალი, მოღიმარე და ქვეყნის მსგავსად ლამაზი ხალხი ცხოვრობდა. მაგრამ, ამ ყველაფრის მიუხედავად, ხალხი მაინც უბედური იყო, იმიტომ, რომ ქვეყანას მგლის, დათვის, ტურისა და გველის ნაჯვარი უზარმაზარი მახინჯი ურჩხული ჰყავდა შეჩენილი, რომელიც ხალხისთვის წართმეული ბედნიერებით იკვებებოდა. ოდნავი ბედნიერების, სიხარულის სუნს მძინარეც კი იმწამს გრძნობდა, თავის უზარმაზარ ცეცხლოვან პირს აღებდა, ადამიანების ბედნიერებას სანსლავდა და ამით სულდგმულობდა. საბრალო ხალხს ბედნიერების გამოჩენის ეშინოდა, ბედნიერება ენატრებოდა. ვინმეს ვინმე შეუყვარდებოდა, ბავშვი დაიბადებოდა თუ კარგი მოსავალი მოვიდოდა - სიხარულს მალავდნენ. მთელს ქვეყანას მარტო ერთი სიტყვა ეკერა პირზე და მარტო ერთი საფიქრალი ჰქონდა გულში - თავისუფლება, თავისუფლება, თავისუფლება! ყველას, ვისგანაც ამ, მისთვის ასეთ საძულველ სიტყვას გაიგონებდა მახინჯი ურჩხული ან კიდევ უფრო მეტ ბედნიერებას, საბოლოო სიხარულს ართმევდა, ან სულ კლავდა, ცეცხლით ფერფლად აქცევდა. მაგრამ ხალხის კეთილ გულს, გონებას, სიყვარულის ძალისა და უნარის სიძლიერეს მახინჯი ვერ გაიგებდა, ვერ ჩასწვდებოდა, იმიტომ, რომ მათი ბუნება, სიკეთე, ბედნიერების სურვილი მისთვის შორეული, ამოუცნობი და ამიტომ გაუგებარი იყო. ხალხი კი მარტო იმას ფიქრობდა, მახინჯი როგორ დაემარცხებინა, როგორ მორეოდა, თუმცა ის მათზე ბევრად ღონიერი, დიდი და დაუნდობელი იყო.

ბევრი იფიქრეს, იფიქრეს, იბჭეს, ცხრა მთას იქით მცხოვრებ კეთილ ჯადოქარსაც ეახლნენ, რჩევა ჰკითხეს და ბოლოს მოიფიქრეს: ხალხმა გაერთიანება, ერთ მუჭად შეკვრა და ერთმანეთის კიდევ უფრო მეტად, ძლიერად სიყვარული, ერთგულება, თანადგომა გადაწყვიტა. მოსავალს ყველა ერთად იღებდა, არავის შურდა მეზობლის, არავინ არავის ეჩხუბებოდა, ცოლებს ათასჯერ უფრო მეტად უყვარდათ ქმრები, ქმრებს ცოლები. თითოეული ბავშვის დაბადება მთელი ქვეყნის სიხარული გახდა. დედებს სიგიჟემდე უყვარდათ შვილები, შვილებს კი დედები. უფროსები უმცროსებს მფარველობდნენ, უმცროსები კი უფროსებს ეფერებოდნენ. დარიც უხაროდათ და ავდარიც, მზეც და მთვარეც, ზაფხულიც და ზამთარიც. ყველა ერთმანეთს ეხმარებოდა. მთელი ქვეყანა ერთად მუშაობდა, ერთად ისვენებდა, პურს თანაბრად იყოფდა და ერთად ჭამდა, ერთად მღეროდა. ჭირშიც და ლხინშიც ერთად იყო. პატარა, ლამაზი ქვეყნის მთელი ხალხი ერთ დიდ სიყვარულში გაერთიანდა. ასეთი სიყვარულისგან კი ისეთი ბედნიერი და ამისგან ბევრად უფრო ძლიერი, დაუმარცხებელი გახდა, რომ როდესაც მახინჯმა ცეცხლოვანი პირი გააღო და ათასობით სიყვარულისგან შემდგარი ამხელა ბედნიერება ერთბაშად გადაყლაპა, ყელში გაეჩხირა, გადაცდა, დაიხრჩო და მოკვდა.

ამის მერე ამ ქვეყანაში ზღვაში თევზი, ცაში ჩიტი, მინდორში ყვავილი, ტყეში ცხოველი, სახლში ბავშვი კიდევ უფრო მომრავლდა. ცა სულ ულრუბლოა, სიყვარულის არავის ეშინია და უბედური აღარავინ არის.

ხვალ ამ ლამაზ ქვეყანაში კიდევ უფრო ბედნიერი ახალი წელი დგება!

---

საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ჩამოყალიბება, ნაბიჯ-ნაბიჯ ევროპიზაცია არა მხოლოდ პოლიტიკაში, განათლების, ჯარის, პოლიციის ან სასამართლოს რეფორმირებაში, არამედ წინასაახალწლო მომზადებაში, მორთულობაშიც კი იგრძნობა. შეიძლება ჯერ მხოლოდ თბილისში, ზოგიერთ სხვა დიდ ქალაქში; შეიძლება ჯერ ერთ-ორ მოედანზე, ქუჩაზე; შეიძლება ჯერ სულ რამდენიმე მაღაზიაში, სასტუმროში, კაფესა თუ რესტორანში, მაგრამ ევროპული ყაიდის საზეიმო მორთულობა უკვე აშკარად თვალშისაცემი და სასიამოვნო აღსანიშნი გახდა. უჩვეულოდ ლამაზად მორთული, მოციმციმე შარდენის ქუჩა, ათასობით ნათურით განათებული ხიდები, მოკაშკაშე "ციციანოვის აღმართი", საზეიმოდ მორთული მერიის შენობა, ფოთოლგაცვენილი, განათებული ხეები, სასტუმრო "მარიოტთან" და "მაკდონალდსთან" ზღაპრული ნაძვის ხეები, მორთულ-მოკაზმული სხვადასხვა მაღაზიის ვიტრინები დედაქალაქში სწორედ იმ განწყობას ქმნის, რომელიც საახალწლო-საშობაოდ მთელ ცივილიზებულ სამყაროში ასეთი დამახასიათებელი და ჩვენთვის კი წლების მანძილზე ასეთი სანატრელი იყო.

ტანსაცმლის მაღაზია "გარდერობის" ვიტრინების გამფორმებლებმა წელს მართლაც რომ ძალიან კარგი გემოვნება, ფანტაზია გამოავლინეს და ვიტრინების მოსართავად ოპერიდან მხატვარ გოგი ალექსი-მესხიშვილის მიერ შექმნილი ულამაზესი, ხელით მოხატული, უნიკალური



კოსტიუმებიც კი გამოიტანეს. უნდა ვაღიაროთ, რომ საინტერესო, გემოვნებიანმა, ახლებურმა იდეამ ნამდვილად გაამართლა. მაღაზიის მდიდრულ ვიტრინებთან დღითაც და ღამითაც გამვლელები ჩერდებიან და ხელოვნების ნიმუშებს სიამოვნებით ათვალიერებენ. ვაკეში ერთ-ერთი მაღაზიის შესასვლელთან მუსიკოსი სანტაკლაუსები დგანან და ყველასათვის კარგად ნაცნობ, საყვარელ მელოდიებს უკრავენ. თბილისის ზოგიერთი მაღაზიის ვიტრინა დახვეწილი მინიმალიზმით, ზოგიერთი კი პირიქით, საახალწლო საჩუქრების ფერადი ყუთების, ნაძვის ხის სათამაშოების, მოციმციმე ნათურების, ფერადი გირლიანდების სიუხვით გამოირჩევა. წელს თბილისში საგრძნობლად მეტი ევროპულად მორთული საზეიმო ვიტრინა გაჩნდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ჯერ ყველას არ ეხება. ზოგიერთი მაღაზიის მფლობელმა შობა-ახალი წლის საზეიმო განწყობას ან სრული იგნორირება გაუწია, ან იძუნწა, ან საკუთარი მაღაზიების ვიტრინები ისეთი უგემოვნობით, უბადრუკობით გააფორმა, რომ ამას სულ არგაფორმება სჯობდა. თუმცა, წინასაახალწლო დღეს კრიტიკის, ვინმეს გამოყოფის, წყენის არანაირი სურვილი არ მაქვს. ამიტომაც, ჩემ მიერ გადაღებული ფოტოების საშუალებით (ხარისხი მომიტევეთ) მხოლოდ ლამაზ, ხალისიან, საზეიმო და ევროპიზირებული საქართველოსთვის შესაფერისი მორთულობების მცირე ნაწილს წარმოგიდგენთ.









---

# 2005-ის ჩემი გულახდილი დაიჯესტი

• • •

სანამ ნათელაშვილის შველა ჯერ სულ დაგვიანებული არ არის, ეგება ჟურნალისტების ნაცვლად მისი მდგომარეობით ვინმე ღვთისნიერი, ჰიპოკრატეს ფიცის ერთგული მედიკოსი დაინტერესდეს. *22 იანვარი. "მეცნიერების ახალი შანსი".*

• • •

დამერწმუნეთ, ერთი, თუნდაც ძალიან ცუდი ფილმის გადაღებით აღმაშენებელს არაფერი დააკლდება... მაინტერესებს, რესპუბლიკის მოედანზე წლების წინ აღმართული მეფის ძეგლი ყველას მოგწონთ? აღმაშენებლის შეურაცხყოფად ეს ქანდაკება რატომ არავინ აღიქვა? *22 იანვარი. "აღმაშენებელზე ნუ ვიდარდებთ".*

• • •

სამწუხაროდ, დარწმუნებული ვარ, რომ საკრებულოს აწმყო შემადგენლობის დიდი ნაწილი უნარ-ჩვევებში სამარცხვინოდ ჩაიჭრება. *12 თებერვალი. "რჩევა ქალაქის მერს".*

• • •

ისევე, როგორც რიგითი მკვლელისთვის, რუსეთის მაღალჩინოსნისთვისაც ძნელია საკუთარი ქვეყნის პოლიტიკის, აგრესიის მსხვერპლის საფლავზე აუღელვებლად მისვლა. *19 თებერვალი. "არადიპლომატიური აზრი".*

• • •

კარგი, შედეგიანი იქნებოდა, მთავრობის წევრებიც რომ ოდესმე სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობდნენ. აი, სად მოისმენდნენ მართლაც რომ კონსტრუქციულ კრიტიკას. შეულამაზებელი სიმართლის გასაგებად სამარშრუტო ტაქსი საუკეთესო ტრანსპორტია. *19 თებერვალი. "გასეირნება მარშრუტით".*

• • •

არსებობს რამდენიმე გაზეთი, რომლებშიც დაბეჭდილი, ნათქვამი, პირადად ჩემში უკურეაქციას იწვევს. *22 თებერვალი. "გაზეთების შესახებ".*

• • •

ტელეეკრანზე ცალკეული პოლიტიკოსი ან მთავრობის წევრი როგორც კი გამოჩნდება, საზოგადოებამ უკვე წინასწარ იცის, რას უნდა ელოდოს - ტყუილს, მართალს, დემაგოგიას, გაუგებარ პოზიორობას თუ გაკეთებულ საქმეს. *5 მარტი. "რა სასიამოვნო მოსასმენია!"*

• • •

ლუდი "ლომისი" მის მწარმოებლებს ლუდი კი არა, ვიაგრა ჰგონიათ. *12 მარტი. "ლომისი".*

• • •

დედები ოდითგან შვილებს სამშობლოს, რწმენის დასაცავად უშვებდნენ, ქვეყნის ინტერესებს სწირავდნენ, მაგრამ მისაღები გამოცდების ჩაბარების თავიდან აცილების მიზნით დედა საკუთარ შვილს საშიმშილოდ სვამდეს, არავის გაუგია. *19 მარტი. "ინსტინქტების დაქვეითების სინდრომი".*

• • •

საქართველოში ისტერიკა ნელ-ნელა მოდაში შემოვიდა, ქცევის, პროტესტის, უკმაყოფილების გამოხატვის ფორმად, მიზნის მიღწევის გზად გადაიქცა. ზუგდიდის ბაზრის მოვაჭრე ქალები მეგრულად კივიან, წივიან, სახეს იხოკენ, მიწაზე ენარცხებიან, ფეხებს აბაკუნებენ, ფართხალებენ და ამით ვაჭრობისთვის ხელსაყრელ პირობებს ითხოვენ. *26 მარტი. "ისტერიკა მოდაშია".*

• • •

აშშ-ს პრეზიდენტი ამ ახალდაგებულ ასფალტს, შელესილ, გარესტავრირებულ, შეღებილ შენობებს თან ხომ არ წაიღებს? ნუთუ ურწმუნოება, დაუნახაობა, სკეპტიციზმი ჩვენში ასე ღრმად არის გამჯდარი? რა მნიშვნელობა აქვს, რისთვის კეთდება, თუ კეთდება და თანაც კარგად? *16 აპრილი. "მთავარია, რომ..."*

• • •

მეტი გულწრფელობა, დაღუპულთა დედების, ცოლების მეტი თამამი აღიარება, მეტი გამოცდილების გაზიარება, გადარჩენილების, "გამომძვრალების" მეტი მოსმენა, დაღუპულების მეტი აღსარება, მეტი სინაღდე, სითამამე და სწორი კანონები - ნარკომანიასთან ბრძოლაში ბევრად მეტი ეფექტურობის მომტანი იქნება. *23 აპრილი. "ნარკომანიასთან ბრძოლის ჩემეული ვარიანტი".*

• • •

მე მინდა საქმის კურსში ვიყო, რას ფიქრობს ჩემს ქვეყანაზე მსოფლიო. მე მინდა მსოფლიო მასმედიის მიერ ჩემს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების კომენტარი. *7 მაისი. "მანახეთ, მითხარით"...*

• • •

ამერიკის პრეზიდენტმა საქართველო რამდენიმე დღეა, რაც დატოვა. მე და ჩემი შვილები ბუშის თბილისში ვიზიტის ამსახველ კადრებს ტელევიზორში მეასედ ვუყურებდით. ამ დროს დაიწყო დოკუმენტური ფილმი "ვარდების რევოლუცია შტატივის გარეშე", რომელშიც 22 ნოემბრის პარლამენტის შტურმი, ჩახერგილი ქუჩები, ნიღბიანი ჯარი, ვარდიანი სააკაშვილი და კიდევ უამრავი ისეთი დეტალი იყო, რომელიც თითქოსდა მივიწყებული გვაქვს. უცბათ ჩემი ერთ-ერთი ქალიშვილი მეკითხება: "რატომ არის, რომ ასეთ ექსტრემალურ მომენტებში უფრო მძაფრად გრძნობ, როგორ გიყვარს შენი ქვეყანა, ყოველდღიურ ცხოვრებაში კი თითქოს გავიწყდება?!" *14 მაისი. "9-10 მაისი".*

• • •

მოხდა! რუსები მიდიან! ჩემი, თქვენი წინაპრების, ჩვენი ოცნების ასრულების შანსი, ძალა კი დღევანდელ ხელისუფლებას მიეცა და მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, საქართველოს ისტორიის ეს უმნიშვნელოვანესი მომენტი სააკაშვილის სახელთან იქნება დაკავშირებული. *4 ივნისი. "პოლიტიკური ჯართი".*

• • •

ქართული საზოგადოება შესანიშნავად ხედავს ყველაფერს. ყველას საკუთარ დამსახურებულ სახელს არქმევს, ადგილს უჩენს. ყველამ იცის, ვინ არის მედროვე, ავანტიურისტი თუ, უბრალოდ, იდიოტი. ქართული საზოგადოება ნათლად არჩევს, ვინ რისთვის იბრძვის. *2 ივლისი. "საკუთარ შეცდომებზე ვისწავლოთ".*

საქართველო სახელმწიფო გახდა და მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, ნებისმიერ სახელმწიფოს თამაშის მხოლოდ ერთი წესი აქვს - კანონი და მხოლოდ ერთი ხედვა - სახელმწიფოებრივი. *16 ივლისი. "მავნე ჩვევა".*

• • •

მიმაჩნია, რომ მისაღები გამოცდების დასრულების შემდეგ ლომაია და მისი გუნდი პირადად პრეზიდენტისა და მთელი საქართველოს მხრიდან სერიოზულ მადლობას იმსახურებს. *16 ივლისი. SMS.*

• • •

...ჩემს დადებით ემოციებს შორის მთავარი მაინც ის იყო, რასაც ჩემი სახლის აივნიდან სამი დღის განმავლობაში თვალს ვადევნებდი. თითქოს ვუყურებდი და ვერ ვძღებოდი. ნაპირთან მოსულ გემებზე ბათუმის სამხედრო ბაზებიდან მძიმე ტექნიკა იტვირთებოდა. რუსული ტანკები ჩემს თვალწინ გადიოდნენ! იცით, ეს რა სასიამოვნო სანახავი ყოფილა! *3 ოქტომბერი. "ჩემი აჭარული შთაბეჭდილება".*

• • •

თითქოს საქართველოს ისტორიაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი დასრულდა, წერტილი დაესვა და ის, რისთვისაც ქაქუცა ჩოლოყაშვილი იბრძოდა, კიდევ ერთხელ აშკარად მანვე მაგრძნობინა. ჩემს წინ დამოუკიდებელი ქვეყნის დედაქალაქი იყო გადაშლილი. *26 ნოემბერი. "ქაქუცა".*

• • •

არც ის ვიცოდი, რომ "წრიპა" ამდენად "არაწრიპა", დიდი კაცი ყოფილა. აბა, რაღა წრიპაა, თუ მთელი დეპარტამენტები, სამინისტროები მის მოვლა-მოწესრიგება-მოფერებაში ირჯებიან. "წრიპები" თვითონ ყოფილან! *17 დეკემბერი. "არ ვიცოდი".*

• • •

მე მგონი, არ შემეშლება თუ ვიტყვი, რომ თითოეულ დამთვალიერებელს, ჩემს მსგავსად, მუზეუმების გადარჩენის, გაცოცხლების ოპტიმისტური იმედი გაუჩნდა. *24 დეკემბერი. "საფუძვლიანი ოპტიმიზმი".*

# ზამთრიდან - ზამთარში...

## ბიძინა გუჯაბიძის დღიურები

დასასრული.
დასაწყისი იხ. №291



29.07. ალპიური კლუბიდან ირაკლი კაპანაძეს მივყავართ "წითელ ხიდზე" გურამ სალი, შოთა კომახიძე, ნიკა ლებანიძე და მე. ჩვენს საზღვარს იოლად გადავდივართ. აზერბაიჯანელები ყოველ ნაბიჯზე "მაღარიჩს" და "ფეშქაშს" გვთხოვენ, ავტობუსზეც დიდი ვაჭრობა გვჭირდება. საბოლოოდ პირველად შემოთავაზებულის მეოთხედ ფასზე ვთანხმდებით და ვლაგდებით. უკვე საღამოა და იმედი გვაქვს, ბაქოში ჩასვლამდე გამოვიძინებთ. ავტობუსი სავსეა უმეტესად ფეხშიშველი აზერბაიჯანელებით, ხშირად ჩერდება სოფლებში, ჩადიან და ამოდიან, იცვლება მგზავრები, სუნი კი იგივე რჩება. მძღოლის თავზე დაკიდებულ ტელევიზორში აზერბაიჯანულ მძიმე როკს, რეპს და კიდევ ბევრ ჩემთვის გაუგებარ მიმდინარეობების კონცერტებს ატრიალებენ. ტელევიზორი კი მძღოლების თავზეა, მაგრამ დინამიკები - პირადაპირ ჩვენს თავზე. ეს ღამე ერთ-ერთი უმძიმესი ღამისთევაა ჩემს ცხოვრებაში.

30.07. დილის 7 საათზე ბაქოში ვართ. მძღოლი გვიმტკიცებს, აეროპორტში ვართო, თურმე ბაზრობას ჰქვია "აეროპორტი". ვეძებთ ახალ ტრანსპორტს აეროპორტამდე. აეროპორტში **"გაერთიანებული ქართული ბანკის"** წარწერებიან მაისურებს ვიცვამთ და ქუდებს ვიხურავთ. სერიოზულ გუნდს რომ დავემსგავსოთ, წარწერა **union georgian bank** უფრო უძლიერებს მადას აზერბაიჯანელ ჩინოვნიკებსა და აეროპორტის თანამშრომლებს, განსაკუთრებით ზედმეტ ბარგზე გვწეწავენ.

საღამოსთვის ალმა-ატაში ვართ. ყაზახ მებაჟეებთან, მესაზღვრეებთან და პოლიციელებთან მორიგება აზერბაიჯანელებზე რთული აღმოჩნდა.

მეგობრები აეროპორტში მახვედრებენ მანქანას. გზა გრძელია ყაზახეთის სტეპებზე, ყაზახეთ-ყირგიზეთის საზღვრის გადაკვეთასაც დიდი დრო სჭირდება. გვიან ღამე პატარა მთისპირა ქალაქ კარაკოლში (ძველი პრჟევალსკი) ვართ.

1.08. ადრიანად ვემშვიდობებით ჩვენს მასპინძელს. საკმაო დროს ვხარჯავთ პროდუქტების შეძენაზე. შარშან ბიჭები აქ კვირაზე მეტხანს ცხოვრობდნენ, თავს შინაურად გრძნობენ. ნაცნობ ნაყინის გამყიდველ ბებიასაც კი ხვდებიან, მაგრამ მე მეტის საშუალებას აღარ ვაძლევ! პროდუქტის ყუთებს ვამატებთ ჩვენს ბარგს, მერე ეკლესიაში ჩვენი ნაცნობი მამა მიხეილი მოვინახულეთ და მაიდადირისაკენ დავიძარით.

შუადღისთვის მაიდადირში ვართ, აქ პატარა სასაზღვრო გარნიზონთანაა ალპინისტური ბაზა. 1998 წლის მერე ხშირად მიწევს აქ შემოვლა. თითქმის არაფერი იცვლება, იგივე ბარაკები, ციმბირული აბანო აუზით, ბანაკის უფროსი ჩემი ძველი მეგობარი პიოტრ ივანიჩი, ყირგიზები - ბიქტურსუნი და სარიმა, დიდი და ავი ვაცი მაშკა და კეთილი კავკასიური ნაგაზი ბურკა.

აქ უკვე მეგობრების და ნაცნობების სიმრავლეა - ურალელები, ციმბირელები, გერმანელები... ტრადიციულად ქეიფს აბანოში ვაგრძელებთ.

2.08. დილაადრიან ვერტმფრენის ასაფრენ ბილიკზე ვიყრით თავს. წონის შესამცირებლად თბილ ტანსაცმელს, ბათინკებს ვიცვამთ. ერთი საათის შემდეგ მყინვარზე ვართ, 4000 მ სიმაღლეზე, მიშა მიხაილოვის საბაზო ბანაკში. მადლობა ღმერთს, ისევ სახლში ვართ. მთელი მყინვარი გველოდება. საღამოსთვის ერმაჩეკის და ტიმოფეევის ბანაკში ვიკრიბებით სხვადასხვა საბაზო ბანაკიდან, 15-20 კაცი, სულ ძველი მეგობრები, 20-25 წლის წინ გაცნობილები, უკვე საკმაოდ მობერებულები, გაჭაღარავებულები, ცოტათი წონაში მომატებულები, მაგრამ ჯერ კიდევ ყოფილი საბჭოთა კავშირის მთამსვლელობის ნაღები: გლებ სოკოლოვი და ტიმოფეევი - ევერესტის ჩრ. კედელზე ამსვლელები 2004 წ. მიშა მიხაილოვი და დიმა პავლენკო - ჟანუს ჩრდ. კედლის გამვლელები, 2004 წ., საშა ფოიგტი - ევერესტზე უჟანგბადოდ ამსვლელი, სერგეი პემზოვი - ევერესტზე და K-2-ზე უჟანგბადო ამსვლელი, პუგაჩოვი, ზუევი, ლიეპა, მისლოვსკი...

ერთმანეთში ირევა ქართული ღვინო, კონიაკი, ყირგიზული მყრალი არაყი და ირლანდიური ვისკი. მართალია საკმარისი აკლიმატიზაცია ჯერ არავის გვაქვს, მაგრამ ერმაჩეკს გიტარას ვერ ვაგდებინებთ ხელიდან. ვიხსენებთ ერთად გადახდენილ თავგადასავლებს, მეგობრებს. ამ სეზონზე პირადად მე უკვე 5 მყავს დაკარგული - ქიქოძე, ხაბაზი, ბორისოვი, მიხაილოვი, ლიტინსკი, სეზონი კი წინაა. ვიხსენებთ მეგობრებს, რომლებიც ამ 25 წლის განმავლობაში დავკარგეთ. ბევრნი არიან. ვცდილობ გარეშე თვალით შევხედო ჩვენს არაფხიზელ თავყრილობას.

ბიჭები თითქოს უემოციოდ, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით იხსენებენ შემზარავ ტრაგედიებს, რომლის უშუალო მონაწილეები ან მაშველები თვითონ არიან. თითქოს მეომრები შეიკრიბნენ ახლად გადატანილი ბრძოლის შემდეგ... ეს ხალხი ერთმანეთით ცხოვრობს, ერთმანეთის სიხარულით, წარმატებით, ტკივილით... მერაბის დაღუპვა ყველამ გაიგო, ზოგმა მხოლოდ სახელი იცოდა და იმედოვნებდა, იქნებ სხვა მერაბიაო.

მთამსვლელი ყოველთვის განსაკუთრებულად განიცდის მთაში სიკვდილს. ისეთი გრძნობა გაქვს, თითქოს ყველაფერი ეს შენ დაგემართა, შენ მოგიწყდა ქვა, ჩაგენგრა თოვლის ხიდი, მოგიცურდა დაფა, გაგძვრა წრიაპი, გატყდა წერაყინი, ამოვარდა პალო. ეს შენ მოექანებოდით დიდი სიმაღლიდან ქვემოთ, ჯერ კიდევ ცოცხალი პირველ შეჯახებამდე, შენ იყინებოდი მთელი ღამის განმავლობაში, ამაოდ ელოდებოდი მაშველს და ნელ-ნელა გტოვებდა სიცოცხლე!

რამდენჯერ მოვკვდით და ისევ ცოცხლები ვართ!

მეგობრებში და ახლობლებში კი სამახსოვროდ ნაწილდება დარჩენილი აღჭურვილობა - სანთებელა, დანა, სათვალე, ქუდი, კარაბინი.

3.08. დიმა მოსკალოვი ამოფრინდა 13 წლის ვაჟიშვილთან და სიმამრთან ერთად. 5 აგვისტოს ვანიას, უფროსი ვაჟის, ხანტენგროზე დაღუპვის დღეა. ჩვენ კი სადილის მერე გავდივართ, პირველი სააკლიმატიზაციო გასვლაა.

მყინვარზე წინა წლებთან შედარებით, არ არის მნიშვნელოვანი ცვლილება, ამიტომაც მყინვარული მდინარეების ქსელში ადვილად ვპოულობთ გზას. 4200-ზე ჭრელი კარვების პატარა ბანაკს ჩვენს კარავსაც ვუმატებთ.

4.08. დილის 4 საათზე ბანაკი ცოცხლდება, კარვებიდან ისმის პრიმუსის ზუზუნი, ახალგამოღვიძებული ხალხის ბუზღუნი, საძილეებისა და კარვის შესაკრავების ჭრიალი, და მერე უსიამოვნო ჩხრიალი, ლამის არის ერთმანეთს თავზე დააფსან. ჩვენს ტერიტორიას ცოტათი ერიდებიან. გუშინ საღამოს ერთ პეტერბურგელს "ვმარხავდით" - "все равно, не отдадим Абхазию, зачем вам?" - ბიჭებმა წერაყინი ძლივს გამომგლიჯეს ხელიდან.

მძიმე-მძიმედ ჩვენც ვუერთდებით გასვლის სამზადისს. საუზმის მერე ვკეცავთ კარავს, წრიაპებს ვიცვამთ და გავდივართ, კაშკაშა ვარსკვლავების სინათლე არ გვყოფნის და ფანრები გვინთია. ზემოთ მყინვარზე უკვე საკმაოდ მაღლა მოჩანს მოციმციმე ფანრების მწკრივი. ეს მონაკვეთი ყველას ანერვიულებს, "ბოთლის ყელს" ან "სათაგურს" ვეძახით. ყოველი ასვლიდან დაშვებისას, საკუთარ თავს ვუმტკიცებ, რომ ეს ბოლო გავლაა-მეთქი. შარშან ჩამოწოლილმა ზვავმა 11 კაცი ჩაიტანა, მე პირადად რასაც შევსწრებივარ წლების განმავლობაში, 17 კაცია აქ ჩარჩენილი, ამიტომაც ამ ადგილის გავლას ყველა ღამე ცდილობს, ზვავის ჩამოსვლის შანსი ცოტათი ნაკლებია, თუმცა არც ღამით ვართ სრულად დაცულები. მოკლედ, საუკეთესო ადგილია საკუთარ თავში ჩაღრმავების, ამქვეყნიური სიცოცხლის წარმავლობაზე და მარადიული ცხოვრებისთვის გატარებულ ღონისძიებებზე დაფიქრებისათვის.



მყინვარის შუა წელზე ბიჭები მაჩვენებენ ადგილს, სადაც შარშან ღამე გაათიეს და მიყვებიან შარშანდელი ექსპედიციის მხიარულ ისტორიებს.

მყინვარი დახურულია, თოკში ჩაბმა არ გვჭირდება, მაგრამ ვცდილობთ ყველამ ერთად ვიაროთ, ყოველ შემთხვევაში, მხედველობის არეში მაინც გვყავდეს ერთმანეთი. მინდა გავარკვიო, ვინ როგორ ფორმაშია და ვინ როგორ იტანს სიმაღლეს (საბოლოოდ, მთელი თვის განმავლობაში, ეს ვერ მოვახერხე, ყოველდღე იცვლებოდნენ ლიდერები, ჩამორჩენილები, ცუდადმყოფები).



დილის 9 საათისთვის მოწინავეები უკან ვიტოვებთ "ბუტილკას" და მალე 5300 მ-ზე ვართ. დღეს აქ ვაპირებთ დარჩენას, მთელი დღე წინაა, მაგრამ მდორე აკლიმატიზაციისათვის ასე უკეთესია, სერაკის ძირში უსაფრთხო ადგილს ვარჩევთ, ჰოლანდიელებისგან ერთ ნიჩაბს ვიმატებთ და კარვის მოედანს ვთხრით. 11 საათისთვის უკან ჩამორჩენილებიც გვიერთდებიან. კარავში ვეყრებით. უკვე ცხელა. ზემოდან კარავს საძილეებს ვაფარებთ და ორპირს ვაკეთებთ. შედარებით გრილა. მთელი დღე ვჭამთ, ვსვამთ, გვძინავს. ვკითხულობ ბოლო გვერდებამოგლეჯილ სულელურ რუსულ დეტექტივს.




5.08. დღეს ვანია მასკალიოვის (დიმას შვილის) დაღუპვის 5 წლისთავია! მზე სანამ არ მოგვადგა და კარგად არ გაგვაშრო-გაგვათბო, მანამ განძრევა არც კი გვიფიქრია, დღეს მხოლოდ 3-4 საათის გზა გვაქვს უნაგირამდე, 5800-მდე. შუადღისთვის უკვე მართლაც უნაგირაზე ვართ. აქ მხოლოდ რამდენიმე კარავი დგას ბერგშრუნდში, დანარჩენი ხალხი გამოქვაბულებში ცხოვრობს. თოვლის გამოქვაბულის გამოთხრის ცოდნა მოსიმაღლე მთამსვლელისთვის აუცილებელია. ყოველთვის ვთხრი ხოლმე გამოქვაბულს სააკლიმატიზაციო გასვლის დროს, ასვლის დამთავრების შემდეგ საზეიმოდ "ვჩუქნი" ხოლმე ვინმეს.

ბიჭებს ეზარებათ გამოქვაბულის გათხრა, მაგრამ რახან ჩემთან არიან, მხოლოდ ჩემი წესებით "თამაშის" უფლება აქვთ. ვმუშაობთ წყვილებად, მე უფრო ვზედამხედველობ, ვასწავლი ფერდის არჩევას, შესასვლელის გაჭრას, დერეფნის გაკეთებას, შიგა პროფილის და თაღების ფორმას, ნარებისა და სამზარეულოს განლაგებას. რამდენიმე საათის მუშაობის შემდეგ მზად გვაქვს 5-ადგილიანი კეთილმოწყობილი, მაღალჭერიანი გამოქვაბული, ახალი და სუფთა, კარგი ვენტილაციით. საბოლოოდ გაფუჭებული ამინდი, ძლიერი ქარით და თოვლით, უკვე აღარ გვაწუხებს, შემოსასვლელს კარავს ვაფარებთ და გამოქვაბულში კიდევ უფრო თბება. ნიჩაბი შიგნით გვაქვს და მშვიდად ვიძინებთ. უამინდობამ თუ ჩაგვმარხა, ადვილად გავაღწევთ გარეთ.

6.08. გუშინ საღამოს კავშირზე გავიგე, დიმა მასკალიოვი ოჯახური პრობლემების გამო დღეს პირველივე ვერტმფრენით აპირებს ქვემოთ გაფრენას. მინდა მივუსწრო, გავაცილო და ეს კიდევ ერთი მიზეზია ჩვენი დილაადრიანი დაშვებისა. ღამით მოუთოვია, ისევ ნისლი და ღრუბელია, თოვს და ჩვენც თოკში ვებმებით, ზედმეტ შარს ვერიდებით. "ბუტილკას" ძირში ზემოთ მომავალი ჯგუფები გვხვდება, უხარიათ ზემოდან ჩვენს გაჭრილ კვალს რომ ხედავენ. უმეტესობა უცნობები არიან, ციმბირელების გუნდს ვცნობ, საშა ფოიგტის და სერგეი ზუევის (მწვრთნელები) გარეშე მოდიან, ინგლისურად გვესალმებიან და ინგლისურადვე ცდილობს ერთ-ერთი გამოლაპარაკებას. მე რუსულად ვეპასუხები. - აა, ირანელები ხართ? და გახარებული თავისი მიხვედრილობით, ჩემს ზურგჩანთაზე მიმაგრებულ ხუთჯვრიან დროშაზე მიმითითებს. საკმაოდ თავშეკავებულად ვუხსნი - შვილო, ეს ჯვრებია, ჩვენ კი ქართველები ვართ-მეთქი. ისევ უზრწყინდება თვალები და მეკითხება, თორთლაძე ხარ, ხომო?

ბიჭები ლამისაა ნაპრალში ჩაცვივდნენ ჩაბჟირებულები. გაკვირვებულ რუსს ვამშვიდებ, საბაზოში ფოიგტს და ზუევს აუცილებლად ვკითხავ, სად განხულობენ ასეთ დებილებს-მეთქი და გზას ვაგრძელებთ.

საბაზოში საუზმეზე დავაგვიანეთ, სამაგიეროდ მასკალიოვს და მის ოჯახს მივუსწარით. უსაუზმოდ კი არ დაგვტოვებენ გოგოები.

რაციით გვატყობინებენ ვერტმფრენის მაიდადირიდან გამოფრენას, 40 წუთში აქ იქნება, მთელი ბანაკი ვაცილებთ წამსვლელებს, ძირითადად მასკალიოვებს. გერმანელების 18-კაციანი ჯგუფიც უნდა შეფრინდეს პობედის ძირში, ჯგუფის ხელმძღვანელი ჯოზეფ აისმანია, შარშანწინ აღმოსავლეთ პობედის ქედზე ხელმოტეხილი კაცი რომ დაკარგეს და მერე მასკალიოვი, აკიმოვი, აფანასეევი და მე მძიმე სამაშველო აღჭურვილობით ჩონტარენის ქედზე რომ გამოგვიძახეს ტყუილი განგაშით. შარშანაც დიდ "ხლაფორთში" გახვიეს მაშველები ქვევით ხეობაში. წელს შემპირდა, მე არ ვაპირებ მთაზე წასვლას და შენი შეწუხება არ დაგვჭირდებაო.

მალე მოფრინდა ვერტმფრენიც, ყირგიზეთის სამოქალაქო ავიაფლოტის ერთადერთი მშვენება. კარებში მეზობელი ბანაკის "ტომის ბელადი" სლავა მიროშკინი გადმოდგა, ზუსტად ინდიელი ბელადივით ხელებშემართული მოგვესალმა აბორიგენებს და ჯერ გერმანელები და მერე მასკალიოვიც მიიწვია სალონში. დიმა "პობედიდან" უკან მობრუნებულებს უნდა გაჰყოლოდა, ამიტომ ნაჩქარევად გვიწევს დამშვიდობება.

ვერტმფრენმა წამოწევა სცადა, მერე ისევ გააღეს კარები, ტრაპი ჩამოუშვეს და ერთი მსუბუქად ჩაცმული გოგო და ერთი მსუქანი, ასევე მსუბუქად ჩაცმული ოპერატორი ჩამოსვეს. ყოველთვის ვხალისობთ ხოლმე, როცა ბარიდან შემთხვევით ამოსულებს, ვერტმფრენის გარეშე, მთვარეზე ან კაციჭამიების კუნძულზე მოხვედრილის განცდა რომ ეუფლებათ.

პაწაწინა მოედნიდან ვერტმფრენმა მძიმედ და ძნელად წამოიწია, 3-4 მეტრის სიმაღლეზე, ზედ ჩვენს თავზე შემოტრიალდა. შიში ყოველთვის არის ხოლმე, ეს უზარმაზარი მახინა თავზე როცა გადგას, თან შტურვალთან ქორთოშიძეებისა და ებალოიძეების მაგივრად ყირგიზები როცა არიან. ბოლოს დაიძრა ქვემოთ, მყინვარისაკენ. ილუმინატორიდან წელამდე გამომძვრალ გაკრეჭილ ჯოზეფს ხელს ვუქნევ და უკვე ვერტმფრენის ტრაექტორიით შეშფოთებული გავკივი, ვერტმფრენ-

გაგრძელება B5 გვერდზე

# ზამთრიდან - ზამთარში...

## ბიძინა გუჯაბიძის დღიურები

B4 გვერდიდან

ის გუგუნს ფარავს გამცილებლების შეძრწუნებული ბღავილი, რამდენიმე წამიც, ვერტმფრენი კარგავს სიმაღლეს, შემდეგ ცხვირს ზემოთ წევს, კუდით ყინულებს ედება და იქვე 100 მ-ში მყინვარზე ვარდება და გორდება. ისმის აფეთქების ხმა. ყველა მიმართულებით მიფრინავს პროპელერებისა და კორპუსის ნამსხვრევები. იფეთქა ცეცხლმაც. ვერტმფრენის გვერდით ჩნდებიან პირველი გადარჩენილი ადამიანები, გამცილებლებიდან ნახევარზე მეტს მხოლოდ ერთმა აზრმა გაგვიელვა: "ოღონდ ტიმოფეი ნუ იქნება!.." (დიმას უმცროსი 14 წლის ვაჟი).

გავრბივართ ვერტმფრენისაკენ. გამოგვყავს შოკირებული ხალხი. ვერტმფრენთან მიკარება შეუძლებელია, ბენგალიური შუშხუნებივით იწვის კორპუსის მსუბუქი შენადნობები, ფეთქდება საწვავის ავზი, მერე ზურგჩანთებში ჩალაგებული გაზის პატარა ბალონების დიდი მარაგი, მყინვარიდან გადმოგვყავს დამწვრები და დამტვრეულები. მადლობა ღმერთს, მასკალიოვები სამივე მსუბუქი დამწვრობითა და ნაკაწრებით არიან გადარჩენილები, ბევრს სხეულის მძიმე დამწვრობები აქვს. სინთეთიკის ტანსაცმელი სულ შემომდნარია, მხოლოდ ბამბის საცვლები აქვთ დარჩენილი.

ვცლით სასადილო კარვებს, მეზობელი ბანაკებიდან რაციით ვითხოვთ ექიმებს, მედიკამენტებს, ყველაფერს ბანაკის ხელმძღვანელი მიშა მიხაილოვი და ჩვენი ექიმი ვალოდია ტრაუტი ხელმძღვანელობენ, ჩვენ მხოლოდ დავალებებს ვასრულებთ. გამოგვაქვს საკუთარი აფთიაქები, სუფთა მაისურები გადასახვევ მასალად, მძიმე ავადმყოფებს უდგამენ წვეთოვანებს, ზოგისთვის ვჩეხავთ ყინულებს, ვმორიგეობთ კარვებში. მოკლედ, მთელი ბანაკი დიდ ჰოსპიტალს ემსგავსება.

- В горах жаренных не находили, а обмороженных до х...! - ამ ანდაზამაც აღარ გაამართლა - მწარედ ხუმრობს შოთა კომახიძე. მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ ვახერხებთ მგზავრების სრული რაოდენობის დადგენას, ყველა სახეზეა და ჯერჯერობით ცოცხალია, ცოცხალია აისმანიც, მხოლოდ ფეხი აქვს მოტეხილი, სახე მთლიანად სახვევებში აქვს და წვენს პლასტმასის მილით წრუპავს.

მხოლოდ საღამოსთვის მოახერხეს ვერტმფრენის გამოგზავნა, მძიმედ დაზარალებულები მოედნიდან აიყვანეს, ქართველებს გვთხოვეს, ვისაც სიარული შეეძლო, მყინვარის ცენტრში გადაგვეყანა. აქედან უფრო ადვილია აფრენა. გავისტუმრეთ დამწვარ-დამტვრეულები, ვერტმფრენი კი თავისი ძვირფასი ალპინისტური შიგთავსით გვიან ღამემდე იფერფლებოდა.

8.08. სადილის შემდეგ შტურმზე გავდივართ. 4800-ზე ვშლით კარვებს. გასვლას დილის 4 საათზე ვაპირებთ.

9.08. მთელი ღამე თოვდა. გამთენიისას მეზობელი კარვიდან ყაზანელები გვაკითხავენ, ზემოთ გასვლაზე ჩვენს გადაწყვეტილებას ელოდებიან. ნახევარ საათს ვითხოვ სათათბიროდ. ისევ თოვს, 10 სანტიმეტრი დადო, ზემოთ ალბათ მეტია, არ არის მხედველობა, "ბუტილკაში" მწვერვალ ჩაპაევის ფერდები ძალიან გადატვირთული იქნება საზვავედ. მეზარება უკან დაბრუნება, მაგრამ ამდენ ხალხთან ერთად ბედის გამოცდა არ მინდა და გადაწყვეტილებას ვიღებ - ვბრუნდებით! რამდენიმე წუთის განმავლობაში ისმის გადაწყვეტილებით გახარებული გუნდების გადაძახილი: Грузини не выходят! Бидзина не выходит! Куда вы? Вернитесь! - დილისთვის მთელი ბანაკი ცარიელდება. რიგრიგობით მივარღვევთ მუხლამდე თოვლს. საბაზო ბანაკში უკვე გველოდებიან ნატაშა თავისი სახელგანთქმული სამზარეულოთი, მიხაილოვი კარგად გახურებული აბანოთი.

10.08. საღამოს ისევ 4200-ზე ვართ. თოვლი ღრმაა, ოღონდ უკვე დამჯდარი.

11.08. 6 საათი გვჭირდება 5800-მდე, მოღრუბლულია და ცოტათი თოვს. ჩვენი გამოქვაბული ლიტველებს დაუკავებიათ. თავაზიანად ვთხოვთ, დაგვიცალონ. ჩვენი ბარგი ხელუხლებელია, გამოქვაბული კი საკმაოდ დაბინძურებული. კრასნოიარსკელი გოგოები, ირა და ლუბა გვთხოვენ თავშესაფარს. გამოქვაბული 5 კაცზე გვაქვს, გაჭირვებით 6 დავეტევით. ფრანციკა (გურამ სალი), როგორც ყველაზე ზრდილობიანი, ვახშმის შემდეგ სხვა გამოქვაბულში ეძებს ღამის სათევს.

12.08. გვიანობამდე გვძინავს. ღამე მოსულმა თოვლმა ჩაგვმარხა, შემოსასვლელი ჩაკეტა, მაგრამ საკმაოდ თბილოდა. ნონე და შოთა წყლის დნობას იწყებენ. მე კი შემოსასვლელს ვწმენდ და გარეთ გასვლას ვცდილობ.

ყაზანელები, ლიტველები, პოლონელები გარეთ არიან. ვეძებ ფრანციკას, ვერ ვპოულობ ვერც კარვებში და ვერც გამოქვაბულებში. ლიტველები მიმითითებენ მიახლოებით ადგილს, სადაც ერთი პატარა გამოქვაბული შეიძლება იყოს. ფერდზე არავითარი კვალი არ ჩანს. ვთხრი ალალბედზე. მეხმარებიან ლიტველებიც. ერთი საათის მუშაობის შემდეგ რაღაც სიცარიელეს გადავაწყდით, მალე შესასვლელიც გამოჩნდა. ფრანციკასაც მივაწვდინე ხმა და გავაღვიძე.

10 საათისთვის უნაგირაზე ავდივარ, კარვებში ჩემი კრასნოიარსკელი მეგობრები სხედან, ხანის ჩრდილო კედლის გავლას აპირებენ, ახლა სააკლიმატიზაციო ასვლა აქვთ. მათთან ერთად აფის შარშანდელი გერმანელი კლიენტია, აფისთან მოკითხვას მაბარებს. ბიჭები ცხელი კისელით მიმასპინძლდებიან. ძირითადად მერაბზე ვლაპარაკობთ.

თოვლიანი ქედის მერე თოკები იწყება, თოკები ძველია, დაძენძილი, მათი ხმარება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება, უკვე რამდენჯერმე გაწყდა. მარშრუტი საკმაოდ რთულია, საინტერესო. ფიზიკური დაღლილობა მეორე პლანზე გადადის, ემოციური დატვირთვის შემდეგ ვცდილობთ, ერთად ვიაროთ, ადვილია გამხნევება, რჩევებისა და შენიშვნების მიცემა. შენიშვნებით კი, მე მგონი, მართლაც ვაწუხებ ბიჭებს, ბოლომდე არ სჯერათ ჩემი, ავტორიტეტი არ მყოფნის თუ, უბრალოდ, საკმარისი დისციპლინა არ აქვთ, მაგალითად, არ მოაგვარეს ხელთათმანების ამბავი, არ შეკერეს გამაშები, ფანრები უვარგისია, არ აქვთ მათარები და თერმოსები, ასევე, სიმაღლისთვის უვარგისია საძილეები, "კარიმატები" (ხალიჩა), სათვალეები, საშინელი სანახავია დაცვის, თვითდაცვის სისტემები, ელვაშესაკრავის უქონლობის გამო შეუძლებელია თბილი შარვლის ჩაცმა-გახდა ფეხსაცმელებისა და წრიაპების გაუხდელად, არ აქვთ ფოტოაპარატი, მზის კრემი, ფიზიოლოგიური ბოთლები და, რაც მთავარია, ორი მათგანი ეწევა სიგარეტს. იმედია, ჩემი გულის გამაწვრილებელი შენიშვნები და მუქარა შედეგს გამოიღებს მომავალი ასვლებისთვის!

6400-ზე საკარვე ადგილი დაკავებულია, თოკ-ნახევრის ქვემოთ ვაფართოებთ მოედანს და კარავს ვდგამთ. ადგილი არ არის საკმარისი, ძნელია კარვის თოკების დაჭიმვა. თოკებზე ქვებს ვაბამთ და კედელზე გადაკიდებულებს ვტოვებთ.

საღამოს ქვემოდან სერგეი ფილატოვი მოგვადგა, მასაც უკეთესი აკლიმატიზაციისთვის 6400-ზე გადაუწყვეტია ღამისთევა, კიდევ უფრო ვიწროვდებით, ქართულ ვახშამს ციმბირული სალაც ემატება, ბოლოს კონიაკით ვილოცებით.

13.08. დღეს ისევ აქ ვაპირებთ ღამისთევას, ისევ ვაყოვნებთ კარვიდან გამოძრომას. დრო საკმარისი გვაქვს. ამინდი არეულია, ხან მხედველობა კარგია, მზეც გამონათებს ხოლმე, ხან ისევ იკეტება ყველაფერი და თოვს. მწვერვალამდე 5-6 საათი გვჭირდება. პირველები ნიკა და მე ავდივართ. საკმაოდ ცივა. თითქმის ერთ საათს ველოდებით ბიჭებს. მწვერვალზე გეოდეზიურ სამფეხასთან ვიღებთ სურათებს საქართველოსა და გაერთიანებული ქართული ბანკის დროშებით, სამწუხაროდ, მხედველობა ცუდია და არ ჩანს პანორამა. ჩვენი ბანაკის რადიოსიხშირე და კავშირის დრო ჩრდილოეთის ბანაკისას ემთხვევა, ბევრი მეგობარი მეხმაურება ჩრდილოეთიდან, მერაბის ამბავს მისამძიმრებენ და მწვერვალზე ასვლას გვილოცავენ.

ვეშვებით ფრთხილად, მოზომილად, დრო ბევრი გვაქვს, არ გვაგვიანდება. 6400-ზე ახლა უკვე ხუთ კაცს საკმაოდ კომფორტულად გვძინავს.

14.08. დღეს ძლივს ვკეცავთ გაყინულ კარავს, ერთიორად დამძიმებულია და ვიწყებთ დაშვებას, ცივა, მაგრამ დაშვებისას ადვილია სითბოს შენარჩუნება. ქედის ძირში ზემოთ მიმავალ შვეიცარიელებს ვხვდებით, უცნაური ხალხია - ინდუიზმის მიმდევარნი, იოგები, უმეტესად ინდოეთში მოგზაურობენ, ვეგეტარიანელები, საბაზოში კაბით და სანდლებით დადიან. წარმატებას ვუსურვებთ.

უნაგირაზე ვემშვიდობებით ციმბირელებს, გამოქვაბულს ვასუფთავებთ ზედმეტი ნივთებისა და ნაგვისაგან. ვაგრძელებთ დაშვებას. გზაში ყირიმელი ჟენია ლიეპა მხვდება თავის ახალგაზრდა ჯგუფთან ერთად. საზეიმოდ ვჩუქნით ჩვენს გამოქვაბულს.

მყინვარზე უკვე ცხელა, ვიხდით და ვრჩებით გაერთიანებული ქართული ბანკის თეთრი მაისურებით. თეთრი კარგად ირეკლავს მზეს.

ბანაკში უკვე გველოდებიან ცივი კომპოტით და გახურებული აბანოთი.

19.08. ფერისცვალება. მორჩა ჩვენი დასვენება საბაზო ბანაკში. საუზმის შემდეგ გავდივართ. გამარჯვების პიკზე ბევრი რამ მოხდა ამ დღეებში - ინდუსი შვეიცარიელები ფეხებმოყინულები დაბრუნდნენ და ვერტმფრენის გამოძახება დაგვჭირდა. ორი ლიტველი ავიდა პობედაზე, უკან დაბრუნებისას კარავი და თოკი (შესამსუბუქებლად) ობელისკთან დატოვეს და საბაზომდე მხოლოდ ერთმა - ავდრიუსმა მოაღწია, გლებ სოკოლოვი სამი დღის წინ გავიდა პობედის სოლო ტრავერსზე, ორი დღეა აღარ არის კავშირი, ტიმოფეევის გუნდი ორჯერ ცდილობდა მწვერვალ "სამხედრო ტოპოგრაფებზე" ასვლას, ორჯერვე ზვავში მოყვნენ. სამ პეტერბურგელს და ორ ყაზანელს მაგრად გაუმართლათ, კარვები მწვერვალ "ვაჟა-ფშაველაზე" ჰქონდათ დატოვებულები. იქამდე მისვლის თავი არ ჰქონდათ და ლიტველების დატოვებულ სამკაციან კარავს გადააწყდნენ. ორი დღე ებრძოდნენ უამინდობას. გუშინ ყაზანის გუნდმა შეგვატყობინა სვეტა კულიშოვას მოწყვეტის ამბავი, "არმენიის" ქედზე თოვლის ლავგარდანი მოწყდა, აქ ქედი საკმაოდ ფართოა და თოკში არ იყვნენ ჩაბმულები, სვეტა ძალიან გამოცდილი მთამსვლელი იყო, "თოვლის ჯიქი" და ევერესტზე ამსვლელი. გუნდის მწვრთნელი და კაპიტანი ვალერა კუდრიშოვი საბაზოშია. შევთავაზე ჩვენი გუნდის დახმარება. უარი მითხრა, გეგმას ნუ შეცვლით, ჩვენ ვეყოფითო. მაშველები ვერტმფრენით შეფრინდნენ. ნახევარ საათში პლატოზე ნახეს სვეტას ჯერ კიდევ თბილი სხეული - 2 კმ. ჰქონდა "ნაფრენი".

ყოველივე ამის შემდეგ ძნელია "თბილი" საბაზო ბანაკის დატოვება და მარშრუტზე გასვლა.

მყინვარ "ზვიოზდოჩკაზე" ახალი თოვლია, კვალი კარგად ჩანს. გზაში გვხვდება გადარჩენილი ლიტველი, რამდენიმე საათის მერე პეტერბურგელები, მერე ყაზანელი თათრები, კარავი და თოკი ისევ ობელისკთან დაუტოვებიათ, შეგვიძლია გამოვიყენოთ, მაგრამ ჩვენს წინ ციმბირელები არიან ფოიგტისა და ზუევის ხელმძღვანელობით, უკან ურალელები მოჰყვებიან იურა ერმაჩეკის თამადობით.

ყინულვარდნილის ძირში, 4300მ-ზე, პოლონელებისა და პეტერბურგელების მიტოვებული კარავია პროდუქტით სავსე. პროდუქტიდან ორ ქილა ლუდსა და შავ პურს ვიღებთ, საკმაოდ ძვირფასი ოდეკოლონებითა და დეზოდორებით ვწუწაობთ და მერე სქელტანიან რუსულ playboy-ს ვუღრმავდებით (გაგიჟდები კაცი, როგორ შეიცვალა მარშრუტზე არსებობისთვის საჭირო ნივთების ჩამონათვალი).

20.08. ყინულვარდნილზე 2 ვერტიკალური თოკია, ბიჭები ტექნიკურად კარგად გრძნობენ თავს, თან აკლიმატიზაციაც კარგი გვაქვს, სწრაფად გავდივართ ტექნიკურად ყველაზე რთულ მონაკვეთებს. ჩვენი ძირითადი ოპერატორი ნიკაა, მაგრამ გადაღებას ვერ ახერხებს, ძალიან ადრეა და მაგრად ცივა, გაყინულია ვიდეოკამერა.

ყინულვარდნილის თავზე სამშვიდობოს ვართ, აქ აღარ არის ყინულის სერაკების ჩამოვარდნის საშიშროება, მზეც მოგვადგა. თბილა, ვჩერდებით და თოვლს ვადნობთ.

თოვლი ღრმა და მძიმეა, არავითარი კვალი. შარშან აქ დიდი შიში ვჭამე ნაპრალში ჩავარდნისას, ამჯერად თოკში ჩაბმულები ვმოძრაობთ.

5000 მ-ზე, უღელტეხილ "დიკის" ძირში არაქათი აღარ გვაქვს, დღის სინათლე კიდევ 3 საათია, მაგრამ 5800-მდე, გამოქვაბულამდე ასვლას ვერ მოვასწრებთ. ვრჩებით უღელტეხილის ძირში, პლატოზე.

21.08. დილის 5-ის ნახევარზე ვიღვიძებთ, 6-ზე უკვე ბანაკი აშლილი გვაქვს და გზაში ვართ. უღელტეხილამდე კარგი ფირნია და სწრაფად ვმოძრაობთ. მერე ქედზე იწყება საშინელება, წარმოუდგენლად ღრმა თოვლი, ვეფლობით წელამდე, კისრამდე, ადგილზე ვიტკეპნებით, ხშირად ვენაცვლებით, მე და ფრანციკას გვიჭირს წინ მუშაობა, ნონე, შოთა და ნიკა ჩვენზე მაღლები არიან, ცოტა შეღავათი აქვთ.

დაგეგმილი 2 საათის მაგივრად 5800-ზე ხუთ საათში ავდივართ. ამინდი ისევ შეიცვალა, ძლიერი ქარია და თოვს. გამოქვაბულს ვაფარებთ თავს. გამოქვაბული რამდენიმე დღის წინაა გათხრილი, ჭერი უკვე ჩამოზნექილია. ძლივს ვეტევით. ვადნობთ წყალს და ვსადილობთ.

ნონეს გუშინ მთელი დღე კბილი სტკიოდა, დღესაც არ გაუარა. შოთაც ვერ გრძნობს თავს კარგად. ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ შოთას და ნონეს ჩვენს ერთადერთ თოკს ვაძლევთ და ქვევით ვისტუმრებთ. იმედი მაქვს ობელისკამდე უთოკოდ მიღწევისა და მერე ლიტველების თოკის.

ქვემოთ, უღელტეხილის ძირში ურალელების ჯგუფი გამოჩნდა, ძირითად გეგმაზე უარი თქვეს და ახლა "ვაჟა-პობედის" ტრავერსს აპირებენ. საკმაოდ სწრაფად მოძრაობენ ჩვენს კვალზე. ეს ხალხმრავლობა სიმხნევეს გვმატებს. ზემოთ ზუევი-ფოიგტი, მერე ერმაჩეკი, ქვევით ტიმოფეევი, გლებიც, იმედია, ცოცხალია და სადღაც შემოგვხვდება!

ვინაწილებთ ნონეს და შოთას ბარგს, ვამცირებთ პროდუქტის რაოდენობას და გამოქვაბულიდან გარეთ ვძვრებით. აქედან ზემოთ 150 მ-ში, კლდის პირველი სარტყელი იწყება. თხილამურის ჯოხები ზედმეტია, მაქსიმალურად დაგრძელებულ ჯოხებს გამოქვაბულის თავზე ვარჭობთ. იმედია, უკან დაშვებისას ვიპოვით ჯოხებსაც და გამოქვაბულს.

ისევ თოვს. მარშრუტი რთულდება. ძირითადი ყურადღება ტექნიკურ სირთულეზე გადაგვაქვს. ვეღარ ვგრძნობთ უამინდობას.

თოკი თოკს მოსდევს პატარა კედლებით, ფერდებით, ძირითადად მსხვილმარცვლოვანი კვარციტებია და ღია ფერის გრანიტები, კარგი და კარგად ნაცნობი ხელმოსაჭიდებლებით. ზოგან ფირნის ან ყინულის ფერდებია, უთოკოდ სახიფათოა მოძრაობა. დავდივართ წერაყინებით და მეორე ხელში დამოკლებული თხილამურის ჯოხებით. ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა, მხოლოდ ფრანციკა ჩამოგვრჩა ცოტათი. 6200 მ-ზე კლდის ძირში საკარვეს ვთხრით მე და ნიკა, კარვის ჯოხები ფრანციკას უდევს, რამდენიმე წუთში ისიც ამოდის; მალე სამივე კარავში ვართ. ბიჭები ვახშმის მომზადებით არიან დაკავებულები, მე მიხაილოვთან კავშირზე ვამოწმებ ჩვენს წინ მყოფი ჯგუფების მდგომარეობას, განსაკუთრებით მაინტერესებს, ისევ დგას თუ არა ლიტველების კარავი და არის თუ არა თოკი. და ქედზე ქარმა თუ მოასწრო თოვლის გადახვეტა. ცუდ ამბებს მეუბნება მიხაილოვი - ერმაჩეკი ვაჟაზე მხოლოდ ხვალ გავა, გლებ სოკოლოვის არაფერი ისმის, საშა ფოიგტი კი ვაჟა-პობედის 4-საათიან ქედს, მეორე დღეა, ეწვალება, "ვერბლიუდზე" (ყველაზე დიდი ჟანდარმი ამ ქედზე) თოვლის დაფა მოუწყდათ, მთელი ჯგუფი ათრია ორასი მეტრი, საბოლოოდ ფერდს ხუთი კაცი შერჩა, სერგეი ზუევი დაკარგეს. "ვერბლიუდზე" ზვავი ადრე არავის არ გვინახავს, სრულიად უწყინარ ადგილად ითვლებოდა და ყველანი ჩაუბმელები დავდიოდით, სერგეი ჩინეთისკენ, 2-კილომეტრიან კედელზე გადავარდა, ხვალისთვის ვერტმფრენს ითხოვენ, იქნებ სხეული მაინც იპოვონ. კარგი ამბავი მხოლოდ ისაა, რომ დანარჩენები მშვიდობიანად დაეშვნენ და უკვე საბაზოში არიან.

ცუდი ამინდითა და ცუდი ამბებით დამძიმებულები ვცდილობთ დაძინებას, კარავი სამი კაცისთვის ძალიან დიდია, ერთმანეთს ვეკვრით, ცივა.

22.08. ისევ ქარია, ისევ თოვს. ისევ საათნახევარი-ორი საათი გვჭირდება წყლისთვის, ჩაისთვის, საუზმისთვის, ბათინკების გადაწყობისთვის და ალაგება-ჩალაგებისთვის. მერე ჩალაგებულ ზურგჩანთებზე ვსხდებით, ვიკრავთ გაყინული ხელებით წრიაპებს. უსიამოვნოდ ეწებება რკინას შიშველი თითები.

მარშრუტი უფრო რთულდება, იგრძნობა სიმაღლე, ეცემა ტემპი და გვაკლდება სიმაღლე. თოვლი ზოგჯერ უსაშველოდ დიდია, ჩვენგან მოწყვეტილი ზვავები ხშირად ათავისუფლებენ და აჩენენ ძველ დაძენძილ თოკებს.

შუადღისთვის გვხვდება ფოიგტი თავისი გუნდით. ვუსამძიმრებთ. ყველანი თითქოს თავს იმართლებენ. ძნელია კაცის დაკარგვა, ახლობლის, მეგობრის. საშა მარწმუნებს, რომ ქედის გავლის არავითარი შანსი არ მაქვს, მით უმეტეს უთოკოდ და უკან დაბრუნებას მირჩევს. ყველაფერი გასაგებია, ხვალ ვაჟაზე ვეცდებით ასვლას და მერე ვიფიქრებთ.

საღამოს 7 საათისთვის 6700-ზე ვართ, მერაბის ღამის სათევიდან 100 მ-ში, ვაჟამდე 200 მ. გვრჩება. ისევ მუშაობა და ბრძოლა ღამის სათევისათვის. ამინდი უკვე საშინელია, ძლიერი ქარი და მსხვილი სეტყვა-თოვლი. გაჭირვებით ვშლით და ვამაგრებთ კარავს, წრიაპებს ვიხდით და სულ თოვლიანები, ზურგჩანთებითა და ბათინკებით მოურიდებლად ვძვრებით კარავში, კარავი მთლიანად თოვლით ივსება. თოვლს კუთხეებში ვხვეტავთ, ზედ კარიმატებს ვაფარებთ, დიდხანს გრძელდება გაყინული გამაშების, ბათინკების, სადაზღვევო ქამრებისაგან გათავისუფლება. საკიდიანი გაზის პრიმუსი გვაქვს, ძლიერი ქარის გამო პრიმუსის დაკიდებას ვერ ვახერხებთ, რიგრიგობით გვიჭირავს ხელში და ვთვლემთ. გაზი ვერ ერევა სიცივეს, თოვლის გადნობას და მერე ადუღებას 2-3 საათი სჭირდება. საღამოს კავშირზე გვატყობინებენ, ერმაჩეკისა და ტიმოფეევის გუნდები უარს ამბობენ ასვლაზე და ხვალ დილას იწყებენ დაშვებას. მთაზე მარტონი ვრჩებით, ჩვენც მოგვიწევს უკან დაბრუნება. ვნახავთ, როგორი ღამე გვექნება, იქნებ ვაჟა-ფშაველაზე მაინც ავიდეთ.

ქარი სულ უფრო და უფრო ძლიერდება, კარავი გაგლეჯაზეა, ტყლაშუნებს, ფერდებს გვირტყამს, ერთმანეთს ყვირილით ძლივს ვაწვდენთ ხმას, ზოგჯერ კარვის ალუმინის კარკასს ვლანდავთ ჭერში. შიშისგან გული მიგვდის, გვგონია კარავი გაიხა, თავებს საძილეებში ვმალავთ და ვლოცულობთ, ვლოცულობთ...

ღამე ძალიან გრძელი გამოვიდა. ქარი ერთი წამითაც არ სუსტდება, არ ვიცი, თოვს თუ ფერდებიდან აკრეფილი თოვლი გვმარხავს ნელ-ნელა. ძალიან მომინდა სახლში დაბრუნება, დავიღალე პასუხისმგებლობისაგან, ცოცხლები მინდა ეს ბიჭები ჩავიყვანო სახლში. მოკლედ, ღმერთო, ეს ღამე გადაგვატანინე და ხვალ დილიდანვე ვიწყებთ დაშვებას, არავითარი ზემოთ წასვლა!

23.08. ინათა, 17 საათია ქარი თითქმის ერთი სიმძლავრით ქრის, გუგუნებს. გარედან სანახევროდ ჩამარხულები ვართ, შიგნითაც მთლიანად თოვლში ვართ. საძილეებს ვბერტყავთ და წყლის დნობას ვიწყებთ.

მალე გამოჩნდა ერმაჩეკი, ნელა მოძრაობენ, ერთი პოლონელი ახლავთ, ცუდადაა, თითქმის მოათრევენ. ვემშვიდობებით და თან ვპირდებით, რომ მალე დავეწევით.

დილის მზადების პროცესი გრძელდება. კარავს ვიღაცა უახლოვდება. ზემოთ აღარავინ არ უნდა იყოს. შესასვლელს ვხსნით. კარავში შემოდის გასავათებული გლები და პირქვე ემხობა, ცოცხალია. გლებ სოკოლოვი დღესდღეობით საუკეთესო მოსიმაღლეა მსოფლიოში, 42 სასიმაღლო ასვლა აქვს. მარტო ხანზე 16-ჯერაა ნამყოფი, რვაათასიანებიდან ლჰოცზე, მაკალუ, ევერესტის ჩრდილო კედელი, ყველა საბჭოთა შვიდიათასიანზე ჩქაროსნული სოლო ასვლა, მათ შორის "გამარჯვების პიკზე" 20 საათში და კიდევ სხვა უამრავი მთამსვლელური გმირობა აქვს ჩადენილი, მაგრამ ალბათ ყველაზე მთავარი ეს არის - "გამარჯვების პიკის" სოლო ტრავერსი, თან ასეთ პირობებში. გლებს ვასულიერებთ, ვასმევთ, ვაჭმევთ. ის ნელ-ნელა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ გვიყვება ასვლის ძირითად მომენტებს: ორჯერ ზვავში მოყოლა, კისრამდე თოვლი, კარვის გახევა, მთელი აღჭურვილობის მთაზე დატოვება...

გლებსაც ვისტუმრებთ ქვევით და ჩვენც ვიწყებთ დაშვებას, თავიდან ძნელად, გახევებულ-გაყინულები, თანდათან ვთბებით, ტემპსაც ვუმატებთ, სიმაღლის დაკარგვასთან ერთად ვხალისდებით, მალე ვეწევით ერმაჩეკს, ფრანციკა ცოტათი ეხმარება პოლონელების თრევაში, იურას 5800-ზე აქვს გადაწყვეტილი ღამისთევა, ჩვენ კი საღამოსთვის საბაზოში უნდა ვიყოთ, ხვალ ვერტმფრენი გვაქვს მაიდადირისკენ. ერმაჩეკს ვემშვიდობებით და გზას ვაგრძელებთ, დიკის უღელტეხილზე ტიმოფეევის გუნდს და გლებს ვეწევით. სხედან, ჩაის ადუღებენ. ჩვენც ვუერთდებით. აქედან გზას ყველა ერთად ვაგრძელებთ.

საღამოსთვის საბაზოში ვართ და წლევანდელი ტიან-შანური სეზონიც მთავრდება.



## ინფოთეკა

### მჟავანაძე "ჩერნომორეცში" გადავიდა

ოდესის "ჩერნომორეცმა" კონტრაქტი გააფორმა საქართველოს ნაკრების მცველ კახაბერ მჟავანაძესთან, რომელიც მანამდე მახაჩკალის "ანჟის" ღირსებას იცავდა. შეთანხმება სამწლიანია და ძალაში მას შემდეგ შევა, რაც მჟავანაძე ახალ კლუბში სამედიცინო შემოწმებას გაივლის.

### ტევესი სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელია

გაზეთ "ელ პაისის" ვერსიით 2005 წლის სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელად არგენტინის ნაკრებისა და ბრაზილიური "კორინტიანსის" ფორვარდი კარლოს ტევესი დაასახელეს. მეორე ადგილზე ბრაზილიის "სან პაულუს" ურუგვაელი მცველი დიეგო ლუგანო გავიდა. მესამე კი მადრიდის "რეალის" ახლადშეძენილი ფეხბურთელი სისინიოა.

### რონალდო ესპანეთის თასის მატჩს გამოტოვებს

მადრიდის "რეალისა" და ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელი რონალდო გამოტოვებს ესპანეთის თასის მატჩს "ატლეტიკოს" წინააღმდეგ. "ევროსპორტის" ინფორმაციით ფორვარდმა ვარჯიშზე ფეხი დაიზიანა.

### ლი ბოიერი დისკვალიფიცირებულია

"ნიუკასლ იუნაიტედის" ნახევარმცველმა ლი ბოიერმა "ლივერპულთან" ინგლისის ჩემპიონატის მე-18 ტურის შეხვედრაში წითელი ბარათი მიიღო, რის გამოც მინდვრიდან გააძევეს და სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. ბოიერმა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას აპელაციით მიმართა, მაგრამ ასოციაციიდან უარი შემოუთვალეს. ბოიერი ხაბი ალონზოს წინააღმდეგ უხეშობისთვის სამ მატჩს გამოტოვებს. სასჯელი ძალაში მიღებისთანავე შევიდა. ასე რომ ბოიერი მოხდას უახლოესი მატჩიდან დაიწყებს, როცა მისი გუნდი ლონდონის "ტოტენჰემის" წინააღმდეგ ითამაშებს.

### ლემპარდის რეკორდული სვლა შეწყდა

ლონდონის "ჩელსის" ნახევარმცველის ფრენკ ლემპარდის რეკორდული სერია შეწყდა. ფეხბურთელმა ინგლისის პრემიერლიგაში ზედიზედ 164 მატჩი გამართა, მაგრამ მან სურდოს გამო გამოტოვა შეხვედრა "მანჩესტერ სიტისთან". ის სასტარტო შემადგენლობაში დასახელებული იყო, მაგრამ უშუალოდ თამაშის დაწყების წინ მწვრთნელს შეატყობინა, რომ ცუდად გრძნობს თავს. მოურინიომაც აღარ გარისკა და ფეხბურთელი თამაშიდან მოხსნა. ლემპარდი ეიდურ გუდიონსენმა შეიცვალა.

### "ინტერმა" რიისეს დაადგა თვალი

მილანის "ინტერის" შეფმა მასიმო მორატიმ გადაწყვიტა "ინგლისის "ლივერპულისა" და ნორვეგიის ნაკრების ფეხბურთელი ბიორნ-არნე რიისე შეიძინოს. ფეხბურთელმა ინგლისში უკვე ხუთი სეზონი გაატარა და გარემოს შეცვლა სურს. შეგახსენებთ, რომ "ინტერის" მწვრთნელ რობერტო მანჩინის არაერთხელ უთქვამს, რომ სურს გუნდის ნახევარდაცვის მარცხენა ფრთა გააძლიეროს.

### სტივენ ჯერარდი: "ჩვენ "ჩელსის" გადავასწრებთ"

"ლივერპულის" კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს მისი გუნდი "ჩელსის" გადაასწრებს. შეგახსენებთ, რომ ბოლო შეხვედრაში წითლებმა დერბიში დაამარცხეს "ევერტონი" და მართალია "ჩელსის" 15 ქულით ჩამორჩებიან, მაგრამ ბენიტესის გუნდს ორი მატჩი რეზერვში აქვს.

"მე გასახდელში თანაგუნდელებს თვალებში შევხედე და გამარჯვებისკენ სწრაფვა ამოვიკითხე - განაცხადა ჯერარდმა - ვიმედოვნებ ტიტულისთვის ბრძოლაში ჩავერთვებით. ჩვენ გამარჯვებებზე მშივრები ვართ. თვითოეულ ჩვენგანს სურს ბევრი მედალი მოიპოვოს. მესმის, რომ ზოგს შეიძლება სენსაციად მოეჩვენოს ის ადგილი, რომელზეც სეზონის ბოლოს აღმოვჩნდებით, მაგრამ ჩვენთვის ეს სიურპრიზი არ იქნება. დარწმუნებულნი ვართ, რომ სეზონი ჩვენთვის წარმატებული იქნება".

### ჰიუნტალერი "აიაქსში" ითამაშებს

ამსტერდამის "აიაქსი" შეუთანხმდა "ჰერენვენს" ფორვარდ კლას ჰიუნტალერის ტრანსფერის გამო. სააგენტო "როიტერის" ცნობით, ამსტერდამელები "ჰერენვენს" 9 მილიონ ევროს გადაუხდიან, ხოლო 22 წლის ფორვარდი ჰოლანდიის დედაქალაქში 4,5 წლით დარჩება. წელს ჰიუნტალერი ჰოლანდიის ჩემპიონატში განსაკუთრებით გამოირჩევა. მან 17 შეხვედრაში 16 გოლი გაიტანა. კონტრაქტი ძალაში 2006 წლის პირველი იანვრიდან შევა.

### პსვ ფერეირას გარეშე

არგენტინელი ნახევარმცველი ოსმარ ფერეირა, რომელიც "პსვ ეინდჰოვენში" იჯარის წესით იყო განათხოვრებული 6 თვის შემდეგ არგენტინის "რივერ პლეიტში" ბრუნდება. ივნისში 22 წლის არგენტინელი ნახევარმცველი ჰოლანდიელებს შემდგომი შესყიდვის უფლებით გადაეცა. თუმცა ფეხბურთელმა ახალ კლუბში საკუთარი ადგილი ვერ გამონახა და მომდევნო 6 თვეს ფერეირა "რივერში" გაატარებს. სწორედ აქ თამაშობდა ფეხბურთელი ევროპაში გადასვლამდე.

### "ბეტისი" პსვ-ს ფორვარდს ითხოვს

ბრაზილიელი ფორვარდი რობერტ დე პინიუ ჰოლანდიის "პსვ ეინდჰოვენიდან" ესპანეთის "ბეტისში" გადავა. ამის შესახებ სევილიელებმა საკუთარ საიტზე განაცხადეს. ესპანური პრესის ინფორმაციით დე პინიუ "ბეტისში" იჯარის წესით ითამაშებს.

# საქართველო 2005

კახა ფარუაშვილი

2005 წელიც მიიწურა. დამთავრდა კიდევ ერთი სპორტული სეზონი. ქართველთათვის ის ტრადიციულად გარდამავალი წარმატებით აღინიშნა. იყო გამარჯვებაც და მარცხიც. თუმცა სეზონს შეგვიძლია, მაინც წარმატებული ვუწოდოთ. გვყავს მსოფლიო ჩემპიონი. თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე ბუდაპეშტში რევაზ მინდორაშვილმა ოქროს მედალი მოიპოვა. კარგა გვარიანად კი აბურთავა 84 კილოგრამიანი მოჭიდავეები კახელმა ფალავანმა და დამსახურებულადაც მოიგო მსოფლიო ჩემპიონატიც და საქართველოს 2005 წლის საუკეთესო სპორტსმენის წოდებაც. ამავე ტურნირზე ლუკა კურტანიძემ ვერცხლი, ხოლო ოთარ თუშიშვილმა ბრინჯაოს მედლები მოიგეს.

კაცმა რომ თქვას, ქართული საჭიდაო ტრადიციების გადამკიდე ეს მონაპოვარი მცირედ გვეჩვენება, მაგრამ რაკი მსოფლიო ჩემპიონი გვყავს ეს უკვე კარგია. ამას, თუ დავუმატებთ კურტანიძის მიერ ვარნაში მოგებულ ევროპულ ოქროს ჩვენი ფალავნების შედეგი უკვე სოლიდურ სახეს იძენს. თანაც სპეციალისტები გვპირდებიან, რომ შედეგი სამომავლოდ კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნება. პრეზიდენტის გადაწყვეტილებით ჭიდაობას ჩვენს სამშობლოში კიდევ უფრო დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს და შენდება კიდეც ჭიდაობის დარბაზები კახეთში - საგარეჯოში, ახმეტაში და ეს პროექტი მომავალში უფრო მასშტაბურ სახეს მიიღებს.

სწორედ ამიტომ ამტკიცებენ ჭიდაობის სპეციალისტები, რომ მომავალში უფრო მეტი ჩემპიონი გვეყოლება. და თუ წელს მსოფლიო ჩემპიონატის ოქრო მხოლოდ თავისუფლებმა მოიგეს, გაისად შეიძლება ძიუდოისტებმა და ბერძენ-რომაელებმაც გამოიდონ თავი. მით უფრო, რომ მაგალითად, ძიუდოისტებს ღირსეული ცვლა ეზრდებათ. ლაშა გუჯეჯიანი მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი გახდა, ხოლო ევროპის მერვე ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე პაატა მერებაშვილმა (50 კგ.) და არსენ მაჭარაშვილმა (66 კგ.) ოქრო, ხოლო რობერტ მშვიდობაძემ (55 კგ.) ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს. იმავე ოლიმპიურ ფესტივალზე გვასახელა საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა, რომელმაც ჩემპიონის წოდება მოიპოვა.




"ბორჯღალოსნებმა" რუმინეთი დაამარცხეს და სათავეში მოექცნენ ერთა თასის გათამაშებას.

რაკი ფეხბურთელები ვახსენეთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ წლის ბოლო მეტად სასარგებლო გამოდგა ეროვნული ნაკრებისთვის, რადგან მას, როგორც იქნა, ეღირსა მართლა ევროპული კლასის ძლიერი და გამოცდილი მწვრთნელი. გერმანელი სპეციალისტი კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრებს ჩაუდგება სათავეში. ტოპმიოლერი ჩვენს სამშობლოში 8 იანვარს ჩამოვა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ოფიციალურ კონტრაქტს მოაწერს ხელს. ის ვარაუდობს, რომ "გუნდში, სადაც ლევან კობიაშვილი და კახა კალაძე თამაშობენ, უნარი შესწევს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშოს" - სააგენტო "როიტერს" განუცხადა კლაუს ტოპმიოლერმა და რაკი განუცხადა, იმედია, სიტყვასაც პირნათლად შეასრულებს.

შესარჩევი ციკლი კი ქართველმა ფეხბურთელებმა აშკარად ჩააგდეს და ახლა მეხუთე კალათაში ამოჰყვეს თავი, რაც ნიშნავს, რომ ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე ოთხი ჩვენზე ძლიერი გუნდი აუცილებლად შეგვხვდება. ფეხბურთელების არ იყოს, შესარჩევი ტურნირი კალათბურთელებმაც ჩააგდეს და რაკი შესარჩევი ტურნირის A ჯგუფში გადასვლის ყოველგვარი შანსი ამოვწურეთ, ისღა დაგვრჩენია, კიდე ორი წელიწადი დიდი კალათბურთის გარეშე ვიცხოვროთ. სამწუხაროდ, კანადელი გორდონ ჰერბერტი ვერ გამოდგა იმ კალიბრის სპეციალისტი, რომელიც საქართველოს ნაკრებს საათის მექანიზმივითააწყობდა და B კატეგორიის შესარჩევ ტურნირში გამარჯვებას მოგვაპოვებინებდა.

ამ წარუმატებლობათა ფონზე პოლარული ვარსკვლავივით მოჩანს ჩვენი ქვეყნის მორაგბეთა ნაკრების წარმატება. ქართველმა მორაგბეებმა მოახერხეს და ერთა თასის წლევანდელ გათამაშებაში სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცნენ. თუ "ბორჯღალოსნებმა" ტემპს არ მოუკლეს, მაშინ გაისად დიდი შანსი ექნებათ მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოიპოვონ, რაც ჩვენი გუნდისთვის უდავოდ დიდი წარმატება იქნება. თუმცა, ვიდრე "ბორჯღალოსნები" ერთა თასს მოიგებენ ახალგაზრდებმა უკვე მოასწრეს და თავი გამოიჩინეს. 20 წლამდე მორაგბეთა ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც ესპანეთის ქალაქ ვალიადოლიდში გაიმართა, პატარა "ბორჯღალოსნებმა" ჩემპიონის წოდება მოიპოვეს.

ღირსეული ცვლა ეზრდება გიორგი ასანიძეს. ძალოსნობის მსოფლიო პირველობაზე ახალგაზრდებს შორის, რომელიც კორეის ქალაქ ბუსანში გაიმართა, გამარჯვება მოიპოვა არსენ კასაბიევმა (94 კგ.). აკი ამბობდა კიდეც ათენის ოლიმპიური თამაშების შემდეგ ცნობილი სპეციალისტი ვანო გრიქუროვი, კასაბიევი მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი იქნებაო. თანატოლებს შორის არსენ კასაბიევი სხვებზე აშკარად უკეთ გამოიყურებოდა და დამსახურებულად მოიგო კიდეც ოქროს მედალი.

წლევანდელ სეზონში გამარჯვება მოიპოვეს მკლავჭიდელებმა, პანკრატიონისტებმა და კარატისტებმა. საერთო ჯამში, მათ საქართველოს 10 ოქროს მედალი მოუპოვეს. ტალინში, ევროპის ჩემპიონატზე, პნევმატური იარაღით სროლაში, წარმატებით გამოვიდა სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ნინო სალუქვაძე. მან ვერცხლის მედალი მოიგო, ხოლო საქართველოს ნაკრებმა იგივე წარმატება გუნდურ პირველობაზეც განიცადა.

## ოლიმპიურ სახეობებში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე მოპოვებული მედლები

**ტყვიით სროლა**
**ევროპის ჩემპიონატი. ტალინი, ესტონეთი (28 თებერვალი - 6 მარტი)**
პნევმატური პისტოლეტი 10მ. ნინო სალუქვაძე ვერცხლი
პნევმატური პისტოლეტი 10მ. (გუნდური). ნინო სალუქვაძე, ნინო უჩაძე, თამილა ასათიანი (ვერცხლი)

**თავისუფალი ჭიდაობა**
**მსოფლიო ჩემპიონატი. ბუდაპეშტი, უნგრეთი (26 სექტემბერი - 2 ოქტომბერი)**
რევაზ მინდორაშვილი (84კგ.) ოქრო; ლუკა კურტანიძე (96კგ.) ვერცხლი;
ოთარ თუშიშვილი (66კგ.) ბრინჯაო

**ევროპის ჩემპიონატი. ვარნა, ბულგარეთი (12-17 აპრილი)**
ლუკა კურტანიძე (97კგ.) ოქრო; ბესარიონ გოჩაშვილი (55კგ.) ბრინჯაო

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა**
**ევროპის ჩემპიონატი. ვარნა, ბულგარეთი (12-17 აპრილი)**
დავით ბედინაძე (60კგ.) ბრინჯაო; ბადრი ხასაია (84კგ.) ბრინჯაო;
მირიან გიორგაძე (120კგ.) ბრინჯაო

**ძიუდო**
**მსოფლიო ჩემპიონატი. კაირო, ეგვიპტე (8-11 სექტემბერი)**
ლაშა გუჯეჯიანი (+100) ბრინჯაო

**ევროპის ჩემპიონატი. როტერდამი, ჰოლანდია (20-22 მაისი)**
დავით ქევხიშვილი (73კგ.) ბრინჯაო

**VIII ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი. ლინიანო, იტალია (4-7 ივლისი)**
პაატა მერებაშვილი (50კგ.) ოქრო; რობერტ მშვიდობაძე (55კგ.) ბრინჯაო;
არსენ მაჭარაშვილი (66კგ.) ოქრო

**ძალოსნობა**
**მსოფლიო პირველობა ახალგაზრდებში. ბუსანი, კორეა (17-24 მაისი)**
არსენ კასაბიევი (94კგ) ოქრო

**მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე არაოლიმპირ სახეობებში მოპოვებული მედლების რაოდენობა**

**აშიჰარა კარატე**
**მსოფლიო ჩემპიონატი. ვიბორგი, დანია (26 მარტი)**
მამუკა შონია (75კგ.) ოქრო; ირაკლი პაპავა (70კგ.) ვერცხლი;
ლევან გამახარია (80კგ.) ვერცხლი; ლადო თოლორაია (70კგ.) ბრინჯაო

**სამბო**
**მსოფლიო ჩემპიონატი.**
მინდია ბოდაველი (90კგ.) ბრინჯაო

**ევროპის ჩემპიონატი. მოსკოვი, რუსეთი (15-18 აპრილი)**
ავთანდილ ცინცაძე (57კგ.) ვერცხლი;
მინდია ბოდაველი (90კგ) ბრინჯაო;
ზვიად ჩინჩალაძე (+100კგ.) ბრინჯაო

**სპორტული კარატე**
**ევროპის ჩემპიონატი. ტენერიფე, ესპანეთი (13-15 მაისი)**
გოგიტა არქანია (80კგ.) ბრინჯაო

**რაგბი**
**20 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი. ვალიადოლიდი, ესპანეთი (20-29 მაისი)**
ეროვნული გუნდი (ოქრო)

**სუმო**
**ევროპის ჩემპიონატი. ლეანიფალუ, უნგრეთი (11-12 ივნისი)**
ავთანდილ ცერცვაძე (აბს.) ვერცხლი

**იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი. ტოკიო, იაპონია (3 ივლისი)**
ლევან გორგაძე (მძიმე) ვერცხლი
თემურ ჯუღელი (აბს.) ბრინჯაო

**მკლავჭიდი**
**ევროპის ჩემპიონატი. სოფია, ბულგარეთი (12-19 ივნისი)**
ალექსი ფერწუაშვილი (55კგ.) ოქრო
ნიკოლოზ მათიაშვილი (70კგ.) ბრინჯაო
გენადი კვიკვინია (90კგ.) ვერცხლი
ერეკლე გურჩიანი (110კგ.) ვერცხლი
ჯაბა გეთიაშვილი (70კგ.) ვერცხლი
ერეკლე გურჩიანი (+100კგ.) ოქრო

**პანკრატიონი**
**ევროპის ჩემპიონატი. ისრაელი (24-26 ივნისი)**
პაატა გიორგაძე (ოქრო)
ანზორ ელიბაშვილი (ოქრო)
დემალ როსტომაშვილი (ოქრო)
იოსებ ახალკაცი (ბრინჯაო)

**ჭადრაკი**
**ევროპის გუნდური ჩემპიონატი. გოტებორგი, შვედეთი (29 ივლისი - 7 აგვისტო)**
საქართველოს ქალთა ნაკრები (მეორე ადგილი)

**ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატი. ჰერცეგ ნოვი, სერბეთი და მონტენეგრო (13-28 სექტემბერი)**
12 წლამდე: ნაზი პაიკიძე (ოქრო); მერი არაბიძე (ვერცხლი); ნინო ანაკიძე (ბრინჯაო)
14 წლამდე: დავით ბენიძე (ოქრო);
16 წლამდე: დავით ჯოჯუა (ვერცხლი)
18 წლამდე: სალომე მელია (ოქრო); მაკა ფურცელაძე (ვერცხლი)

**კიკბოქსინგი**
**ევროპის ჩემპიონატი**
დავით ჯავახია (ოქრო)

**კიოკუშინკაი კარატე დო**
**ევროპის ჩემპიონატი**
დავით ტყებუჩავა (ოქრო); ირაკლი ტყებუჩავა (ოქრო); ირაკლი ტყებუჩავა (ოქრო); გოგბერაშვილი (ოქრო)

**ჩოხიანი ჭიდაობა**
**მსოფლიო ჩემპიონატი**
ნიკოლოზ ბიბილაშვილი (აბს.) ვერცხლი
მიხეილ ზარქუა (66კგ.) ბრინჯაო.




*მდიდარი მოვლენებით, სიხარულით, სინანულით, გამარჯვებებითა და... 2005 წელი იყო ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო, ან არ უნდა ყოფილიყო. როგორც არ უნდა იყოს, 2005 წელი ისტორიის საკუთრებაა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. ვიღაცას 2005 წელი დაამახსოვრდება სტიქიური უბედურებებით, ტერაქტებით, ვიღაცას კი მასზე ტკბილი მოგონებები დარჩება. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, შევეცდებით იმ ტკბილ მოგონებებზე გავამახვილოთ ყურადღება, რომელმაც სპორტის გულშემატკივართა ყურადღება მიიპყრო, თუმცა, არც დანაკლისის გარეშე ჩაუვლია მსოფლიო სპორტს. მაშ ასე...*

გიგა გურასაშვილი

### ლონდონი 2012

ჯერ იმით დავიწყოთ, რომ 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის პატივი წილად ხვდა ლონდონს. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებმა ხმათა უმრავლესობით ხუთ კანდიდატ ქალაქს შორის - პარიზი, ნიუ იორკი, მადრიდი, მოსკოვი და ლონდონი - უპირატესობა ბრიტანეთის დედაქალაქს მიანიჭეს.

### გერმანია 2006

გაირკვა იმ 32 ეროვნული ნაკრების ვინაობა, რომლებიც გერმანიაში საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებენ. მათ შორის, ვინც გერმანიის საგზურებს დაეუფლნენ, არაერთი ახალბედაა. ამ მხრივ პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქე უკრაინის ეროვნული გუნდი. მსოფლიო ჩემპიონატი სტარტს აიღებს 9 ივნისს მიუნხენში. აქვე ისიც ვთქვათ, ჩემპიონატი გაიხსნება მასპინძელთა და კოსტარიკელთა დაპირისპირებით.

### ჩემპიონთა ლიგა

უმთავრესი საკლუბო ჩემპიონატის ფინალში გამარჯვებულის ბედი სტამბოლში პენალტების სერიით გაირკვა. "მილანმა" "ლივერპულთან" წააგო და ევროპის საუკეთესო კლუბის წოდებას მეხუთედ დაეუფლა.

წლის ბოლოს ლივერპულელები შეეცადნენ მსოფლიოს საუკეთესო კლუბის წოდებასაც დაუფლებოდნენ, მაგრამ ტიტული ბრაზილიის "სან-პაულუს" დარჩა.

### უეფას თასი

ლისაბონის "სპორტინგის" ძლევის შემდეგ მოსკოვის ცესკა გახდა პირველი რუსული კლუბი, რომელმაც უეფას თასი აღმართა.

### გლეიზერი და "მანჩესტერ იუნაიტედი"

2005 წელი იმითაც იყო გამორჩეული, რომ ამერიკელმა სპორტულმა მაგნატმა მალკოლმ გლეიზერმა "მანიუ" შეიძინა, თუმცა მანჩესტერელთა სათაყვანებელი კლუბის შესაძენად საკმაო ძალისხმევა და დიდი ფულის გაღებამაც მოუწია. ამბობენ, ამისთვის ვალებიც საკმაოდ დაიდოო.

"წითელი ეშმაკუნების" გულშემატკივრები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ და გამოთქვამენ იმით, რომ კლუბი ამერიკელმა მილიონერმა შეიძინა. პროტესტის ნიშნად გლეიზერის ჩუჩელას ცეცხლს უკიდებდნენ, ბოიკოტით იმუქრებოდნენ... მეტიც, "მანჩესტერ იუნაიტედის" ალტერნატივაც შექმნეს!

### ფიფას რჩეული

ესპანეთის "ბარსელონას" ბრაზილიელი ლეგიონერი რონალდინიო ფეხბურთის მამებმა წლის საუკეთესო ფეხბურთელად სცნეს. აღსანიშნავია, რომ ბრაზილიელი ვირტუოზი წლის საუკეთესო ფეხბურთელად ზედიზედ მეორედ დასახელდა. გარდა ამისა, რონალდინიო მესამე ფეხბურთელთაგანია, რომელსაც წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მეორეჯერ არგუნეს. მანამდე ასეთი პატივი ხვდათ წილად ასევე ბრაზილიელ რონალდოს (1996, 1997 და 2002 წლებში) და ფრანგ ზინედინ ზიდანს (1998, 2000, 2003 წლებში). და კიდევ, რონალდინიოს ევროპის წლის ფეხბურთელის წოდებაც მიენიჭა.

### ჯორჯ ბესტის სიკვდილი

სამწუხაროდ, დანაკლისის გარეშე არ ჩაუვლია 2005 წელს. ნოემბერში მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა ჯორჯ ბესტი.

"მანჩესტერ იუნაიტედისა" და ჩრდილოეთ ირლანდიის მოთამაშე, რომელსაც თავის თაობის ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელად მოიხსენიებენ, მრავალი წლის განმავლობაში ალკოჰოლიზმით იტანჯებოდა. სასმელისადმი სიყვარული არ განელებია ღვიძლის გადანერგვის შემდეგაც.

"მთელი ჩემი ფული სასმელებზე, ქალებზე და სპორტულ მანქანებზე დავხარჯე, დანარჩენი კი გავფლანგე" - ოდესლაც თქვა ბესტმა.

### სპორტის დედოფალი ჰელსინკში

ჰელსინკის მსოფლიო ჩემპიონატს 2005 წლის სპორტულ კალენდარში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა. აშშ და რუსეთმა უახლოესი მდევრები მოპოვებული მედლების საერთო რაოდენობით აშკარად დაჯაბნეს. ამერიკელებმა 25 მედალი დაისაკუთრეს (14-8-3), ხოლო რუსეთმა - 20 (7-8-5).

საგულისხმოა, რომ ჰელსინკის მსოფლიო ჩემპიონატამდე 7 ოქროს მედალს არ დაუფლებია არც საბჭოთა კავშირის და არც რუსეთის ნაკრებები. მსოფლიო ჩემპიონატი, სპორტის გულშემატკივრებს ჭირვეული ამინდითაც დაამახსოვრდათ. თავსხმა წვიმისა და ქარის გამო ჩემპიონატის ორგანიზატორებმა ასპარეზობები არაერთხელ გადადეს.

### დედოფალთა დედოფალი

რუსმა ჭოკით მხტომელმა ელენა ისინბაევამ მთელი წლის განმავლობაში არაერთხელ გააუმჯობესა საკუთარივე მსოფლიოს რეკორდები. მათ შორის ერთ-ერთი ჰელსინკის მსოფლიო ჩემპიონატზეც, როდესაც ხუთ მეტრიან ზღვარს - 5,01 გადააბიჯა. ამჟამად ისინბაევას ანგარიშზე 18 მსოფლიოს რეკორდია!

### უსწრაფესი ადამიანი

2005 წელს იამაიკელმა სპრინტერმა ასაფა პაუელმა ადამიანთაგან ყველაზე სწრაფად გაირბინა.სარბენი ბილიკების ყველაზე პრესტიჟულ სპრინტერულ დისციპლინაში 100 მეტრი 9,77 წამში გაირბინა და ამერიკელი ტიმ მონტგომერის მიერ დამყარებული მსოფლიოს რეკორდი - 9,78 დაამხო.

### ცისფერი ბილიკები მონრეალში

მონრეალის საწყლოსნო სახეობათა მსოფლიოს ჩემპიონატი მნიშვნელოვანი ციფრების ჩემპიონატადაც შეიძლება მოვნათლოთ. პირველად უმთავრესია, რომ ასპარეზობათა ისტორიაში მონაწილე ქალების რაოდენობამ ვაჟებისას გადააჭარბა, შესაბამისად, 909 - 875-ის წინააღმდეგ. მონაწილეობით კი 144 ქვეყნის 1784 სპორტსმენი მონაწილეობდა, მათ შორის საქართველოს ნაკრებიც.

ვინაიდან საწყლოსნო სახეობებში მსოფლიოს რეკორდები ცურვაში მყარდება, ალვნიშნოთ, რომ ცისფერ ბილიკებზე 24 მსოფლიო ჩემპიონატის რეკორდს შორის ცხრა მსოფლიოს რეკორდი დამყარდა. მთლიანობაში კი 52 კონტინენტალური რეკორდი. მოპოვებული მედლების რაოდენობის მხრივ კი როგორც მოსალოდნელი იყო, პირველობა არავის დაუთმო აშშ-ის ნაკრებმა 39 მედალი (17-15-7), ამ მხრივ მეორე-მესამე ადგილებზე გავიდნენ ავსტრალიის - 25 (13-8-4) და ჩინეთის - 17 (5-5-7) გუნდები.

### სამეფო რბოლებში ახალი ხანა დადგა

ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატს ახალი მსოფლიოს ჩემპიონი ჰყავს. "რენოს" ესპანელმა მესაჭემ ფერარელი მიხაელ შუმახერის შვიდწლიანი მეფობა შეწყვიტა. დღეის იქით, ფრანგული საჯინიბოს სული და გული ფერნანდო ალონსო სამეფო რბოლების ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონად იწოდება.

### "ტურ დე ფრანსის" მეფე

ამერიკელმა ველომრბოლმა ლენს არმსტრონგმა ველორბოლათა შორის ყველაზე პრესტიჟული რბოლა "ტურ დე ფრანსი" მეშვიდედ მოიგო! "ტურზე" გამარჯვების შემდეგ კი სპორტულ კარიერას დაუსვა წერტილი. ასე რომ, გაისად "ტურ დე ფრანსს" ახალი მეფე ეყოლება, თუ, რა თქმა უნდა, ამერიკელმა კვლავაც არ დაატრიალა სატერფულები.

# საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტი
# კოლხეთის ეროვნული პარკის საველე ინფრასტრუქტურა
## გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის გრანტი ნომერი TF-21598
## მსოფლიო ბანკის კრედიტი ნომერი 3156-GE

ტენდერი ნომერი GICMP-NCB-05
ლოტი 1: კოლხეთის ეროვნული პარკის საველე ინფრასტრუქტურა (კოლხეთის დაბლობი)
ლოტი 2: საოფისე ფართის სარემონტო სამუშაოები (თბილისი)

საქართველოს მთავრობამ მიიღო მსოფლიო ბანკის კრედიტი და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის გრანტი „საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტის" დასაფინანსებლად და აპირებს გამოიყენოს სახსრების ნაწილი შემდეგი სამუშაოებისთვის: ლოტი 1: კოლხეთის ეროვნული პარკის საველე ინფრასტრუქტურა (კოლხეთის დაბლობი) და ლოტი 2: საოფისე ფართის სარემონტო სამუშაოები (თბილისი).

"სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრი" (ს.ზ.ი.მ. ცენტრი), საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია, იწვევს ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე კომპანიებისგან დალუქულ სატენდერო წინადადებებს სამუშაოების შესასრულებლად შემდეგ ორ ლოტზე:

ლოტი 1: კოლხეთის ეროვნული პარკის საველე ინფრასტრუქტურის მოწყობა. კოლხეთის ეროვნული პარკი წარმოადგენს რამსარის საერთაშორისო სტატუსის მქონე ჭარბტენიან დაცულ ტერიტორიას, რომელიც მდებარეობს საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე, ადმინისტრაციით ქალაქ ფოთში (იხილეთ პარკის ვებგვერდი www.KNP.ge). პარკის ინფრასტრუქტურის ესკიზური ნახაზების მოძიება შესაძლებელია პროექტის ვებგვერდზე www.ICZM.org.ge. ინფრასტრუქტურის სამუშაოები მოიცავს კოლხეთის დაბლობზე სპეციალურად დამუშავებული ხის მასალით საველე არქიტექტურული ფორმების შესრულებას და ადგილზე განთავსებას, კერძოდ: ნავმისადგომები, კოშკურა, ფრინველთა სათვალთვალო, მცირე თავშესაფარი, ხის ხიდი, საფეხმავლო ფიცარნაგი, საინფორმაციო სტენდები მდ. ფიჩორის მიდამოებში; აგრეთვე ხის კონსტრუქციის ფრინველთა დარგოლვის ცენტრის შენობის მოწყობა მდ. ჭურიის მიდამოებში. პარკის ინფრასტრუქტურის ობიექტების პროექტირება მწვანე არქიტექტურის მიდგომებითაა შესრულებული. მშენებლობის პერიოდი გრძელდება 2006 წლის 30 ივნისამდე (დაახლოებით 5 თვე).

ლოტი 2: ა) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და ს.ზ.ი.მ. ცენტრის საოფისე ფართის (დაახლ. 140 კვ. მ.) სრული სარემონტო სამუშაოები (თბილისი). სარემონტო სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლიობაა 2 თვე.

ტენდერის მონაწილეებს შეუძლიათ წარმოადგინონ წინადადებები ერთ ან ორივე ლოტზე. წინადადებები შეფასებული იქნება თითოეული ლოტისათვის და კონტრაქტი მიენიჭება უმცირესი ღირებულების კვალიფიცური წინადადებას ცალკე ლოტისათვის. არასრულყოფილად წარმოდგენილი წინადადება კონკრეტული ლოტისათვის დაწუნებული იქნება.

ტენდერი ჩატარდება ეროვნული კონკურენტული ტენდერის წესით, მსოფლიო ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით: შესყიდვები IBRD-ის სესხითა და IDA-ის კრედიტით, იანვარი 1995 წელი (შესწორებული გამოცემები: 1996 წლის იანვარი და აგვისტო), და ღიაა ყველა მონაწილისათვის იმ ქვეყნებიდან, რომლებიც განსაზღვრულია სახელმძღვანელო დოკუმენტში.

ტენდერში მონაწილეობით დაინტერესებულ ორგანიზაციებს დამატებითი ინფორმაციისათვის და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად შეუძლიათ მიმართონ "სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრს" ქვემოთ მითითებულ მისამართზე, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე საქართველოს დროით.

დაინტერესებულ მონაწილეებს, ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის გამოგზავნის საფუძველზე, შეუძლიათ მიიღონ სატენდერო დოკუმენტაციის სრული პაკეტი ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის არაანაზღაურებადი ღირებულებაა 60 ლარი (ლოტი 1) და 20 ლარი (ლოტი 2), ან მათი ჯამი ორივე ლოტისათვის.

გადახდის მეთოდი - გადარიცხვა საბანკო ანგარიშზე:

მიმღები: სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრი
ანგარიში: 2700854 (სალარე)
კოდი: 220101830
ბანკი: თიბისი-ბანკი, ჭავჭავაძის გამზირი 11, 380079 თბილისი, საქართველო

სატენდერო დოკუმენტაციის სრული პაკეტი გაგზავნილი იქნება კურიერული ფოსტით.

საკონკურსო წინადადებები, თანდართული საბანკო გარანტიით 6,000 (ექვსი ათასი) ლარის ოდენობით (ლოტი 1) ან 1,000 (ათასი) ლარის ოდენობით (ლოტი 2), ან მათი ჯამი ორივე ლოტის შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იყოს ქვემოთ მითითებულ მისამართზე, არაუგვიანეს 2006 წლის 20 იანვრის 18 საათისა ადგილობრივი დროით. დაგვიანებით წარმოდგენილი წინადადებები დისკვალიფიცირებულ იქნება. ყველა საკონკურსო წინადადება გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს, დაესწრონ წინადადებების გახსნის პროცედურას ქვემოთ მითითებულ მისამართზე, 18 საათზე საქართველოს დროით, 2006 წლის 20 იანვარს.

მამუკა გვილავა, დირექტორი
სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრი (ს.ზ.ი.მ. ცენტრი)
საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
გულუას 6, მე-6 სართული, თბილისი, 0114, საქართველო
+995 (32) 75-50-40 ტელეფონი
+995 (99) 54-66-16 მობილური
+1 (419) 791-6651 ფაქსი
PHASiS@ICZM.org.ge
www.ICZM.org.ge

## სუპერ-ბებია და სუპერ-ბაბუა 2006

4 იანვარს 15 საათზე "კათარზისის" სათნოების სახლში გაიმართება ხანდაზმულთა მეორე კონკურსი: ცეკვაში, სიმღერაში, სასცენო ხელოვნებაში, თანამედროვე და თეატრალური კოსტუმების ჩვენებაში.

მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საპენსიო ასაკის ქალბატონებსა და მამაკაცებს, რომლებიც არ არიან პროფესიონალი მსახიობები.

დაწესებულია პრემიები. ნომინაციებში გამარჯვებულთაგან ჟიური დაასახელებს სუპერ-ბებია და სუპერ-ბაბუა 2006-ის წოდების მფლობელებს.

მონაწილეობის მსურველები დაგვიკავშირდით "კათარზისში", 30 დეკემბრის ჩათვლით.

მისამართი: დ. აღმაშენებლის 121

ტელეფონი: 95-43-32; 95-77-85 (10 საათიდან 17 საათამდე,შაბათ-კვირის გარდა)

ზაურ-ლაზარე ალადაშვილი ასოციაციის პრეზიდენტი.

**საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ვაკანტურია გენერალური პროკურტურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობა, სამეურნეო დარგში. უმაღლესი განათლების მქონე მსურველები დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: საქართველოს გენერალური პროკურატურა, ქ. თბილისი, ვ.გორგასლის ქ.N24 ტელეფონები; 877 71 29 56, 98 21 62**

სსიპ-შსს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი აცხადებს აუქციონს ხანგრძლივ შენახვაზე მყოფ ვადაგასულ შემდეგ მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციის მიზნით:

ქარსი მუსკოვიტი 18,9 ტონა, ქარსი ფლოგოპიტი - 49,2 ტონა, შუშა ქსოვილი 20000 მეტრი, ქარსის ყუთი - 3804 ცალი, საწყისი ფასი 16655 ლარი, ქურო - 13 ცალი, საკისარი - 10 ცალი, გორგოლაჭი - 6 ცალი, საფენი - 21 ცალი, რეზინის სადები - 8 ცალი, ვარსკვლავა - 13 ცალი, შკივ რეზრისტი - 2 ცალი, ბლოკი - 2 ცალი, ლილვი - 23 ცალი, კოლექტორი - 2 ცალი, ნახევარღერძა - 10 ცალი, მუხლანა ლილვი - 21 ცალი. საწყისი ფასი 825 ლარი.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია წინასწარ გადაიხადოს "ზე" მატერიალური ფასეულობის ღირებულების 10%-ის ოდენობით.

აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 31 იანვარს დღის 2 საათზე დეპარტამენტის შენობაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, აგლაძის 32, II სართული.

დამატებითი ცნობებისათვის გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ ტელეფონებზე: 34-65-98, 35-67-23.

განაცხადები მიიღება 2006 წლის 30 იანვრის დღის 4 საათამდე.

*სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი*

BSP შ.პ.ს. ბათუმის საზღვაო ნავსადგური
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

30. XII 2005
№ 394/5

# ბრძანება

დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებისა და მომსახურების სატარიფო განაკვეთების შესახებ

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოქნილი სატარიფო პოლიტიკის გატარებისა და საწარმოს კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვნად ამაღლების, ტვირთნაკადების გაზრდისა და დამატებითი ტვირთების მოზიდვის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ძალაში შევიდეს:
– შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურში" დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების სატარიფო განაკვეთები (დანართი 1);
– შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურში" ადგილობრივი დამატებითი მომსახურების ტარიფები (დანართი 2).
2. ტარიფები ამოქმედდეს ბრძანების გამოქვეყნებისთანავე და ძალადაკარგულად ჩაითვალოს:
- 17.08.2004 წლის №370 ბრძანება "ბათუმის ნავსადგურში დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების სატარიფო განაკვეთების შესახებ";
- 17.08.2004 წლის №370 ბრძანებაში 08.11.2004 წლის №526/ა ბრძანებით შეტანილი ცვლილება;
- 17.08.2004 წლის №370 ბრძანებაში 18.04.2005 წლის №143/ა ბრძანებით შეტანილი ცვლილება;
- 17.08.2004 წლის №370 ბრძანებაში 03.10.2005 წლის №303/ა ბრძანებით შეტანილი ცვლილება;
- 05.10.2005 წლის №313/ა ბრძანება "მოცულობითი მსუბუქი ტვირთის სატარიფო განაკვეთის დაწესების შესახებ"
- 17.08.2004 წლის №370 ბრძანებაში 10.11.2005 წლის №342/ა ბრძანებით შეტანილი ცვლილება;
- 17.10.2005 წლის №322/ა ბრძანება "წყლის მიწოდების ადგილობრივი ტარიფის შემოღების შესახებ"
- 08.11.2005 წლის №340/ა ბრძანება "წყლის მიწოდების ადგილობრივ ტარიფებში ცვლილებების შეტანის შესახებ"
- 17.08.2004 წლის №370 ბრძანებაში 29.12.2005 წლის №392/ა ბრძანებით შეტანილი ცვლილება;
- 07.06.2001 წლის №229/ა ბრძანება "ნავმისადგომის მოცდენის შესახებ"

საფუძველი: ჩემი განკარგულება.

გენერალური დირექტორი [illegible]

Quality system ISO 9001 Certified by Bureau Veritas

## შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურში" დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების სატარიფო განაკვეთები

დანართი 1

| N | ტვირთის სახეები | განზ. ერთეული | ტვირთის კოდები | | განაკვეთი (აშშ დოლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| | **1. ნაყარი ტვირთი** | | | | |
| 1.1 | ა. მარცვლეული:<br>• გრეიფერით ნავმისადგომთან<br>• გრეიფერით რეიდზე<br>- პნევმომანქანებით ნავმისადგომთან | მეტრ. ტონა | 1001<br>1002 | 011.<br>012. | 3.50<br>5.00<br>5.50 |
| 1.2 | ბ. შაქარი ყრილად | მეტრ. ტონა | 1701 | 521 | 5.00 |
| 1.3 | გ. მადნის კონცენტრატი | მეტრ. ტონა | 2602<br>2601<br>7202<br>და სხვა | 142<br>141<br>142 | 4.00 |
| 1.4 | დ. სხვა ტვირთები ყრილად<br>- გრეიფერით ნავმისადგომთან<br>- გრეიფერით რეიდზე<br>- პნევმომანქანებით ნავმისადგომთან | მეტრ. ტონა | 2606<br>2701<br>3102 | 151<br>161<br>431 | 4.50<br>5.00<br>5.50 |
| 1.5 | ე. ბოქსიტები ყრილად | მეტრ. ტონა | | | 3.00 |
| | **2. ტვირთი ტომრებში** | | | | |
| 2.1 | 25 კგ-მდე | მეტრ. ტონა | 1006<br>0802<br>2523<br>3103<br>2836<br>2101<br>2106<br>2308<br>20210<br>020410<br>1701 | 015<br>054<br>281<br>436<br>482<br>516<br>516<br>541<br>561<br>561 | 6.50 |
| 2.2 | 30 კგ-დან 50 კგ-მდე | | | | 6.00 |
| | **3. ტვირთი დიდ ტომრებში - ბიგ-ბეგები** | | | | |
| 3.1 | სპილენძის კონცენტრატი | მეტრ. ტონა | | | 4.30 |
| 3.2 | სხვა ტვირთი | მეტრ. ტონა | | | 4.50 |
| | **4. ტვირთი პალეტებზე** | | | | |
| 4.1 | კასრები | მეტრ. ტონა | | | 5.50 |
| 4.2 | სხვა ტვირთი | მეტრ. ტონა | | | 4.50 |
| | **5. ტვირთი ყუთებში** | | | | |
| 5.1 | 50 კგ-მდე | ტონა | 08<br>0808<br>0805<br>1902<br>1903<br>2402<br>0405<br>20710<br>1602<br>5511<br>5203 | 051<br>052<br>052<br>512<br>513<br>517<br>553<br>561<br>581<br>631<br>611 | 6.50 |
| 5.2 | 51 კგ-დან 5,0 ტონამდე | ერთ. | | | 10.00 |
| 5.3 | 5,0 ტონიდან 20 ტონამდე | ერთ. | | | 65.00 |
| 5.4 | 20,1 ტონაზე მეტი | ერთ. | | | 110.00 |
| | **6. ტვირთი კასრებში** | | | | |
| 6.1 | კასრები | ტონა | | | 7.00 |
| | **7. ტვირთი შეკვრებში** | | | | |
| 7.1 | ფუთა (კიპები) | ტონა | | | 4.50 |
| | **8. ლითონის პროდუქცია** | | | | |
| 8.1 | შეკვრით (პაკეტებში) ან ცალობით | | 7216 | | |
| | L<8მ, w<10ტ | ტონა | 7303 | 323 | 7.00 |
| | L<8მ, w>10ტ | ტონა | 7214 | 324 | 8.00 |
| | 8მ<L<25მ, w<10ტ | ტონა | 7201 | 311 | 8.00 |
| | 8მ<L<25მ, w>10ტ | ტონა | 7204 | 316 | 11.00 |
| | რულონებში | ტონა | 7602 | | 6.50 |
| | **9. ლითონის ჯართი** | | | | |
| 9.1 | შავი და ფერადი ლითონების ჯართი | ტონა | 7404 | 316 | 10.00 |
| | **10. ხორცი** | | | | |
| 10.1 | წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონ-ლის დაუფუძმოებელი ნაკლავი (ტუშები) | ტონა | 20210 | | 8.00 |
| 10.2 | გაყინული ხორცი ყუთებში | ტონა | 02410 | 561 | 7.50 |
| 10.3 | გაყინული თევზი ყუთებში | ტონა | 20710<br>0303 | 561 | 7.50 |
| | **11. ხე-ტყე** | | | | |
| 11.1 | მორები<br>- ცალობით<br>- შეკვრაში | ტონა | 4403 | 081 | 9.00<br>8.00 |
| 11.2 | დახერხილი (შეკვრებში ან პაკეტებში) | ტონა | 4407 | 091 | 7.00 |
| | **12. ბორბლებიანი ტექნიკა (როგორც ტვირთი)** | | | | |
| 12.1 | ვერტიკალური მეთოდით, წონით<br>- 3 ტონამდე<br>- 5 ტონამდე<br>- 30 ტონამდე<br>- 40 ტონამდე<br>- 40 ტონამდე | ერთ. | 8426 | 351 | 25.00<br>30.00<br>70.00<br>90.00<br>180.00 |
| 12.2 | ჰორიზონტალური მეთოდით: | | | | |
| | ა. საკუთარი სვლით, წონით<br>- 3 ტონამდე | ერთ. | | | 15.00 |
| | - 3 ტონაზე მეტი | ერთ. | | | 30.00 |
| | ბ. ნავსადგურის ძალებით, წონით<br>- 3 ტონამდე | ერთ. | | | 30.00 |
| | - 3 ტონაზე მეტი | ერთ. | | | 60.00 |
| | **13. მუხლუხა ტექნიკა** | | | | |
| 13.1 | ვერტიკალური მეთოდით, წონით | | 8429 | 351 | |
| | - 10 ტონამდე | ერთ. | | | 70.00 |
| | - 10 ტონიდან 40 ტონამდე | ერთ. | | | 90.00 |
| | - 40 ტონაზე მეტი | ერთ. | | | 180.00 |
| 13.2 | ჰორიზონტალური მეთოდით ნავსადგურის ძალებით | ერთ. | | | 70.00 |
| | **14. ლითონკონსტრუქციები** | | | | |
| 14.1 | მძიმე და არაგაბარიტული ტვირთი 20 ტონაზე და 8 მეტრზე მეტი | ერთ. | | | 180.00 |
| | **15. კონტეინერები** (ვერტიკალური და ჰორიზონტალური მეთოდით) | | | | |
| | | ერთ. | 8609 | 391 | |
| 15.1 | დატვირთული კონტეინერი:<br>- ნავსადგურის ამწევებით<br>20 ფუტიანი<br>40 ფუტიანი | | | | 50.00<br>60.00 |
| | - გემის ამწევებით<br>20 ფუტიანი<br>40 ფუტიანი | | | | 25.00<br>35.00 |
| | ვარიანტით ტერმინალი - საექსპედიტორო საშუალება ან პირიქით<br>20 ფუტიანი<br>40 ფუტიანი | | | | 20.00<br>25.00 |
| 15.2 | ცარიელი კონტეინერი:<br>- ნავსადგურის ამწევებით<br>20 ფუტიანი<br>40 ფუტიანი | | | | 20.00<br>30.00 |
| | - გემის ამწევებით<br>20 ფუტიანი<br>40 ფუტიანი | | | | 10.00<br>15.00 |
| | ვარიანტი ტერმინალი - საექსპედიტორო საშუალება ან პირიქით<br>20 ფუტიანი<br>40 ფუტიანი | | | | 15.00<br>20.00 |
| | **16. თხევადი ტვირთები** ტანკერებზე | | | | |
| 16.1 | ავტოცისტერნა - გემი (ქიმიური ტვირთი) | ტონა | | | 4.00 |
| 16.2 | გემი - ავტოცისტერნა გემის ძალებით და საშუალებებით | ტონა | | | 3.00 |
| 16.3 | გემი - ნავთობტერმინალი (გადატვირთვა) | ტონა | | | 0.40 |
| 16.4 | ნავთობტერმინალი - გემი (გადატვირთვა) | ტონა | | | 0.40 |
| 16.5 | თხევადი აირი (გადატვირთვა) | | | | 0.60 |
| 16.6 | ზეთი ჩამოსხმით - გემი - ავტოცისტერნა ან პირიქით | ტონა | | | 2.50 |
| | **17. მოცულობითი მსუბუქი ტვირთები** | | | | |
| 17.1 | 10 კგ-მდე | ტონა | | | 70.00 |
| 17.2 | 10 კგ-დან 30 კგ-მდე | ტონა | | | 20.00 |

**შენიშვნა:**

1. სატარიფო განაკვეთები გამოიყენება ახალ ხელშეკრულებებში. ამ სატარიფო განაკვეთების შემოღებამდე ხელმოწერილ ხელშეკრულებებში ძველი განაკვეთების მოქმედება დასაშვებია 15 დღის განმავლობაში.

2. საშიში და ქიმიური ტვირთების გადამუშავებისას ტარიფების საბაზისო განაკვეთები იზრდება 20%-მდე მათი კლასიფიკაციისა და გადამუშავების ტექნოლოგიის გათვალისწინებით.

3. მალფუჭადი ტვირთების გადამუშავებისას ტარიფების საბაზისო განაკვეთebi izrdeba 10%-iT.

4. საქონლის კოდი მითითებულია "საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ" საერთაშორისო კონვენციის თანახმად. (01.01.1988წ.) ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურა წარმოადგენს მრავალმიზნობრივ სასაქონლო ნომენკლატურას, რომელიც შეესაბამება სტატისტიკის, საბაჟო ორგანოებისა და კომერციული საქმიანობის მოთხოვნებს.

5. მოცემულ სატარიფო განაკვეთებში არ არის გათვალისწინებული დამატებითი ღირებულების გადასახადი.

6. ტვირთების მოზიდვისა და ტვირთბრუნვის გაზრდის მიზნით ნავსადგურის ადმინისტრაცია უფლებამოსილია დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების სატარიფო განაკვეთებზე მოახდინოს ფასდაკლება წლის განმავლობაში გენერალური და ნაყარი ტვირთების საერთო მოცულობაზე:
- 100 000-დან 150 000 ტონამდე - 10 %-ით
- 150 000 ტონის ზემოთ - 20 %-ით

7. ტარიფები შედგენილია აშშ დოლარებში, ხოლო ანგარიშსწორება საქართველოს იურიდიული პირებისათვის წარმოებს ეროვნულ ვალუტაში გადახდის მომენტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით.

## ამერიკის კინო-აკადემიის ყოველწიური ჯილდოს "ოსკარის" მფლობელები





მთავარი როლის შემსრულებელი მამაკაცი:
**ჯეიმი ფოქსი**
"რეი"

მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებელი მამაკაცი:
**მორგან ფრიმენი**
"მილიონ დოლარიანი გოგონა"

საუკეთესო მთავარი როლის შემსრულებელი ქალი:
**ჰილარი სუენკი**
"მილიონ დოლარიანი გოგონა"

საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებელი ქალი:
**ქეით ბლანშეტი**
"ავიატორი"

საუკეთესო ფილმი:
"მილიონ დოლარიანი გოგონა"
**ქლინტ ისტვუდი**

საუკეთესო ოპერატორული ნამუშევარი:
"ავიატორი"
**რობერტ რიჩარდსონი**

საუკეთესო რეჟისურა:
"მილიონ დოლარიანი გოგონა"
**ქლინტ ისტვუდი**

საუკეთესო უცხოენოვანი ფილმი:
"ზღვა შიგნით"
ესპანეთი
**ალეხანდრო ამენაბარი**

საუკეთესო მუსიკა (სიმღერა):
"მოტოციკლეტის დღიურები"
Al Otro Lado Del Rio
მუსიკა და ტექსტი **ხორხე დრექსლერის**

საუკეთესო სცენარი (ადაპტირებული):
Sideways
**ალექსანდერ პეინი და ჯიმ ტეილორი**

## 2005 წლის კანის კინოფესტივალის გამარჯვებულები:





საუკეთესო სცენარი:
**გილერმო არიაგა**
"მელქიადეს სტრადას სამი დაკრძალვა"

ფესტივალის გრან-პრი:
"დამტვრეული ყვავილები"
**ჯიმ ჯარმუში**

ქალის როლის საუკეთესო შემსრულებელი:
**ჰანა ლასლო**
"თავისუფალი ზონა"

მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებელი:
**ტომი ლი ჯონსი**
"მელქიადეს ესტრადას სამი დაკრძალვა"

საუკეთესო რეჟისორი:
მიხაელ ჰანეკე
"დამალული"

ჟიურის პრიზი:
"შანხაის სიზმრები"
ვანგ ძიაოშუი

ოქროს პალმის რტო საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის:
"გზისპირა"
**იგორ სტრემბიცკი**

ოქროს პალმის რტო:
"ბავშვი"
**ჟან-პიერ და ლუკ დარდენები**

# კიდევ ერთი ამოსუნთქვა

სოფო კილასონია

"რა არ მოხდა გასულ 2005 წელს, რამდენი დაგვრჩა მოსაგონარი, მაგრამ დაე, ეს ახალი წელი იყოს ბევრად ნათელი, ბევრად ლამაზი, ბევრად წარმატებული" - არა, ეს ჩემი სიტყვები არ არის, არც არავისი კონკრეტულად, ის ალბათ ყველასია, ვისაც ეს კალენდარული ახალი წელი განსაკუთრებულად ახარებს, ასეთები კი ძალიან ბევრნი ვართ, იმის მიუხედავად ვანიჭებთ თუ არა დიდ მნიშვნელობას დღეებისა და საათების ამ ფორმალურ გამიჯვნას. ეტაპებად ცხოვრება მოგვწონს და რად უნდა ამ ფაქტს გაკვირვებული მზერით ყურება, ასე ხომ ბევრად იოლია, - "აი მომავალი წლიდან გავაკეთებ...", ანდა "წელს არ მოხერხდა, მაგრამ ორი ათას ექვსში...", რამდენ რესპონდენტს უთქვამს ჩვენთვის და რამდენჯერ გვითქვამს საკუთარი თავისთვის. განცდა სიახლისა, რაც არ უნდა გამოგონილი იყოს, მაინც სააამურია. ახალ თარიღს და არაერთხელ განმეორებულის განმეორებას, ყველასთვის მოძველებული, მაგრამ მაინც ახალი იდეები, გეგმები და ერთხანს მაინც ახლებური განწყობა მოაქვს.

რამდენნაირ ვარიანტში აღარ შეჯამდება 2005 წელი, ნიჭიერად, უნიჭოდ და გაუთავებლად ვიმსჯელებთ ახლა უკვე ძაღლის თვისებებზე, ფერებზე, რომელიც მოდური გახდება, ქცევებზე, რომლითაც ბედნიერება დაგვებედება და სანამ არ მოგვბეზრდება, კამფეტების შეყრა-შემოყრით გავიხალისებთ თავს. ვილაცისთვის და არც ისე ცოტასთვის, ხვალ ჩვეულებრივი დღე დადგება და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ხასიათზე არ იქნება, არამედ იმიტომ, რომ ჩვეულებრივ დღეებს აღმერთებს და ერთკვირიანი დასვენებით და სათანადოდ სიმშვიდით ტკბობას დაიწყებს. გათენდება ოცდათერთმეტი დეკემბერი ანდა პირველი იანვარი, ერთი კარგად ამოისუნთქავს და არაფერზე არ იფიქრებს, ისე მიირთმევს ყავას ან ჩაის, გაზეთების ყიდვას აზრადაც არ გაივლებს, არადა რას წარმოიდგენს, რამდენმა ადამიანმა იმტვრია თავი იმაზე, თუ საახალწლოდ რა დაეწერა და რითი მოეხიბლა მკითხველი. რამდენმა იფიქრა, იფიქრა და მაინც, სიმართლე ვთქვათ, დიდი ვერაფერიც ვერ მოიფიქრა, მაინც სტანდარტულ დავალებას დასჯერდა: "მოდით გასული წელი შევაჯამოთ, ანდა მიმოვიხილოთო," - ახლა მთავარია, რას მოიგონებ და როგორ მოიგონებ, რითი დაიწყებ, რითი აღფრთოვანდები და როგორ კონტექსტში იტყვი. ყველაფერს აქვს მნიშვნელობა, მით უფრო, როცა ასეთ სათუთ მოვლენას, საახალწლო განწყობას ეხები...

ასე რომ, გავიღიმოთ და ვთქვათ, რომ ყველაფერი არაჩვეულებრივი გახლდათ და დავიწყოთ, ქრონოლოგიურ მარწუხებს მოვეშვათ და ყველაფერს მოვუხმოთ სადაც რამე შემოგვრჩა, გონებრივ, მხედველობით, სმენით და კიდევ რა ვიცი როგორ მეხსიერებას აღარ... გავიღომოთ - ვახსენე, ღიმილზე კი ქალაქში მოსეირნე ცხენოსანთა სკულპტურები მახსენდება. ვიცი, ვიცი, ორიგინალობით ვერ გამოვირჩევი, მაგრამ ხომ იყო მოვლენა? იყო, მერე რა, რომ დიღმისკენ მიმავალ ტრასაზე გავლისას უხერხულობა გვიპყრობს და გამოვლისას ცოტა ვმშვიდდებით, მაინც არაჩვეულებრივია, რაც მოხდა... 2005 წელი მართლაც უპრეცედენტო მოვლენებით იყო აღსავსე, ისეთმა დიდმა ინსტიტუტმა, როგორიც ქორეოგრაფიული სასწავლებელია, რენომე დაიბრუნა, ვერ მიხვდით? ზედმეტობაში ჩამითვალეთ? მაშინ დამისახელეთ რომელიმე სამხატვრო სასწავლებელი, მუსიკალური ათწლედი, რომლის ამბიციებითაც ასე რიგად შეწუხებულიყო ქართული კულტურა ამ ახალ ეპოქაში? ვერ დამისახელებთ, იმიტომ რომ ვნება და ღელვა, ბალეტომანებს რომ აქვთ ჩვენში ისე არავის, ჯერ ჭაბუკიანს ამოუკეტეს კარები, ჩვენი ღირსი არა ხარო, მერე არაერთი გააძევეს და გააგდეს, ახლა კი, სხვა რომ ვერავინ იპოვეს, ხავსს მოეჭიდნენ და იმდენი ილაპარაკეს სულ სამიდან ერთ-ერთ ქართველ ბალეტმაისტერს, ანუ უკვე "გადაჯიშების" ზღვარზე არსებული პროფესიის წარმომადგენელს საქართველოს მთელი მილიცია-პოლიცია დაასიეს, მაგრამ ესეც საჭირო იყო, ყველაფერი რიგზეა... რუსთაველის თეატრი გაიხსნა. მერე რა, რომ ახალი მხოლოდ ერთი წარმოდგენა გვიჩვენეს, თანაც ისეთი, რომ, არ იცი, საერთოდ რა თქვა და წითლდები, მერე რა, რომ კარგა დიდი ხნის წინ დასახული გეგმები კიდევ გადადეს, მაინც ძალიან კარგი იყო და ყველაფერი არაჩვეულებრივი... თეატრზე გამახსენდა და აღფრთოვანებული კითხვა დაიბადა: მაინც რამდენი პრემიერა წარმოგვიდგინეს პატარა თეატრებმა? ძალიან ბევრი. მერე რა, რომ გამორჩევით ვერც ერთს ვერ ვიგონებთ, მაინც რა კარგი იყო ყოველი მათგანი... ხო, მართლა, თბილისში სახლები ინგრეოდა, თანაც ძალიან მაღალი დონის არქიტექტურული ძეგლები, მაგრამ აშენებდნენ კიდეც, ოღონდ იქ არა, სხვაგან და სხვებისთვის, მაინც ხომ იყო შენების იდეა... კულტურაზე ვწერ, მაგრამ ფერები ჩემთან პირდაპირ კავშირშია და ღებავდნენ ფასადებს, მერე რა, რომ დაგვჩემდა ფრაზები "მე აი იმ ფოსფორისფერ სახლში ვცხოვრობ, მე კი იმ იასამნისფერში, ლურჯი ჩუქურთმები რომ აქვს", დაგავიწყდათ მზიან საქართველოში რომ ვცხოვრობთ, ყველაფერი კარგად იქნება, ცოტა გახუნდება და ცოტაც ჩვენ გავხდებით სხვანაირები, ფერადები და რა კარგია, რომ შეიღება... მერე რა, რომ წელს საგამოფენო დარბაზები იხურებოდა, მერე რა, რომ სულ არ იცოდნენ რა და როგორ უნდა გაეკეთებინათ, წლის ბოლოსთვის მაინც გაგვეხარდა ზოგიერთ მათგანში შესვლა, მაგალითად, თი ბი სი ბანკის შენობაში და სულ ახალახანს ქართული მოდერნიზმით გაჯერებულ ქარვასლაში, ჭეშმარიტად მოვიხიბლეთ, მაგრამ სულ რაღაც ორჯერ, არადა ქალაქში კვირას არ უშვებენ ხელიდან ერთმანეთის მსგავსი ექსპოზიციები რომ არ გამოფინონ და ერთნაირი მოსაწვევებით რომ არ აგვივსონ უჯრები. რა ვქნათ, რომ საკმაოდ შეძლებულ გალერეისტებს იდეებში უჭირთ, რაც იყო ისიც არაჩვეულებრივი გახლდათ, მარტო გაპრანჭული არტ-კავკასია 2005 რად ღირდა? მარტო სახელი როგორია? არაჩვეურებრივი, იდეა - მომხიბვლელი, ზუსტად ის, რაც ქართულ დაკონსერვებულ არტს სჭირდება, მერე რა, რომ ეს ყველაფერი მარტო "ბაზრობას" ამართლებდა, "არტს" ვერაფრით, მერე რა, რომ ისე ჩაიარა ვერაფერი გაგვაგებინა, ხომ იყო და ხომ ჩაიარა? და თან რა არაჩვეულებრივი იყო ყველაფერი...

მუზეუმები, ეთნოგრაფიული მომაგონდა და მან არტ-გენი "წამოიყოლა", არაუშავს რომ მარტო ვიმღერეთ და მუზეუმი ღონისძიებაში თავად არ ჩაერთო, მაინც კარგი იყო, თანაც ჭეშმარიტად კარგი... ეროვნულმა მუზეუმმა "კოლხური საგანძური" გამოფინა, მერე რა, რომ დიდი ვარეფერი ბუკლეტი დაურთო და ექსპოზიცია ბახრამების მდიდრულ ხვეულებში ჩააბნელა, მაინც კარგი იყო, ხელოვნების მუზეუმში ირანული ხელოვნების დღეები გაიმართა, ისე გაიმართა ვერავინ ვერაფერი გაიგო, მენეჯმენტში გაუჭირდათ, მაგრამ საქმე არაჩვეულებრივი გაკეთდა, ბოლოს კი ამ უკანასკნელმა ორი შედევრი დაიბრუნა, ძლივს ვიხილეთ ესთეტიურად შელამაზებული ხელოვნების მუზეუმის შენობა, დასანახი ბილბორდით, თანაც ორი შედევრი მაინც გაპიარდა, კარგი იყო, თანაც იმის იმედად ვრჩებით, რომ სხვას თუ ვერა, ფიროსმანის ექსპოზიციას მაინც მოევლება მსგავსად. თბილისის ისტორიის მუზეუმშიც არაჩვეულებრივად არის ყველაფერი, პერიოდული გამოფენები რომ არა, თავად მუზეუმს დამთვალიერებელი არ ეყოლებოდა, სიმდიდრე კი მზუჟტავ განათებაში საბოლოოდ მიეცემოდა დავიწყებას, მაგრამ ასე არ მოხდა. ანუ ყველაფერი არაჩვეულებრივად იყო. ცოტა იყო, მაგრამ ხომ შეიძლება ესეც არ ყოფილიყო?...

ოპერისა და ბალეტის თეატრი ! აქ ყველაფერი ჭეშმარიტად დუღს და გადმოდუღს. წელს მისთვის ხელახალი დაბადების დღე იყო, საოპერო დასმა ბევრი გაიმეტა, საბალეტო დასმა ყველა შეინარჩუნა. ეს წელი დიდი პრიმას დაბრუნების წელი იყო, დავით საყვარელიძე კი თეატრალურ ექსპერიმენტებს ოდნავ მოეშვა და ყველა თეატრს ოპერის თეატრის სახით გარკვეული ათვლის წერტილი დაანახა. ქართულ ბალეტს ხშირად ვახსენებდით, იმდენად ხშირად, რომ ცოტა ქართული ოპერა გაბრაზდა, აბა რა იქნებოდა? შვიდი თუ მეტი საბალეტო პრემიერა, ორი საოპერო, კონცერტები იყო, მაგრამ მელომანები მაინც დასევდიანდნენ... თეატრს საქმე კარგად აქვს, მაგრამ ხანდახან წარმატებული მენეჯმენტი და ძლიერი მონაცემები ბევრად წინ არის ვიდრე საერთო დონე და ხარისხი, მაგრამ აქ მართლა კარგად არის საქმე, თანაც ჭეშმარიტად... ოპერისა და ბალეტის თეატრი ჩვენი კულტურის პოლიტიკის ფავორიტია, სამოდელო ნიმუში და კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო გაგვახსენდა, თან კულტურის პოლიტიკაც. ამ უკანასკნელზე ჯერ საუბრისგან თავი უნდა შევიკავოთ, მომავალი წლისთვის გადავდოთ, რადგანაც ნიშნები არის, მაგრამ კონტურები არა და მაგრამ იქნება და ამიტომ ყველაფერი არაჩვეულებრივადაა... მართალია სამინისტროში ჯერ მხოლოდ მოვალეობის შემსრულებლები მუშაობენ, კადრების კონკურსი კიდევ მომავალი წლისთვის გადაიდო, ისე როგორც მის თითქმის ყველა საკურაციო ორგანიზაციაში, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, როცა ყველაფერი კარგად არის. პრიორიტეტები განსაზღვრულია, ძეგლთა დაცვა-პატრონობა, საქმე ჭეშმარიტად დაძრული, თანამედროვე ხელოვნების მიმართულებით პატარ-პატარა პროექტები იყო, მაგრამ აწი იწყება ყველაფერი, მთავარია, ხომ იწყება? ამიტომაც კარგად არის ყველაფერი...

წელს მარჯანიშვილის თეატრის წელი აშკარად არ იყო, გარემონტდა, მაგრამ ვერაფრით გაიხსნა. ვშიშობთ ჯერ კიდევ კარგად დიდხანს გაიწელება ეს პროცესი. კულტურის სამინისტრომ როგორც იქნა თამამი ნაბიჯი გადადგა, სარდაფის ძალები მარჯანიშვილის თეატრში ისროლა, როგორც ჩანს სარდაფის შემოქმედებითი ჯგუფი ქართულ თეატრში რევოლუციონერი ყოფილა, ჩვენ ვერ შევნიშნეთ, მაგრამ მმართველნი მისით აღფრთოვანებულნი ყოფილან, ე.ი. ყველაფერი კარგად იქნება. ვერც ნიკა მემანიშვილმა და დავით დოიაშვილმა მოასწრეს თავიანთ თეატრში ჩვენი დაპატიჟება, მაგრამ დაგვიძახებენ... და არა მხოლოდ ისინი დაგვიძახებენ, მანამდე კი მოკრძალებული რჩევები: ის არ გაიხსენოთ, "ერისიონის ლეგენდა" საპნის ბუშტივით რომ გასკდა, არც ის, დასაბეგრი სახელმწიფომ წიგნების მეტი რომ ვერაფერი მონახა, ეტყობა, რომ ახალგაზრდა მწერლების აქტიურობის შეშურდა ვინმეს, არც ის მოიგონოთ, რა საცოდავად დაცურავდნენ ჩვენი ულტრა ავანგარდულ სტილში მოცეკვავე სუხიშვილები რუსთაველზე და რა მშვენიერი იყო ღია ცის ქვეშ აჟღერებული მუსიკა, დაივიწყეთ ცოცხალი იყო ის თუ ყალბი, რა მნიშვნელობა აქვს დავას, როცა ყველაფერი არაჩვეულებრივად მიდის. ყველაფერი მართლაც კარგად იქნება, ქალაქი უფრო დამშვენდება, მას წმინდა გიორგი დაიცავს, რომლისადმი ძრწოლაც მოგვიწოდა ერთმა მაესტრომ, ასე რომ გვეშინოდეს და გვიხაროდეს უნდა ერთდროულად, და ბოლოს, არც იმაზე იფიქროთ და ნურც იმას შეიმჩნევთ რომ სულ მუდამ გემოვნებაში ვიჭრებით და უკულტურო კულტურა დაგვჩემდა, ჩვენ უკვე დიდი ხანია შევთანხმდით, გემოვნებაზე რომ არ ვდაობთ, თანაც დავა ხანდახან მაინც კრიტიკაა, კრიტიკა კი... ანდა რა საჭიროა დავა, ყველაფერი ისედაც არაჩვეულებრივი იყო... ახლა ღრმად ამოვისუნთქოთ და ერთმანეთს თუ ვერა, ქართულ ხელოვნებას რამე კარგი ვუსურვოთ, მაგალითისთვის ალტერნატიული აზრის სიყვარული, კრიტიკის მოსმენა და ამ დროს სიმშვიდე, მრავალფეროვნების აღქმის უნარი, კიდევ სითამამე და რაც შეიძლება ბევრი გონებაგახსნილი, თვალღია და ენთუზიაზმით აღსავსე არტისტი. კიდევ ერთი ამოსუნთქვა და დავამთავრეთ...


**ნაუტილუსი**

- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

"ნაუტილუსი" აცხადებს მნიშვნელოვან საახალწლო **ფასდაკლებას (25% - 50%)** "წონაში კლების და გაჯანსა-ღების" ახალ პროგრამაზე და ფიტნეს კლუბ "ნაუტილუს"-ში.

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge
Web-site: www.nautilus.ge








**ყურადღება!**
რესტორანი
**"დაკარგული სამოთხე"**
რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.
ტელ. 999-207